

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ღია ყაზიქაშვილი

**მსახურება  
ღვთისა და ერისა**



დავით კარიჭაშვილის  
ღვანული

„ჩვენი მწერლობა“  
თბილისი  
2013

**რედაქტორი  
როსტომ ჩხეიძე**

**რეცენზენტები  
კახა ჯამგურია  
თამაზ ჯოლოგუა**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თენგიზ რობიტაშვილი**

**გარეკანზე გამოყენებულია  
თენგიზ მირზაშვილის  
ნახატი**

**ნიგნი გამოიცა  
ნანი კარიჭაშვილის  
თანადგომით**

**ISBN 978-9941-0-5581-2**

**© ლია კარიჭაშვილი 2013**

## კვალი ნარუჰალი

მეცნიერთა ხვედრი ეს ყოფილა — ისტორიული მნიშვნელობა შერჩება ხოლმე მათ ნაღვანს და ახალ და ახალ სამეცნიერო ნაშრომებში, სქოლიოებსა თუ დამონმებულ ლიტერატურაში თულა გაიელვებს მათი ხსოვნა.

მათი მიგნებანი განვლილ ეტაპად ქცეულა.

მათი მონაპოვარი — საყოველთაო კუთვნილებად დამკვიდრებულა.

და მიჩქმალულა მათი სახელები საზოგადოებრივი ცნობიერების ღრმა კუნჭულებში.

ნაკლებად აღელვებს შთამომავლობას მათი პიროვნული ღირსებანი თუ თავისებურებანი, მათი კოლორიტული თვისებანი, თავის დროზე მიმზიდველთ რომ ხდიდა ამ ადამიანებს — ინტელექტუალური ცხოვრების სრულუფლებიან მონანილეთ და მეცნიერული და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ხელშემწყობთ.

ისიც საქმე იქნება, ბიოგრაფიული რომანების რიგით პერსონაჟებად თუ მოჰყვებიან ხელთ მწერალს, თხრობისათვის აუცილებელი დეტალებისა თუ პასაჟების გამაცოცხლებლად.

მაგრამ ჩვენი ვალი გაცილებით მეტი რომ არის მათ წინაშე?!

როგორ შეიძლება მიყრუებული იყოს და მარტოდენ სამეცნიერო ნაშრომებსა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებში გასაელვებელი რჩებოდეს მათი ზნეობრივი სიმაღლე, მათი თავდადებული გარჯა, მათი შეწირულობა ქვეყნისათვის, მათი მოვლინების მნიშვნელობა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში.

ასეთი ვალი და ვალდებულება გვანვა დავით კარიჭაშვილის წინაშეც.

მერე რა, რომ მისი თავმდაბალი პიროვნება აჩრდილთა სამეფოდანაც ხელს აგვიკრავდა, უფრო დამსახურებული ადამიანები და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებია მისახედი, გამოსამზეურებელი, შესაფერისად დასაფასებელიო.

ყველას უნდა მიეხედოს და თავთავისი პატივი მიეგოს, მაგრამ თუ ვინმეა უსამართლოდ მიჩქმალული, მათ შორის დავით კარიჭაშვილიც ერთი უპირველესთაგანი.

და, აი, კიდეც გამოუჩნდებოდა შესაფერისი მკვლევარი მისივე ბუდიდან — ლია კარიჭაშვილი, ვისი მეცნიერული ინტერესებიც ისევე მრავალმხრივია, როგორც მისი ამ გამორჩეული წინაპრისა, და ამიტომაც ჩანვდებოდა ასე ღრმად დავით კარიჭაშვილის ნაღვანის მნიშვნელობასაც და მის პიროვნულ ბუნებასაც.

ბუდე ის ხიდისთავია, გორს მიკრული ის სოფელი, რომელიც გიორგი ერისთავის იქ დამკვიდრებით კიდევე უფრო გაითქვამდა სახელს, კულტურტრეგერისა, ვინც ქართულ კულტურას ორი უდიდესი ღვანლით — ჟურნალისა და თეატრის დაარსებით — დააჩნევდა კვალს და უამრავ სასიკეთო საქმესთან ერთად დავით კარიჭაშვილის მეცნიერულსა და ლიტერატურულ ინტერესებსაც განსაზღვრავდა.

მისივე ბუდიდანო...

ამიტომაც ჩანვდებოდა ასე ღრმადო...

ნაბიჯ-ნაბიჯ შეაგროვებდა ბიოგრაფიულ ცნობებს და ერთიან ქარვას ისე აღადგენდა, თან ფსიქოლოგიური პორტრეტის შტრიხებიც თვალნათლივ გამოიკვეთებოდა.

და არამარტო მის ბიოგრაფიულ ქარვას მიადევნებდა ზოგად ფონსაც, არამედ ლიტერატურულ, ისტორიულ, ენათმეცნიერულ, ჟურნალისტურ, საგამომცემლო ნაღვანსაც, რადგანაც სხვათა დაკვირვებათა წრეში მოხვედრილ დავით კარიჭაშვილის მოსაზრებებს უფრო მკაფიოდ დაედასტურებინა მკითხველისათვის ამ პრობლემატიკის მნიშვნელობაც, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებულობაც და სიმწვავეც, და ის ისტორიული დანიშნულებაც, გზას რომ მიჰკვალავდა — ხან აგრძელებდა და ხანაც თვითონვე იწყებდა, შეგულიანებით ხომ აგულიანებდა თანამედროვეთაც და ახალ თაობებსაც სრული სურათების აღსადგენად და რაც შეიძლება გასათვალსაჩინოებლად.

ამასობაში ამა თუ იმ საკითხის, თემის, მტკიცების ისტორიაც იკვეთებოდა და მისი თვალის მიდევნებაც არამარტო შეავსებს მკითხველის ცოდნას, არამედ უბიძგებს უფრო ღრმად ჩახედვა-გარკვევისკენაც. და ეს როგორც დავით კარიჭაშვილის,

ისე ამ მონოგრაფიის ავტორის დამსახურებაცაა, ძალზე ფაქიზად, ნიუანსობრივად რომ უტრიალებს თვითეულ თემას და ყოველთვის იმ მთავარსა და არსებითს წარმოაჩენს, რაც ამ მტკიცებათა გულისგულია.

და წარმოაჩენს სტილური დახვეწილობითაც, რაც ნიშანდობლივია ლია კარიჭაშვილის მეცნიერულ ძიებათა ამეტყველებიას, რისი დასტურიცაა მისი ნარკვევებისა და სტატიების მთელი სერიაც, მათი ერთი ნაწილი უკვე კრებულადაც თავმოყრილი — „ვეფხისტყაოსანი“ და „პოსტმოდერნიზმი“ (2011) — მკვლევარის მრავალფეროვან ინტერესთა გამმყდენებელი, ერთბაშად იმდენ საკითხს რომ წამოჭრის და იმდენ მხარეს ეწევა თვითონ ავტორსვე, სხვა შესაძლოა კიდევ აზნეულიყო თუ გაღავებულიყო, მაგრამ ეს საფრთხე ოდნავადაც არ ემუქრება ლია კარიჭაშვილს, ვინც მიზანმიმართულად მიჰყვება ურთულეს თემატიკას — უმთავრესად მაინც შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის სამყაროებში ტრიალებს — და თანდათანობით ჰფენს ნათელს არაერთ საგულისხმო რეალიას. მის ძიებებში ბევრია „წვრილმანი“ (მხოლოდ ტექსტოლოგიური დაკვირვებანი არ იგულისხმება), მაგრამ ეს სწორედ ის წვრილმანებია, რომელთაც შეუძლიათ გაცილებით დიდი წრე თუ სივრცე აირეკლონ, და თანაც მკვიდრ საყრდენს ქმნიან ახალი მიგნებებისათვის, საბოლოოდ ყველაფერი ერის რაობის ირგვლივ რომ იყრის თავს.

სტილურ დახვეწილობას ხშირად შეეერევა ხოლმე ფაქიზი ლირიზმიც. ლია კარიჭაშვილმა ლექსებით დაიწყო და პოეტური კრებულიც აქვს გამოცემული — „მოხეტიალე ღიმილი“ (1996). და თუ მკაცრი მეცნიერული ანალიზისას გაურბის ლირიკულ წიაღსვლებს, ეს განცდა — პოეტური სანყისი — სტილურ სიმსუბუქეში ფეთქავს და ახალისებს მსჯელობას.

და როდესაც დავით კარიჭაშვილი ხელახლა წარმომდგარა თავისი კოლორიტული, ზნეობრივი სახებით, თვალნათლივ ვხედავთ, არცთუ ბედის ნებიერს ამჯერად მაინც გამართლებია, ღირსეული პატრონი და მოჭირნახულე რომ გამოსჩენია.





უაღრესად პატიოსანი კაცი იყო.  
**ექვთიმე თაყაიშვილი**

*ამ სიების (ნიგნებისა და ხელნაწერების) შემდგენელ-  
თა სახელი ყოველთვის მაღლობით მოიხსენიება შთამო-  
მავლობის მიერო, წერდა ილია. ამ საშვილიშვილო საქ-  
მის სრულყოფა დავით კარიჭაშვილს ხვდა წილად.*

**სოლომონ ცაიშვილი**

## **შესავალი**

საუკუნეთა განმავლობაში თავმოყრილი ქართული წერილობითი კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერული კვლევის ის უაღრესად საინტერესო სფეროა, რომელიც უნდა გამოვლინდეს, შეფასდეს და განისაზღვროს, როგორც ერის სულიერების ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი და მსოფლიო კულტურის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში აქტიურ მოღვაწეობას იწყებს ე.წ. თერგდალეულთა თაობა და მის გარშემო შემოკრებილი ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი. იქმნება ოფიციალური საზოგადოებები. ჩნდება ახალი პერიოდული გამოცემები.

ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძისა და ვახტანგ თულაშვილის ინიციატივით 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ძირითადი მიზანი იყო, მოეძია ძველი ხელნაწერები, ნიგნები, მოეხდინა მათი აღწერა-კატალოგიზაცია და გაერკვია ძველი წერილობითი მემკვიდრეობის ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება. საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

ხსნიდა სკოლებს, მუშაობდა სახელმძღვანელოების შედგენაზე. პირველ ყოვლისა, ცდილობდა ელემენტარული განათლება შეეტანა მოსახლეობის ფართო მასებში. საზოგადოებაში გამოსცა მრავალი წიგნი: მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი.

ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე სარაჯიშვილის, დავით კარიჭაშვილის და სხვათა ინიციატივით 1907 წელს ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ კვლევას უფრო ინტენსიური და ორგანიზებული ხასიათი შესძინა. ისტორიული მასალები და ნარკვევები იბეჭდებოდა საზოგადოების გამოცემებში („საქართველოს სიძველენი“, „ძველი საქართველო“...).

აღნიშნულ საზოგადოებებში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ თედო ჟორდანიას, ზაქარია ჭიჭინაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო დადიანი და მრავალი სხვა. ბევრ მათგანს, ევროპულ კულტურასა და განათლებას ნაზიარებს, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თავად უნდა ეპატრონათ წარსულისათვის, შეექმნათ აწმყო და განესაზღვრათ მომავლის ორიენტირები. ეს ის თაობაა, რომლის ცნობიერებაშიც სიტყვა „მამული“ ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავდაპირველ მნიშვნელობას და არ გაიგივებულა კერძო ქონებასთან. მათთვის ბუნებრივი და დამაჯერებელია ქართველი ჰაგიოგრაფისა თუ მემატინანის ენა, მისი აზროვნებისა და მეტყველების წესი, ამ თაობის დამოკიდებულებაში ძველ ქართულ წერილობით კულტურასთან ჯერ კიდევ არ გაბატონებულა ის უნდობლობა და გაუცხოება, რომელიც შემდგომი ეპოქის თავსმოხვეულმა იდეოლოგიამ მოიტანა.

„საუნივერსიტეტო ცენტრებს გარეშე სამშობლოში მუშაობს თავდადებული ენთუზიასტების მთელი წყება (დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, პ. ჭარაია, ნ. ხიზანიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე და სხვები). დაუვინყარია ამ მუშაკთა ღვაწლი. დიდი მსხვერპლი და გმირობა იყო საჭირო სამეცნიერო ლაბორატორიისკენ გზის გასაკვლევად. ვინც ახერხებ-



და მიეღწია აკადემიურ კარებისათვის თავის „ინოროდცობის“ დალით, ის სამუდამოდ უნდა მოსწყვეტოდა სამშობლო ქვეყანას. აქ დარჩენილნი კი, სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს მონყვეტილნი, ლუკმა-პურისათვის ზრუნვაში დაღუული დლით დაქანცულნი, ღამეებს სტაცებდნენ დროს, რომ თავიანთი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინტერესი მცირედ მაინც დაეკმაყოფილებინათ“ (ჯანაშია 1987: 404).

**XIX-XX** საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე თაობა თითქოს ერთგვარად დაიჩრდილა ისეთი დიდი სახელების გვერდით, როგორებიცაა: ილია, აკაკი, ვაჟა... პირწმინდად სამეცნიერო ასპარეზზე — კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი და სხვანი, მაგრამ სწორედ ამ თაობამ შექმნა ფუნდამენტი საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მეცნიერული კვლევისა. გარდა ამისა, სწორედ მათ შორის მოიძებნება უანგარო სამსახურისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითები. ამ თაობისა და ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლი მომავალს უნდა შეეფასებინა და, მართლაც, უკანასკნელ ათწლეულში გაჩნდა საგანგებო გამოკვლევები ექვთიმე თაყაიშვილის, მოსე ჯანაშვილის და სხვათა ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მათ გვერდით შრომობდა და, შეიძლება ითქვას, ამ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი დავით კარიჭაშვილი.

დავით კარიჭაშვილის პიროვნებას, მის როლსა და მნიშვნელობას **XIX-XX** საუკუნეთა მიჯნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კარგად წარმოაჩინეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ისტორია. ათწლეულების განმავლობაში იგი იყო ამ საზოგადოებათა ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დავით კარიჭაშვილის შესახებ საგულისხმო მოგონებები დაგვიტოვებს ექვთიმე თაყაიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, იპოლიტე ვართაგავამ და სხვებმა. ზოგადად ან ერთ-

თი ასპექტით არის მიმოხილული მისი სამეცნიერო ღვაწლი ალექსანდრე კიკვაძის, სოლომონ ცაიშვილის, იოსებ მეგრელიძის, სიმონ ჯანაშიას და სხვათა წერილებში, მაგრამ მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით წარმოჩნდებოდა დავით კარიჭაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის ყველა მხარე, დღემდე არ შექმნილა.

დავით კარიჭაშვილის შრომები დღეისათვის მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის არის ცნობილი. არადა, მისი შეუსვენებელი გარჯა სიცოცხლის ბოლომდე და მუდმივი სწრაფვა იმისკენ, რომ რაიმე შეეძინა თავისი ქვეყნის კულტურული განვითარებისა და თვითშემეცნებისათვის, ნამდვილად იმსახურებს არა მხოლოდ სპეციალისტთა, ფართო საზოგადოების ყურადღებასაც. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ, შევისწავლოთ, რას წარმოადგენს მისი მეცნიერული მემკვიდრეობა, რამდენად მნიშვნელოვანი და პროგრესული იყო მაშინ, საქართველოს სიძველეთა მეცნიერული კვლევის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, და რა ღირებულება აქვს მას დღევანდელი გადასახედიდან.

წინამდებარე ნაშრომი დავით კარიჭაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის წარმოჩენა-შეფასების ცდაა.

\* \* \*

განსაკუთრებული მადლიერებით მოვიხსენიებთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლევან მენაბდეს, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობითაც ვიმუშავეთ მონოგრაფიაზე. ნაშრომის ერთი ნაწილი წარდგენილი იყო სადიპლომო, ხოლო სრული სახით — საკანდიდატო დისერტაციის თემად.

სამწუხაროდ, ბატონი ლევანი დისერტაციის დაცვას ვერ მოესწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაგვიწია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნესტან სულავამ, რომელსაც აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

## თავი I

### დავით კარიჭაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება

#### ა) ცხოვრების გზა

დავით კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წელს გორის რაიონის (მაშინდელი მაზრის) სოფელ ხიდისთავში.

„ქალაქ გორიდან ორი ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფელი ხიდისთავი მტკვრის მარჯვნივ. ქართლში ამ სოფელს ბევრი სოფელი არ შეეძრება. ამას თითქმის, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს გორის მაზრაში. ხიდისთავი შემკულია ჰაერით, წყლით და მდებარეობითაც კარგი ადგილია. მინდორი და ტყე ახლო აქვს. ჩამოუდის მშვენიერი მდინარე ტანა. ამ მდინარით ირწყვის ის მშვენიერი ვენახები, რომლის ღვინო, შემდეგ მუხრანისა, განთქმულია მთელ ქართლში... მცხოვრებთ რიცხვი აქ ორას და ორასზედ მეტის მოსახლისაგან შედგება. ზაფხულობით აქ დიდი ხალხი მოდის. დღე მუდამ შეხვდებით ხიდისთავში გორელს. რათა? იმიტომ, რომ ამ გორელებს, მომეტებულად ვაჭრებს, ბევრი მამულები აქვსთ გლეხებისაგან შეძენილი... ნამეტნავად ვენახები. ვენახებში კარგი ლაზათიანი სახლები აქვსთ აშენებული, ორსართულიანებიც კი. მარნები, ქვევრები მოკირწყლული და მშვენიერის „ბესედეკებით“ მორთული („ივერია“, 1886).

იმდროისათვის ხიდისთავში კარიჭაშვილების გვარი საკმაოდ მკვიდრი და მრავალრიცხოვანი ჩანს. ამას მოწმობს

საგვარეულო სასაფლაო და საგვარეულო სალოცავად მიჩნეული წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული პატარა ეკლესია, რომელიც ატენის ხეობაში მდებარეობს. ხიდისთავში მოსახლე კარიჭაშვილებში დღესაც ცოცხალია ლეგენდა, რომელმაც ისინი ამ ეკლესიასთან დააკავშირა.

სოფელში ცხოვრობდა სიმამაცითა და შეუპოვრობით განთქმული ვაჟკაცი ნიანია კარიჭაშვილი. იგი განუყრელად ატარებდა იარაღს და ფხიზლად დარაჯობდა სოფელს, რათა შემოპარულ ლეკებს არ აეკლოთ და დაეზარალებინათ მოსახლეობა. ერთხელ ნიანიას ატენის ხეობაში, ეკლესიის სიახლოვეს დასძინებია. ამ დროს ტყიდან გამოჩენილან ლეკები, რომელთა შეუმჩნეველად მიძინარე ვაჟკაცი და მისი შეპყრობა განუზრახავთ. გადამწყვეტ მომენტში ნიანიას რალაც ძალამ მოსალოდნელ საფრთხეზე მიაჩინა და უეცრად გამოაღვიძა. მან მოასწრო მტერს დახვედროდა, მოიგერია და თავიც გადაირჩინა. ეს გამარჯვება ნიანიამ წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასწაულმოქმედებად მიიჩნია. მუხლი მოიყარა, ილოცა და აღთქმა დადო, რომ ამიერიდან ეს ეკლესია მისი შთამომავლების სალოცავი იქნებოდა.

დავითის მამა, გიორგი, სასულიერო პირი იყო. იგი ხიდისთავის ეკლესიაში მსახურობდა და, როგორც ნაკითხი და გულისხმიერი ადამიანი, თანასოფლელთა სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა; ამიტომაც მისი გარდაცვალება (1886) დიდ დანაკარგად აღიქვა სოფელმა. „ივერიის“ კორესპონდენტი, რომელიც გიორგი კარიჭაშვილის დაკრძალვას დაესწრო, წერდა: „გლახკაცობა და მრთლად საზოგადოება ხიდისთავისა დღეს ძალიან ჰსწუხს: მან დაჰკარგა სიყმანვილითვე მათთან შეზრდილი, აქ დაბერებული მღვდლობაში, მოხუცი სამოც-და-ათის წლისა, დეკანოზი გიორგი კარიჭაშვილი. იგი, როგორც კეთილი მოძღვარი და მშვიდი კაცი, მრევლისაგან შეყვარებული და შეტკობილი — მრევლმა გულ-მტკივნეულად მიაბარა საუკუნოდ შავ მიწას“ („ივერია“ 1886).



*და-ძმანი: სოფიო, მელანია, ანა, დავით და ნიკოლოზ კარიჭაშვილები*

გიორგი მეუღლესთან — ეკატერინესთან — ერთად ხუთ შვილს ზრდიდა. ორ ვაჟს (დავითი, ნიკოლოზი) და სამ ასულს (მელანო, ანა, სოფიო).

გიორგი კარიჭაშვილს, ძველი ქართული მწერლობის დიდ მოყვარულს, ახლო ურთიერთობა ჰქონია იმ დროს ხიდისთავში



დავით კარიჭაშვილი (უმცროსი)



მეულლე — თამარ მათიკაშვილი

მოსახლე გამოჩენილი დრამატურგის, გიორგი ერისთავის ოჯახთან და ეს სიახლოვე დიდად უწყობდა ხელს მის შვილებში ქართული კულტურისა და ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებას. ვაჟები მამის კვალს გაჰყვნენ და სასულიერო განათლების მიღება გადაწყვიტეს. მალე ნიკოლოზ კარიჭაშვილმა მამის მრევლი ჩაიბარა, დაოჯახდა და 1920 წლამდე (ვიდრე მიწისძვრის გამო სახლი დაენგრეოდათ) ცხოვრობდა ხიდისთავში.

დავითი 1869 წელს შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში. ელისაბედ ერისთავს ასეთი დაამახსოვრდა იგი: „სხვათა შორის იყო ერთი ყმანვილი, თოთხმეტი-თხუთმეტი წლის, ფერმქრალი, განყობილი სახე, დიდი შავი თვალები, ჭკვიანი გამომეტყველებლისა, მუდამ წიგნებით ხელში და სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდა და ისევ ბაღში ხეს ქვეშ ვნახავდით მკითხავსა. ეს იყო დავით კარიჭაშვილი. ჩვენ პატარები დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით“.

1876 წელს დავითი ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იმ დროს სემინარიაში საკმაოდ დაძაბული მდგომარეობა იყო. მოსწავლეებს მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა უნდა ეკითხათ, თუმცა ისინი მაინც ახერხებდნენ გასცნობოდნენ აკრძალულ წიგნებს.

1880 წელს დავით კარიჭაშვილმა სასულიერო სემინარია დაამთავრა და სწავლის გაგრძელების მიზნით პეტერბურგს გაემგზავრა. იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ რუსეთში დამყარებული აუტანელი რეჟიმი განსაკუთრებით უნივერსიტეტში იგრძნობოდა. ამ გარემოების გამო 1883 წელს ქართველ სტუდენტთა პატარა ჯგუფმა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. მათ შორის იყო დავითიც, რომელიც ჯერ შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს (1883-84), შემდეგ პარიზის უნივერსიტეტში გადაინაცვლა და იქ 1886 წლამდე დაჰყო.

ამ წლებში დედისგან მიღებულ წერილებს (ხელნაწ. 4521) დავითი სიკვდილამდე ინახავდა.

*[„11 ოქტომბრისა 1883 წ.*

*შვილო დათიკო,*

*პირველად მოგიკითხამთ და შემდგომ ამისა ეგ რა ფიქრათ მოგსვლია რომ უფრო შორ წასულხარ, როგორ უნდა მოგანვდინოთ წიგნი. ამ ადრესის დამწერს ვერა ვშოვობთ, ეხლაც ძლივ ეშოვნა. რაც ჩვენ მნუხარება ვნახეთ შენზედ მანდ წასვლაზედ. ნაჩაღნიკმა დაიბარა მამაშენი და ეთქვა შენი შვილი რა სახისა არიო და რა ტანისაო, ყველაფერი გამოეკითხა. იმას გვეუბნებიან იქ რათ წასულაო. იქ არიანო იმისთანა ხალხიო, სულ იქ არიანო წინააღმდეგნი ღვთისა და ხელმწიფისაო. შენ გენაცვალოს დედა. ჩვენი სიბრაღული იქონიე და გაფრთხილდი არავინ შეგაცდინონ და ქვეყნის მასხარად ნუ გაგვხდი. ჩვენ სამხიარულოდ გვინდა შენი თავი. აი, შვილო ეხლა კი გიგ ზავნის ოთხას თუმანსა ფულსა და შემდეგ სამს მეტს აღარ გამოგიგ ზავნიო. ის იკმარეო.*

*...მამაშენმა შემოგიტვალა რადგანაც ამდენს შრომას ენევი და ამოდენა ხარჯია, ისევ დოქტურის ნაწილში შედი, სხვაგან გადმოდი ან პარეუში ან ადესაში, ისევ დოქტურობის ნაწილში შედი... ესე ჩემო დავით. იმასაც ამბამენ იქ წასწავლს აქ არ მიიღებენო. რათ გინდა იმისთანა სწავლა თუ კი აქ არ გამოსდ-*



ელენე — დავითის ქალიშვილი



ქეთევანი — დავითის ქალიშვილი

გება. ეცადე რომ სხვაგან გადახვიდე ან პარეუში ან ადესას.

ვინძლო გაფრთხილდე. არაში გეება თორემ თავის დღეში თვალით აღარ დაგინახამ და რას გამოგიგზავნი.

თქვენი კეთილის მოსურნე დედა ეკატერინე“.]

დავით კარიჭაშვილის ინტერესები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო სფეროს მოიცავდა. მან მოისმინა სალექციო კურსები ლიტერატურაში, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში, შეისწავლა ბუნებისმეტყველებაც. ოჯახი ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მას, მაგრამ დავითმა დიდხანს მაინც ვერ შეძლო საზღვარგარეთ ცხოვრება. 1886 წელს, მამის გარდაცვალების გამო, იგი საქართველოში დაბრუნდა.

ამ დროიდან იწყება დავითის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება. პირველად იგი მიიწვიეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ფრანგული ენის მასწავლებლად. 1887 წლიდან უკავშირ-

დება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის სამსახურსაც თითქმის მთელი ცხოვრება მიუძღვნა. საზოგადოებამ პირველი სათავადაზნაურო სკოლა ქუთაისში გახსნა და დავითიც 1886 წელს, მასწავლებლის მისიით, ქუთაისს გაემგზავრა. იგი 1891 წლამდე აქ ცხოვრობდა, ვიდრე საზოგადოების მდივნად დაინიშნებოდა.



ქუთაისში დავითი დაუახლოვდა მაშინ საკმაოდ ცნობილი ადვოკატის ევგენი ქუთათელაძის ოჯახს და იქორწინა მის დაზე — მარიამზე.

1891 წელს დავითი მეუღლესთან ერთად თბილისში დაბრუნდა. მათ ვარდისუბნის (ახლანდელი წყნეთის) ქუჩაზე დაიდეს ბინა, ოთხი შვილი შეეძინათ: ვაჟი — დავითი, და ქალები: ქეთევანი, ეკატერინე და ელენე. შემდგომ სამივე ქალიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყვა. დავითმა უმაღლესი განათლება საფრანგეთში მიიღო. ოფიციალური ცნობით, ერთხანს (1914-1915) იგი გორში გამომავალ გაზეთს — „ახალ ქართლს“ რედაქტორობდა. ამ საკითხზე განსხვავებულ ცნობას გვანვდის ალექსანდრე კიკვაძე. იგი წერს: „1914-1915 წლებში დავით კარიჭაშვილის (იგულისხმება უფროსი დავითი — ლ.კ.) რედაქტორობითვე ქ. გორში გამოდიოდა გაზეთი „ახალი ქართლი“ (კიკვაძე 1948).

ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ, 1895 წლიდან დავითმა მუშაობა განაგრძო თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც 1915 წლამდე ასწავლიდა ქართულსა და ფრანგულ ენებს. ამავე დროს ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა.

1926 წელს გარდაეცვალა მეუღლე. მალე მისი ჯანმრთელობაც შეირყა. დავით კარიჭაშვილი გარდაიცვალა სახადით 1927 წლის 26 ივლისს. მწერალთა კავშირის თაოსნობით იგი სათანადო პატივით დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



*ეკატერინე — დავითის ქალიშვილი მეუღლესთან ერთად*



*დავითის შვილიშვილები:*

*ნოდარ და შოთა ხუხუნაიშვილები*

*ნანი კარიჭაშვილი*



## ბ) საზოგადო მოღვაწე

მისი სახელი სტუდენტობის დროიდან გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე. 1885 წელს „დროებასა“ და „ივერი-აში“ დაიბეჭდა პარიზიდან გამოგზავნილი რამდენიმე კორესპონდენცია, რომელთა ძირითადი თემა საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა და სიახლენი იყო. სამშობლოში დაბრუნებულ დავითს საშუალება მიეცა ახლოს გასცნობოდა აქაურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. იგი ხედავდა მასში მიმდინარე დადებით და უარყოფით მოვლენებს. ამ ყველაფერს სათანადო შეფასება მისცა წერილში „საქებართა ქეზანი“. 1887 წელს წერილი ცალკე ნიგნაკად გამოიცა. მისი ადრესატია იმ დროს საფრანგეთში მცხოვრები სტუდენტი პეტრე მირიანაშვილი, რომელსაც დავით კარიჭაშვილი შთაბეჭდილებებს უზიარებს.

აი, რას წერს იგი ქართულ ენასთან დაკავშირებით: „ჩვენს მწერლებს სამართლიანად და ჭკვიანურად (ცხადია, უფრო ჭკვიანურად) უარუყვიათ ქართული ენა სასაუბრო ლაპარაკის დროს. ისინი იშვიათად თუ იტყვიან ერთ-ორ სიტყვას ქართულად (ამასაც იმედია, მალე დაივიწყებენ), ხოლო წერით კი ისევ ქართულად სწერენ. „ივერია“ და „თეატრი“ რო იცოდე, ქართულ ენაზე იბეჭდებიან კიდევ... ჩვენი გამოჩენილი მწერლები, ზ. ჭიჭინაძით დაწყებული ი. გოგებაშვილამდის, რომელთაც მათდა სასიქადულოდ ხმარებითგან გაუდევნიათ ქართული ენა, კიდევ წერით ქართულადა სწერენ. გასაკვირველია კაცის ბუნება, ზ. ჭიჭინაძე და ი. გოგებაშვილი იმას ჩადიან და სხვა წვრილფეხა მწერლები რასლა იქმონენ!“ (კარიჭაშვილი 1887:16)

სალიტერატურო ენის საკითხთან დაკავშირებით, დავითი წერდა: „ჩვენი ენის უპირველესნი ბურჯნი, რომელთაც მისი განვითარება უმანკოებამდის უნდა მიიყვანონ და ფიქრობენ აღადგინონ იმავე შეუდარებელის სიმშვენიით, რომლითაც ლაპლაპობს „დაბადების“ და „წყობილსიტყვაობის“ ენა, თითქმის აჭარბებენ წმ. მამათა გიორგი და ევთიმეს და ანტონ კა-

თალიკოზს. ჩვენი მწერლები საბუთიანად ფიქრობენ, რომ ძველის ქართულის ენის სიმშვენიერეს მარტო „დაბადების“ და „წყობილსიტყვაობის“ ენა შეიცავს და არა „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“ და „სიბრძნე-სიცრუისა“. მაგრამ, დროთა ვითარებამ ჩვენი მწერლობა აიძულა სხვა და სხვა კომპრომისები გაემართა. რაკი ძველი „დავითიანის“ ენა ბევრისთვის გაუგებარი გახდა, ამიტომ დღეს ორი კილო დადგინდა ჩვენს მწერლობაში (გაზეთობაში). პირველის კლასიკურის ანუ ანტიკონურის კილოთი იბეჭდებიან მეთაური წერილები არხეოლოგოსთა, პალეოგრაფოსთა, ლინგვისტთა, ფილოლოგოსთა და სხვათა მსგავსთათვის. მეორე — ავლაბრულის ანუ ახალის კილოთი იწერებიან ახალი ამბები, მოთხრობები, რომანები და უმეტესად სათეატრო პიესები ჩვენისთანა უბრალო ხალხისთვის. პირველს კილოს ის სიკეთე სჭირს, რომ გადართარგმნი თუ არა რუსულად სიტყვასიტყვით, ალაგის შეუცვლელად, გამოვა მშვენივრად გასაგები რუსული. მეორე კილოთი დაწერილის სიკეთე ისაა, რომ ყველაზე მეტად ავლაბრელებს მოსწონთ“ (კარიჭაშვილი 1887:20-21).

ამ ღია წერილით დავით კარიჭაშვილიმა ამხილა საზოგადოების მანკიერი თვისებები, გულგრილი დამოკიდებულება საერთო საქმისადმი, მშობლიური ენისადმი და სხვა. პრობლემები, რომლებიც 25 წლის ახალგაზრდამ სამსჯავროზე გამოიტანა, იმდენად რეალური და სერიოზულია, თანაც წერილის ენა ისე ცოცხალი და სარკაზმულია, რომ დღესაც დიდი ინტერესით იკითხება და რჩება შთაბეჭდილება, რომ 115 წლის წინათ წამოჭრილი პრობლემები ჯერ კიდევ აქტუალურია.

თავდაპირველად დავით კარიჭაშვილიმა ბელეტრისტიკასა და თარგმანში სცადა კალამი. მისი ორიგინალური თხზულებებია პატარა მოთხრობა „უცხოეთში“ და „სამი მსხვერპლი“, რომელიც 1887 წელს წიგნად გამოიცა.

თარგმნა მოპასანის („მონაკოს პატიმარი“, „გლახა“), ვოლტერის („გონების ქება“), შარლ დაგეს („მკვდრის თითი“), ესენტერის („უფსკრული“) ნაწარმოებები.

განსაკუთრებულია დავით კარიჭაშვილის ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. იგი ამ საზოგადოების მდივანი იყო 1899 წლამდე (თავმჯდომარე — ილია ჭავჭავაძე); 1892 წელს აირჩიეს საზოგადოების გამგეობის წევრად; 1914 წლიდან თავმჯდომარის (გიორგი ყაზბეგის) ამხანაგია, 1918 წლიდან — საზოგადოების საპატიო წევრი და გამგეობის თავმჯდომარე. 1922 წლამდე საზოგადოების ბიბლიოთეკა-ნიგნსაცავისა და მუზეუმის გამგის მოვალეობას ასრულებდა. 1922 წლიდან გარდაცვალებამდე (1927) საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეა (თავმჯდომარე — იასონ ლორთქიფანიძე). საზოგადოების კუთვნილი ხელნაწერების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადატანის შემდეგ დავით კარიჭაშვილიც უნივერსიტეტში გადავიდა, მუშაობდა საზოგადოების ფონდის სწავლულ მცველად და ქართული მწერლობის კათედრის (ხელმძღვანელი კორნელი კეკელიძე) ასისტენტად.

1899 წელს დავით კარიჭაშვილმა საზოგადოების მდივნის მოვალეობის შესრულება შეწყვიტა. ამასთან დაკავშირებით „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ პატარა წერილში ნათქვამია: „ამ რვა წლის განმავლობაში თუ შესამჩნევი ზრდა და წარმატება შეეცყო ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ეგ სწორედ პატივცემულის კარიჭაშვილის ნაყოფიერის შრომით და ნათელის გონებით არის მიღწეული“ („ცნობის ფურცელი“ 1899).

წერილში ხაზგასმულია, რომ დავით კარიჭაშვილის მდივნობის დროს მოწესრიგდა საზოგადოების საქმეთა წარმოება, შემოსავალ-გასავლის წესი. გაფართოვდა წიგნით ვაჭრობა, რაც შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო საზოგადოებისათვის და დასრულდა ნიგნსაცავისა და არქეოლოგიური ნივთების სისტემატური აღწერის-კატალოგიზაცია, რაშიც დავით კარიჭაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. იგი მოითხოვდა, რომ, პირველ ყოვლისა, გადაჭრილიყო ხელნაწერების დაცვისა და მოწესრიგების საკითხი.

„უმთავრესი საზრუნავი ისაა, რომ ჭიასა და ნესტს გამოვაცალოთ მწერლობის სახსოვრები და მოვათავსოთ კარგად შენახულს საცავებში. სახსოვრების სახელებისა და შინაარსების გაგება პირველი ფეხის გადადგმა იქნება მწერლობის ისტორიისკენ“, — წერდა იგი (კარიჭაშვილი 1888:2-3).

1898 წელს დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო მუზეუმის გახსნის საკითხი. დავით კარიჭაშვილს უაღრესად საშურ და აუცილებელ საქმედ მიაჩნდა ცალკე შენობის აგება მუზეუმისთვის, სადაც თავს მოიყრიდა წარსულის ნაშთები, იქნებოდა ის ნივთიერი თუ წერილობითი, აქვე გადავიდოდა მანამდე თავად-აზნაურთა ქარვასლის შენობაში განთავსებული ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავი, რომელიც, ფაქტობრივად, დაუცველი იყო. შემდეგ კი დაინწყებოდა ამ ყველაფრის შესწავლა-სისტემატიზაცია. „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნსაცავში შეგროვილის მწერლობის ნაშთების შესწავლა, უეჭველია, ბევრს ისეთს რასმე აღმოაჩენს, რაც ჯერ არავინ იცის და რაიცა დაგვიმტკიცებს ქართულის ენის განვითარებას, ქართულის ლიტერატურის სიმდიდრეს, ქართველების წარმატებულს ცხოვრებას წარსულში, მის პოლიტიკურს ძალ-ღონეს და ეროვნულ სიცხოველეს. ასეთი შესწავლა შეგროვილის მასალისა ფრიად მაღლა ასწევს უცხოთა თვალში ქართველების ვინაობას, ხოლო ჩვენ, ქართველებს, გაგვითვალისწინებს რა ჩვენს წარსულს, იმედიანად და სასოებით შეგვახედებს მომავლისაკენ და ერთი ათად მეტს სულიერსა და ზნეობრივს ძალას ჩავგებერს განვითარებისათვის სამეცადინოდ“, — წერდა დავითი (კარიჭაშვილი 1898).

1905 წელს დაიბეჭდა მის მიერ შედგენილი კატალოგი ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისა, რომელიც თავის დროზე S ფონდის ყველაზე სრულ და სანდო აღწერილობად ითვლებოდა. კატალოგი 19 განყოფილებას მოიცავს. თითოეული განყოფილება შედგება ორი ნაწილისაგან: I — ხელნაწერი და II — დაბეჭდილი წიგნები (სულ

3875 ერთეული). ხელნაწერებს დართული აქვს იმდროისათვის ცნობილი ყველა მონაცემი: თხზულების სახელწოდება, ავტორისა თუ მთარგმნელის სახელი, დაწერის ან გადაწერის დრო, მასალა (ეტრატი, ქალაღდი), ხელი ნაწერისა (ხუცური, მხედრული) და სხვა.

კატალოგის წინასიტყვაობაში დავითი წერდა: „ამ კატალოგის გაცნობის შემდეგ, იმედი გვაქვს, ყოველი ქართველი მიაწოდებს წიგნთსაცავს იმ ხელთნაწერს და დაბეჭდილს წიგნებს, რომლებიც აკლია მას. ამნაირად ეს წიგნთსაცავი მალე გადაიქცევა ნამდვილს საერო ბიბლიოთეკად, სადაც იქნება თავმოყრილი მთელი ჩვენი სულიერი განძი“.

1911 წელს კატალოგის დამატება გამოქვეყნდა. წიგნიერი საზოგადოება ამ ფაქტს დიდი მოწონებით შეხვდა. „კატალოგში ბევრი ისეთი ცნობებია, რომელნიც ნათელს ჰფენენ ჩვენს ძველი დროის ცხოვრებას, ამიტომაც არ შეგვიძლია, არ მივულოცოთ ბ. კარიჭაშვილს გამარჯვება ამ საქმეში“, — წერდა მოსე ჯანაშვილი (ჯანაშვილი 1895).

დავით კარიჭაშვილი მეთვალყურეობას უწევდა ქ.მ.წ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით დაარსებულ სკოლებს. ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ადგილზე ეცნობოდა სკოლების მდგომარეობას, მათ პრობლემებს და შემდეგ ვრცელი მოხსენებებით გამოდიოდა საზოგადოების გამგეობის სხდომებზე; განსაკუთრებით აწუხებდა სახელმძღვანელოების სიმცირე. 1900 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე დავითმა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის საკითხი დასვა. ექვთიმე თაყაიშვილსა და გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად მასვე დაევალა ამ სახელმძღვანელოებში შესატანი თხზულებების შერჩევა.

1907 წელს სპეციალურმა კომისიამ (წევრები: ი. ფერაძე, ი. აბულაძე, ა. მირიანაშვილი, ს. გორგაძე) დავით კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით შეადგინა ქართული ენის პროგრამა საშუალო სკოლებისათვის (საქართველოს... 1951:219).

დავით კარიჭაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას, რისი წყალობითაც მოზარდი თაობა თავისუფლდებოდა „გონებრივის წამებისაგან და ზნეობრივის ჩაგვრისაგან“. ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში იგი აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ მშობელთა ერთი ნაწილი დაბნეული იყო, შიშობდა, რამდენად მომგებიანი იქნებოდა ქართულ სკოლაში სწავლა. ექნებოდათ თუ არა მათ შვილებს ისეთივე უფლებები, როგორიც რუსული სკოლის კურსდამთავრებულებს. „ის ქართველი, რომელიც ახლა უარსჰყოფს ქართულს სკოლას და თავის შვილებისთვის არ ნდომულობს სამშობლო ენაზე სწავლას, არის არა მარტო სამშობლოს უარყოფელი და მოღალატე, არამედ თავისი შვილების მტერიც“, — აცხადებდა დავითი, თუმცა იქვე დასძენდა: „ჩვენ არა გვგონია, რომ ქართველს მშობლებს ქართულის სკოლის უარყოფა მართლა სამშობლოს ღალატით მოსდიოდეთ, დარწმუნებული ვართ, ამის მიზეზია საქმის გაუგებრობა და შეცდომა, რომლებშიც მშობლები შესულან ქართველების მოძულეთა რჩევით და ჩაგონებით“ (კარიჭაშვილი 1917:347).

ქართული ენის ცოდნა, დაცვა და სათანადო პატივისცემა, როგორც უდიდესი ეროვნული ღირებულებისა, ყოველთვის უპირველესი და უმწვავესი საკითხი იყო დავითისათვის.

ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში დავით კარიჭაშვილის წვლილის შესახებ სიმონ ჯანაშია დიდი გულისხმიერებით და ერთგვარი თანაგრძნობით წერდა: „35 წელი ემსახურა პატიოსნებით იმ საქმეს, რომლის ორგანიზაცია არის ბრწყინვალე აქტი ქართული საზოგადოებრიობისა წინარევოლუციურ ხანაში და რომელმაც ერთადერთმა იმ პირობებში შესძლო ყველა ქართული სასიცოცხლო ძალის გაერთიანება ეროვნულ-კულტურული იდეის გარშემო. მთელი თავისი ზნეობრივი და ფიზიკური ენერგია შესწირა მან ამ საქმეს და უთუოდ ელოდა, რომ ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოება იტყოდა მის საფლავზე პირველ სიტყ-



ვას, მაგრამ ბედისწერამ თვით მას დააკისრა საზოგადოების საბოლოო ლიკვიდაცია სულ რამდენიმე თვით ადრე გარდაცვალებამდის“ (ჯანაშია 1987:370).

1927 წელს ქ.მ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოება გაუქმებულად გამოცხადდა.

დავით კარიჭაშვილი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, რომელიც 1907 წელს დაარსდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოების მუშაობაში (დღიდან დაარსებისა იყო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი; მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე — 1915 წელს; სხვადასხვა დროს — თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი). უძღვებოდა საჯარო კრებებს, მოხსენებებით გამოდიოდა და ხშირად ბეჭდავდა თავის გამოკვლევებს საზოგადოების გამოცემებში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1908 წელს დავით კარიჭაშვილის ინიციატივით დაარსდა ლინგვისტური განყოფილება, რომელსაც თვითონვე თავმჯდომარეობდა. ამ განყოფილების მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის განვითარებას საქართველოში.

1914-1915 წლებში გორში გამოდიოდა გაზეთი „ახალი ქართლი“, რედაქტორ-გამომცემელი დავით კარიჭაშვილი იყო, თანამშრომლობდნენ: ნიკო ლომოური, თედო ჟორდანია, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე მთვარელიძე, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, დავით ვედრებისელი, გიორგი ნამორაძე და სხვები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში ნათქვამია, რომ გაზეთს გამოსცემდა დავით კარიჭაშვილი, ხოლო რედაქტორ-გამომცემელთა საძიებელში (გვ. 256) მითითებულია, რომ გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო დავით კარიჭაშვილი (შვილი), ე.ი. დავითის ვაჟიშვილი. მეორე (არაოფიციალური) ცნობით, გაზეთის დაარსება უფროს დავითს მიეწერება (კიკვაძე 1948).

ჩვენ გადაჭრით არ შეგვიძლია ვთქვათ, ვინ იყო გაზეთის გამომცემელი, მამა თუ ვაჟიშვილი. უმცროსი დავითი იმ დროს საკმაოდ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, 24-25 წლისა. იგი პარიზში დაეუფლა ეკონომისტის პროფესიას, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას და საფუძვლიანად იცნობდა როგორც ქართულ, ისე ევროპულ მწერლობას.

საგულისხმოა, რომ გაზეთის რედაქტორისთვის ეკონომიკური პრობლემატიკა პრიორიტეტული ყოფილა.

„ახალი ქართლის“ ერთ-ერთ პირველ სტატიებში „ჩვენი რწმენა და დანიშნულება“ გაცხადებულია, რომ გაზეთის მიზანია „ცოცხალის სიტყვით და უანგარო შრომით დახმარება და ხელმძღვანელობა გაუნიოს საქართველოს შუაგული პროვინციის ეკონომიურის და, საერთოდ, კულტურულის აღორძინების საქმეს. პოლიტიკურს საკითხებზე წინ ჩვენ დავაყენებთ ადგილობრივ საჭიროებათა გამორკვევას, ქართლის კულტურულს მოღვაწეებს გვერდში ამოვუდგებით და ვეცდებით სამსახური გაუწიოთ ჩვენი ხალხის გათვითცნობიერებას. ...ჩვენი გაზეთი დაეხმარება სოფელს, მის ფეხზე წამოყენებას, მისი განათლებისთვის დასდებს თავს, მის კეთილდღეობას მოახმარს თავის ძალ-ღონეს. ...ჩვენი პატარა ქალაქის გაუმჯობესებას, ქალაქში მრეწველობის ფეხის ადგმას, ვაჭრობის განვითარებას და სწავლის გავრცელების საქმეს ჩვენი ერთგულება არ მოაკლდება“ („ახალი ქართლი“ 1914).

გაზეთი კვირაში ორჯერ გამოდიოდა. მან მხოლოდ ორი წელი იარსება, გამოვიდა სულ 63 ნომერი.

დავით კარიჭაშვილი პუბლიცისტური წერილებით ეხმაურებოდა იმ სიახლეებს, რომლებიც თავს იჩენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურასა და მეცნიერებაში. სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში; ექიმაგებოდა თავის ხალხს და იცავდა მის ეროვნულ ინტერესებს უცხოელთა სტატიების საპასუხო წერილებში.

1882 წელს პარიზში გამოიცა ორსოლის წიგნი „კავკასია და სპარსეთი“. ავტორს საქართველოსა და სპარსეთში მოგ-

ზაურობის შემდეგ დაუნერია იგი. საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ გავრცელებულ ცნობებს დავით კარიჭაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ევროპა თუ გვიცნობს ჩვენ, ამისთანა თვალის გადავლებით გვიცნობს, თორემ ჩვენს მათიანეებს არა ჰკითხულობენ“, — წერდა იგი (კარიჭაშვილი 1885).

ორსოლი წიგნში ქართველთა ზნე-ჩვეულებებს აღწერს. მისი აზრით, ქართველი ხალხი თუმცა ნიჭიერია და სიმპატიური, მაგრამ ზარმაცია, არც მოყვასის სიცოცხლეს ინდობს და არც საკუთრებას სცემს პატივს. ამავე დროს ორსოლი საუბრობს ქართველთა ხელმარჯვეობაზე; აქ განვითარებულ ხელოსნობასა და ვაჭრობაზე. აღნიშნავს, რომ ქართველები პოეზიის მოყვარულნი არიან, ჰყავთ განათლებული ქალები და სხვა.

„საკვირველია, ღმერთმანი, — წერდა დავით კარიჭაშვილი, — ის ერი, რომელმაც ზეპირად იცის რუსთაველის, ორბელიანის, წერეთლის, ერისთავების პოემები, როგორ უნდა იყოს ისე დაცემული, რომ არც შრომა, არც საკუთრება და არც მოყვასის სიცოცხლე არაფრად მიაჩნდეს. ერთის მხრით, ორსოლი ხატავს ქართველებს ისე, თითქოს განვითარების უმაღლეს ხარისხზე მისულიყონ... მეორეს მხრით, იგი ხატავს ქართველებს ბარბაროსებად“ (კარიჭაშვილი 1885).

დავით კარიჭაშვილის აზრით, ორსოლის ასეთი შთაბეჭდილება ქართველ ხალხზე განაპირობა მისმა ზედაპირულმა წარმოდგენამ ამ ქვეყანაზე და იმ მგზავრთა მონაყოლის გავლენამ, რომლებიც საქართველოს ასევე ზედაპირულად იცნობდნენ.

1913 წელს თბილისში გამოიცა რუსულენოვანი ჟურნალი „Кавказская школа“, რომლის პირველ ნომერს დავით კარიჭაშვილი სარეცენზიო წერილით გამოეხმაურა. ჟურნალში დაბეჭდილია ნ. სპილიოტის სტატია „სკოლიდან უნივერსიტეტამდე, ამიერკავკასიის განათლების ისტორიის მიმოხილვა“. სტატიაში საუბარია სწავლა-განათლების მდგომარეობაზე.

რეობის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ავტორი მდგომარეობას სავალალოდ წარმოსახავს, იმონ-მებს ფრაგმენტებს რუს მოხელეთა მიმონერიდან. „აქაურის თავად-აზნაურობის უმეცრება ისე დიდია, რომ მის უმეტეს-მა ნაწილმა სამშობლო ენაც კი არ იცის კანონიერად“; „თავადების საკმაო ნაწილმა არ იცის ქართული კითხვა“. შემდეგ წარმოჩენილია სამღვდელოების მძიმე მდგომარეობა ამავე თვალსაზრისით. საბოლოოდ, ნ. სპილიოტი აყალიბებს დასკვნას, რომ „რუსთა მფლობელობის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში განათლების მხრით სუფევდა თითქმის პირვანდელი წყვედიადი“. დავით კარიჭაშვილმა ეს შეხედულება უსამართლოდ და ტენდენციურად მიიჩნია. იგი წერდა: „ისტორიკოსი ვალდებულია ყველაფერს თავისი შესაფერისი სახელი უწოდოს. ეს იყო დრო ქართველის ერის უკიდურესის დაქვეითებისა პოლიტიკურად და ნივთიერად და რა საკვირველია, რომ განათლებაც დაქვეითებულიყო. ბ-ნი სპილიოტი ამბობს, მე არ შევეხები იმ მიზეზებს, რომლებმაც საქართველოში სწავლა-განათლება ასე დააქვეითაო, ჩვენ კი გვგონია, რომ ისტორიკოსს უთუოდ უნდა აღენიშნა ეს მიზეზები, რომ ცხადი ყოფილიყო მკითხველებისთვის, თუ რანაირის წარსულის მქონე ხალხის სწავლა-განათლების ისტორიის დაწერას გვპირდება ავტორი“ (კარიჭაშვილი 1913:235).

მრავალმხრივია დავით კარიჭაშვილის მეცნიერული ინტერესები. იგი იყო ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, რუსთველოლოგი, ენათმეცნიერი, რედაქტორ-გამომცემელი, ისტორიკოსი, ლექსიკოგრაფი. იკვლევდა ქართული წიგნისა და, ზოგადად, წიგნის ბეჭდვის ისტორიას. ავტორია მრავალი პუბლიცისტური წერილისა და რეცენზიისა. მასვე ეკუთვნის „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“. ეს არის ერთ-ერთი პირველი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი და მოიცავს 1819-1904 წლების თითქმის მთელ ქართულ პერიოდიკას. მოკლედ მიმოხილულია შემდეგი გამოცემები: „საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“, „ტფილი-

სის უწყებანი“, „კავკასიის მხარეთა უწყებანი“; ჟურნალები: „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“, „იმედი“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „მოგზაური“; გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „შრომა“, „თეატრი“, ჟურნალი „კვალი“, გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „გუთნის დედა“, „სასოფლო გაზეთი“, „მეურნე“, „ცისკარი“; ჟურნალები: „ქართული ბიბლიოთეკა“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, გაზეთი „მწყემსი“, ჟურნალი „საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბე“. გარდა იმისა, რომ მკვლევარი წარმოგვიდგენს პროგრამებს, რომელთაც ესა თუ ის გამოცემა სთავაზობდა მკითხველს, გვანვდის მეტად საინტერესო ცნობებსაც იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების, ჟურნალ-გაზეთთა დამაარსებლების, თანამშრომლების, მათი მოღვაწეობისა და ურთიერთობების შესახებ.

როგორც დავით კარიჭაშვილის ცხოვრების გზა, ისე მისი მეცნიერული დანატოვარი უდავოდ მიანიშნებს იმ თავდაუზოგავ შრომაზე, რომელიც ამ ადამიანს გაუწევია მოღვაწეობის 40 წლის განმავლობაში.

## თავი II

### დავით კარიჭაშვილის ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევები

#### ა) გამოქვეყნებული ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები

დავით კარიჭაშვილის შეხედულებანი რიგ ლიტერატურულ საკითხებზე გამოვლინდა ცალკეული ნაშრომების, წერილებისა და ამა თუ იმ წიგნზე დაწერილი რეცენზიის სახით. მკვლევარი ცდილობდა ჩასწვდომოდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სიღრმეებს და სადავო საკითხებზე თავისი აზრი გამოეთქვა.

1910 და 1914 წლებში გამოიცა წიგნი „ხუცური ანბანი“, შედგენილი დავით კარიჭაშვილის მიერ. ანბანთან ერთად გამოქვეყნდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი „ნამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“, წერილები: „ქართული ქორონიკონი“ და „ქართული ანბანის წარმოება და განვითარება“. ამ უკანასკნელში მეცნიერმა მიმოიხილა ქართული ანბანის ასომთავრული, ნუსხური და მხედრული სახეობები, მათი განვითარების ისტორია და ურთიერთმიმართება. მკვლევრის თვალსაზრისით, ასომთავრული ანბანის გარეგნული მსგავსება ბერძნულსა და არამეულთან აიხსნება იმით, რომ ბერძნული და არამეული დამწერლობებიც საერთო ებრაულ-ფინიკიური ანბანიდან მომდინარეობენ. დავით კარიჭაშვილი ბერძნულსა და არამეულ ანბანს განიხილავს ასოთა თანმიმდევრული განლაგებისა და რიცხობრივი მნიშ-

ვნელობის თვალსაზრისით და ქართული და ბერძნული დამწერლობების აშკარა მსგავსებაზე მიაჩნებოდა. ქართული ასოების რიგი ბერძნული ასოების რიგს მისდევს, რიცხობრივი მნიშვნელობებიც თანხვედნილია. წერილს დართული აქვს ცხრილი, რომლითაც მეცნიერი შეეცადა ეჩვენებინა, რა ცვლილებები განიცადა ქართულმა ანბანმა, ვიდრე იგი დასრულებულ, საბოლოო სახეს მიიღებდა. ცხრილი ექვსი ნაყოფისაგან შედგება. ერთმანეთის გვერდით განლაგებულია არამეული, ბერძნული, როგორც მკვლევარი პირობითად უწოდებს, „გაქართულებული ბერძნული“, ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობანი.

ამდენად, დავითი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გაიზიარა და, თავის მხრივ, შეეცადა დაესაბუთებინა გარდჰაუზენის შეხედულება ქართული დამწერლობის ბერძნულიდან წარმოშობის შესახებ. მის მიერ გამოცემული „ხუცური ანბანი“, როგორც ერთადერთი პრაქტიკული სახელმძღვანელო, დიდ დახმარებას უწევდა სტუდენტებს პალეოგრაფიაში.

დავით კარიჭაშვილისთვის ცხადი იყო ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა მოძიების და შესწავლის აუცილებლობა. იგი მიუღებლად მიიჩნევდა თვალსაზრისს, რომ ქართული ლიტერატურა მწირია, „ხელმოკლეა“ და ამიტომაც მასალას არ იძლევა კრიტიკისათვის. სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც ერთგვარი გამოხმაურებაა ილია ჭავჭავაძის წერილისა „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, დავითი აღნიშნავდა: „საკმაოა გავიხსენოთ ამ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი პოეზია და მისი წარჩინებული წარმომადგენლები თ. ალექსანდრე ჭავჭავაძითგან დაწყებული თ. ილია ჭავჭავაძემდე და მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უმინაარსობას არ უნდა დაბრალდეს. უსაფუძვლოა აგრეთვე იმის თქმა, რომ ჩვენი „ინტელიგენცია“ მეტად სუსტი იყვეს გონებრივის თვით მოქმედებისათვის და რომ ვითომ ჩვენში არ მოიპოვებოდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც

კრიტიკისათვის საჭირო უნარი ჰქონდეთ... ნუ თუ ლიტერატურის სახელი დაერქმის იმ ლიტერატურას, რომელიც დაბადებულია იქ, სადაც გრძნობასა და ჭკუას არ წაიმძღვარებენ, არც საკუთარს მსჯელობას იქონიებენ? არა, არა და არა. თუ ჩვენი ლიტერატურა ღირსშესანიშნავი განძია, გრძნობითა და აზრებით სავსე, მაშინ ქონდრისკაცობასაც, თვითმსჯელობის უნარის უქონლობასაც ვერავინ დაგვნამებს“ (კარიჭაშვილი 1887:7-8).

დავით დიდი ინტერესით გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ცაგარლის წიგნს „Сведения о памятниках грузинской письменности“. წიგნი შეიცავს: 1. წინასიტყვაობას; 2. სასულიერო მწერლობის ძეგლთა ერთი ნაწილის გარჩევას; 3. ათონის ბიბლიოთეკის კატალოგს, რომელიც ალ. ცაგარელმა 1883 წელს შეადგინა; 4. იმავე ბიბლიოთეკის კატალოგს, შედგენილს ვინმე ილარიონისაგან XIX საუკუნის დასაწყისში; 5. ქებათა ქების უძველეს თარგმანს; 6. პალეოგრაფიულ ტაბულებს, რომლებიც გვიჩვენებენ სხვადასხვა წერით ნიმუშებს VIII-XVI საუკუნეებისა.

ალექსანდრე ცაგარელი შვიდი-რვა წლის განმავლობაში გასცნობია 1194 ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლს, არამარტო წიგნებს, არამედ სიგელებს, გუჯრებს, კედლის, საფლავის ქვის, მონეტების წარწერებსა და სხვა.

დავით კარიჭაშვილმა სარეცენზიო წერილში ალექსანდრე ცაგარლის წიგნში წარმოდგენილ ძეგლთა კვალობაზე, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული წარწერების დროიდან (V საუკუნე) უკანასკნელ დრომდე, ეტაპობრივად მიმოიხილა ქართული მწერლობის განვითარების ისტორია. მისი აყვავებისა და დაქვეითების პერიოდები, ისაუბრა ასურელ მამათა მოღვაწეობის მნიშვნელობაზე; საქართველოში და საქართველოს გარეთ არსებულ სამწერლო კერებზე; ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებზე; შეეხო საისტორიო მწერლობის, ფილოსოფიის, გრამატიკის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა განვითარების საკითხებსაც. წერილის და-



სასრულ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართული მწერლობის ეს ძეგლები ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევართ წინ დიდი სამუშაო ელით (კარიჭაშვილი 1888:7).

დავითი საგანგებოდ სწავლობდა წიგნის ისტორიას, აგრეთვე ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას, ამ უკანასკნელი საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში მეცნიერმა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმოიხილა XVII-XVIII საუკუნეების რომში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემული წიგნები. ნაშრომს ერთვის 1629-1817 წლებში დაბეჭდილი წიგნების სია. ეს ნაშრომი არის პირველი ცდა ქართული წიგნის ბეჭდვის სისტემური ისტორიის შედგენისა. მეცნიერი დაეყრდნო მასალებს, რომლებიც მოიძია საქართველოში არსებულ წიგნსაცავებში: 1. ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა; 2. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა; 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და 4. ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. გათვალისწინებულია აგრეთვე ამ საკითხზე მანამდე არსებული ლიტერატურა: წიგნები და საგაზეთო სტატიები, რომელთა მეცნიერულ ვარგისიანობასა და ხარვეზებზე მკვლევარი წიგნის წინასიტყვაობაშივე საუბრობს.

ნაშრომის პირველი თავი რომში დაბეჭდილ წიგნებს ეძღვნება. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოსცა სარწმუნოების გამავრცელებელმა სასულიერო საზოგადოებამ რომში 1629 წელს. ეს არის ქართულ-იტალიური ლექსიკონი. როგორც წიგნის თავწარწერა მოწმობს, იგი შეუდგენია სტეფანე პაოლინის წმ. ბასილის წესის ბერის, ქართველი ნიკიფორე ირბახის დახმარებით. დავით კარიჭაშვილი შეეცადა გაერკვია, ვინ იყო ნიკიფორე ირბახი. მიხეილ თამარაშვილის ნაშრომში, „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“ (1902), ნათქვამია, რომ ნიკიფორე (ნიკოლოზ) ირბახი ყოფილა ქართველი ბერი, წარმოშობით დიდგვაროვანი. იგი 1626 წელს

თეიმურაზ მეფეს ელჩად გაუგზავნია რომის პაპთან და ევროპის სხვა სახელმწიფოთა მეფეებთან იმ იმედით, რომ ისინი შემწეობას აღმოუჩენდნენ მას სპარსთა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რომში ყოფნისას ნიკიფორე ირბახს კათოლიკობა მიუღია და იტალიური ენა შეუსწავლია, სტეფანე პაოლინისა და თეატინელი ბერებისთვისაც რამდენადმე უსწავლებია ქართული; მონაწილეობა მიუღია ქართული სტამბის დაარსებაში და სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში დახმარებია. რომსა და ევროპაში თავისი დიპლომატიური მისიის შესრულების შემდეგ ნიკიფორე ირბახი საქართველოში დაბრუნებულა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა. კორნელი კეკელიძე ფიქრობდა, რომ ნიკიფორე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, გვარად ჩოლოყაშვილი უნდა ყოფილიყო (კეკელიძე 1924:223). გრიგოლ წერეთელი მიიჩნევდა, რომ იგი, შესაძლოა, გვარად ირუბაქიძე იყო (წერეთელი 1925:34); ზაქარია ჭიჭინაძე ვარაუდობდა, რომ ბერის გვარი ირბახია იყო (ჭიჭინაძე 1904:3).

დავით კარიჭაშვილმა ეჭვი შეიტანა ნიკიფორე ირბახის ქართველობაში. მისი თვალსაზრისით, ნიკიფორე ირბახი და ეროვნებით ბერძენი ნიკიფორე მიტროპოლიტი ერთი და იგივე პირია. მეცნიერის არგუმენტები ასეთია: ნიკიფორე ირბახისა და ნიკიფორე მიტროპოლიტის მოღვაწეობა, ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით, თითქმის იდენტურია. ორივე ერთსა და იმავე დროს მოღვაწეობდა და ორივე თეიმურაზ მეფის ელჩი იყო. მათი ძირითადი განმასხვავებელი არის ის, რომ ნიკიფორე ირბახს თეატინელთა ორდენის ისტორიკოსები ქართველად იხსენიებენ. ნიკიფორე მიტროპოლიტი კი ცნობილია, როგორც ეროვნებით ბერძენი. დავით კარიჭაშვილი ფიქრობდა, რომ საუბარი იყო ერთ ადამიანზე, რომელმაც, დიპლომატიური მოსაზრების გამო, რომში თავი ქართველად წარადგინა და კათოლიკობაც მიიღო. ხოლო

შემდეგ, მეფე თეიმურაზისაგან რუსეთში წარგზავნილმა, თავისი ბერძნული წარმოშობა აღარ დამალა. სამაგიეროდ, იმავე დიპლომატიური მოსაზრებით არ გაამხილა, რომ იგი რომსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც იმყოფებოდა ელჩის მისიით.

დავით კარიჭაშვილის აზრით, ნიკიფორე ირბახი, რომელმაც 1626-29 წლებში ევროპაში იმოგზაურა, სრულიად შესაძლებელია, რომ 1635-39 წლებში უკვე მიტროპოლიტი გახდა (ეს ის წლებია, როდესაც თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე მიტროპოლიტი რუსეთშია). თეიმურაზ მეფე 1639 წლის 25 აპრილს რუსხელმწიფეს სწერდა, ნიკიფორეს მიტროპოლიტობა ამ ოთხი წლის წინათ მე მივეციო, და იქვე აღნიშნავდა, რომ 15-16 წელია მას აქეთ, რაც ნიკიფორე მას ემსახურება და ამ სამსახურში მას, როგორც ელჩს, მრავალი ქვეყანა მოუვლია (Переписка... 1861:9-11).

ნიკიფორე მიტროპოლიტს თეიმურაზთან სამსახური უნდა დაეწყო 1623-24 წლებში, ე.ი. ნიკიფორე ირბახის რომში წასვლამდე სამი წლით ადრე. 1634 წლამდე კათოლიკე მისიონერები ხშირად იხსენიებენ ნიკიფორე ირბახს. ამის შემდეგ კი მისი ხსენება წყდება. ეს ის დროა, როდესაც თეიმურაზ მეფემ ნიკიფორე მიტროპოლიტი მოსკოვს გაგზავნა. ნიკიფორე მოსკოვში ცხოვრობდა 1635-42 წლებში. იგი რუსხელმწიფეს მოახსენებს, რომ მრავალი ქვეყანა მოიარა, როგორც თეიმურაზ მეფის ელჩმა, მაგრამ ასახელებს მხოლოდ სპარსეთსა და ოსმალეთს. დავით კარიჭაშვილის აზრით, ნიკიფორე არ გაამჟღავნებდა ევროპაში ყოფნის ამბავს, რადგან რუსები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი რომის პაპისა და ევროპის მეფეების მიმართ. მკვლევრის აზრით, ნიკიფორეს პოზიცია წმინდა დიპლომატიური ხასიათისაა. მან იცოდა, რომ კათოლიკეებს ბერძნები არ უყვარდათ, ამიტომ რომში დამალა თავისი ბერძნობა და ქართველ ნათესავთა შესახებ მთელი ზღაპარი შეთხზა. მოსკოვში კი თავის ეროვნებას და იერუსალიმის პატრიარქის მფარველობაში ყოფნას

აცხადებდა, რათა რუსები მეტი ნდობით განმსჭვალულიყვნენ მისადმი.

კათოლიკე მისიონერი დამპი კი, რომელიც 1650-79 წლებში საქართველოში ცხოვრობდა, გვანვდის ცნობას, რომ ნიკიფორე ირბახი რუსული ენის მცოდნეც ყოფილა. ეს, დავით კარიჭაშვილის აზრით, იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ნიკიფორე ირბახი რუსეთში ნამყოფი იქნებოდა. რუსეთში ცხოვრობდა და რუსული ენის მცოდნე იყო სწორედ ნიკიფორე მიტროპოლიტი. როგორც მკვლევარი აცხადებს, სხვა ნიკიფორე იმ ხანებში საქართველოდან რუსეთს წასული არ ყოფილა.

მისიონერი დამპი თავის მოხსენებაში საუბრობს ორ ბერზე. ერთს ნიკიფორე ირბახს უწოდებს და მიიჩნევს ქართველად, ხოლო მეორეს, ასევე ნიკიფორეს — ბერძნად (Chardin 1711:323). დამპის ცნობები იმეორებს თითქმის ყველაფერს, რასაც რომის დოკუმენტები გადმოგვცემენ ნიკიფორე ირბახის შესახებ. დამატებულია მხოლოდ ის, რომ ნიკიფორეს სხვა ენათა შორის რუსულიც სცოდნია და ჯვარის მამად ყოფილა წოდებული. ორივე ნიკიფორეს შესახებ სხვადასხვა ადგილას ნათქვამია, რომ ისინი ეხმარებოდნენ და მფარველობას უწევდნენ შესანიშნავის მოგროვების მიზნით იერუსალიმიდან ჩამოსულ ბერებს. დავით კარიჭაშვილის რწმენით, დამპის ცნობები ერთსა და იმავე პირს შეეხება და თუ ისინი გაბნეულია და შეუთანხმებელი, ეს იმიტომ, რომ დამპის მოხსენება უწერია სხვადასხვა დროს, ნაწილ-ნაწილ და შემდეგ მექანიკურად შეუკონინებია.

იმ აზრს, რომ ნიკიფორე ირბახი ეროვნებით სწორედ ბერძენი უნდა ყოფილიყო, მკვლევარს განუმტკიცებს თვითონ წიგნიდან, ქართულ-იტალიური ლექსიკონიდან, მიღებული შთაბეჭდილება. ლექსიკონში იშვიათია ქართული სიტყვა, რომელიც შეცდომით არ იყოს დაბეჭდილი. მრავლად არის ბერძნული სიტყვები, რომლებიც ქართული შესატყვისის ნაცვლად დაუწერიათ. ამიტომაც მკვლევარი ნიკიფორეს მი-

იჩნევს ბერძნად, რომელიც რომს გამგზავრებამდე ორ ან სამ წელიწადს ცხოვრობდა საქართველოში და, ბუნებრივია, ამ დროში ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას ვერ მოასწრებდა. ლექსიკონის შედგენისას, როგორც ჩანს, ნიკიფორეს ავინყდებოდა ზოგიერთი ქართული სიტყვა და მათ მაგიერ თავისი მშობლიური ენის სიტყვებს უკარნახებდა.

ამდენად, დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისი ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ ასეთია: ნიკიფორე იყო იერუსალიმის ერთ-ერთი მონასტრის ბერი, ეროვნებით ბერძენი, რომელიც საქართველოში 1624 წელს ჩამოსულა. თეიმურაზ მეფეს იგი დაუახლოვებია და ჯვარის მამობა, ე.ი. საქართველოში არსებული იერუსალიმის მონასტერთა მამულების განმგებლობა მიუცია. შემდეგ, როგორც ჭკვიანი და მოხერხებული პიროვნება, სხვადასხვა ქვეყანაში ელჩადაც წარუგზავნია.

იგივე აზრი დავით კარიჭაშვილმა გამოთქვა უფრო ადრე, მოხსენებაში, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა 1925 წლის 24 იანვარს (საქართველოს... 1909). მისმა თვალსაზრისმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. იმავე სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად მიიჩნია დავით კარიჭაშვილის ვერსია ნიკიფორე ირბახის ვინაობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ისტორიკოსებს არ შეუძლიათ ამ ვერსიას ანგარიში არ გაუწიონ. „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის“ ერთ-ერთი რეცენზენტი პავლე გუგუშვილი წერდა: „დავით კარიჭაშვილმა საკმაოდ შეარყია აქამდე გაბატონებული აზრი ნიკიფორე ირბახის ქართველობის შესახებ“ (გუგუშვილი 1929:243). ხოლო მეორე რეცენზენტი ქრისტეფორე რაჭველიშვილი, რომელიც ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა დავით კარიჭაშვილის ნაშრომს, აღნიშნავდა, რომ „ავტორის კვლევაში ფრიად საინტერესო და დამაჯერებელია მისი მოსაზრება რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის ავტორის შესახებ“ (რაჭველიშვილი 1929:117-118).

1935 წელს გამოქვეყნდა კორნელი კეკელიძის გამოკვლევა „ნიკიფორე ირბახი“. მკვლევარი წერდა: „დავით კარიჭაშვილმა თავის გამოკვლევაში მთელი გვერდი მონადრომა იმის მტკიცებას, რომ ორივე შემთხვევაში ძამპი ერთსა და იმავე პირზე ლაპარაკობს. დასკვნა მისი არსებითად სწორია, მხოლოდ ამ პირად მიჩნეულ უნდა იქნეს არა რუსეთში ელჩად ნამყოფი ნიკიფორე ბერძენი, როგორც დავით კარიჭაშვილს ჰგონია, არამედ ნიკიფორე ჩოლოყაშვილი“ (კეკელიძე 1945: 299).

კორნელი კეკელიძემ ნიკიფორე ირბახის ქართველობის ვერსიას გადაჭრით დაუჭირა მხარი. მისი ძირითადი არგუმენტი შემდეგია: „1640 წლის 3 მაისს, როდესაც მიტროპოლიტად სახელდებული ნიკიფორე მოსკოვში იყო, სამეგრელოში მყოფ რუსის ელჩებს თედოტე ელჩინსა და პავლე ზახარიევს ხობის მონასტერში იერუსალიმსა და დასავლეთ ევროპაში ნამყოფი ნიკიფორე-ნიკოლოზ ეპისკოპოზი სხვადასხვა საკითხებზე ეკამათება და ღვთისმშობლის პერანგს აჩვენებს. განა შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე პირი მოსკოვშიც ყოფილიყო და სამეგრელოშიც? დ. კარიჭაშვილს, ალბათ, გამოჰარვია ამ დოკუმენტის არსებობა, თორემ არ დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილი და ნიკიფორე კუკოსონელი ერთი და იგივე პირიან“ (იქვე).

რაც შეეხება ქართულ-იტალიურ ლექსიკონს და მასში არსებულ ბერძნულ სიტყვებს, რაც დავით კარიჭაშვილს ნიკიფორე ირბახის ბერძნობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ არგუმენტად მიაჩნდა, კორნელი კეკელიძემ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიანიჭა.

საზოგადოდ, კორნელი კეკელიძის გამოკვლევების დასკვნები ასეთია: „1. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის დროს, საქართველოში ცნობილია ორი მოღვაწე, რომელთაც ორივეს ნიკიფორე ეწოდება (საყურადღებოა, რომ კორნელი კეკელიძესაც დამაფიქრებლად ეჩვენება შემდეგი გარემოება: „თუ თეიმუ-

რაზს გვერდით ჰყავდა ისეთი განათლებული და მომზადებული კაცი, როგორც იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, რომელიც მან დასავლეთ ევროპაშიც კი გაგზავნა ელჩად, ასე თავგამოდებით რატომ ებლაუჭებოდა ის უცხო ტომის კაცს, ბერძენ ნიკიფორე კუკოსონელს, რომელსაც ის მისი სურვილის წინააღმდეგ რუსეთში გზავნიდა ელჩად და რომლის შესახებ რუსხელმწიფეს სწერდა, რომ ქართველებში ვერ მიპოვნია იმდენად სანდო და ელჩობისათვის მომზადებული კაცი, როგორც ესო?“ და ამას კორნელი კეკელიძე, სავარაუდოდ, იმით ხსნის, რომ რუსეთის სამეფო კარზე, შესაძლოა, ეჭვის თვალთ შეეხედათ ნიკიფორე ჩოლოყაშვილისთვის მისი „კათოლიკურ-პაპისტური სიმპათიების გამო“); 2. ამ ორ ნიკიფორეთაგან ერთი, რომელსაც თეიმურაზი ელჩად გზავნიდა მახლობელ აღმოსავლეთსა და რუსეთში, არის ტომით ბერძენი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან მოსული საქართველოში; მეორე, რომელიც იმავე თეიმურაზს ელჩად გაუგზავნია 1626-29 წლებში დასავლეთ ევროპაში, არის ქართველი, კახი, ნიკიფორე, ერისკაცობაში ნიკოლოზ ომანის ძე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი; 3. ნიკიფორე ირბახი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართული სტამბის დაარსებას რომში და რომელიც სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში დაეხმარა არის ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი“ (კეკელიძე 1945:313.)

კორნელი კეკელიძის ეს თვალსაზრისი დღეისათვის ეჭვმიუტანლად აღიქმება. უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული წიგნის სათავეებთან, ნიკიფორე ირბახი და ქართული წიგნი“ (კვაჭანტირაძე 1991:11), ნიკიფორე დასახელებულია „ომანიანის“ („ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების) ავტორის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ძმად. გადმოცემულია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიული შტრიხები და მისი როლი რომში, „კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების“ სტამბაში, ქართული შრიფტის შექმნისა და პირველი ქართული წიგნების დაბეჭდვის საქმეში.

რომში, იმავე სტამბაში დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. პირველ ცნობას ამ წიგნზე ალექსანდრე ცაგარელი გვანვდის (Цагарели 1886:49). წიგნი 1827 წელს შეიძინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფრანგი ანტიკვარისაგან. გარდა ქართული ანბანისა, წიგნის საერთო ყდაში აკინძულია ეთიოპიური, არაბული, სომხური, ბერძნული, სირიული და სხვა დამწერლობანი. რაც შეეხება ქართულ ანბანს დართული ლოცვების ტექსტს, დავით კარიჭაშვილის ვარაუდით, იგი გამომცემლისთვის იმავე ნიკიფორე ირბახს უნდა გადაეცა.

თავდაპირველად დავით კარიჭაშვილი ფიქრობდა, რომ ჯერ დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (იმ საფუძვლით, რომ მიხეილ თამარაშვილი პირველად ამ წიგნს ასახელებს). იმ დროს მას ეს წიგნი ნანახი არ ჰქონდა (წიგნის ერთადერთ ეგზემპლარს მოგვიანებით მიაკვლია თსუ-ს წიგნსაცავში), ვარაუდობდა, რომ „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ დაიბეჭდა თვით ირბახის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით მისი რომში ყოფნის დროს 1628-29 წლებს შორის. „ჩვენ უფრო დასაჯერებლად მიგვაჩნია, რომ ქართული ანბანი ზოგიერთი ლოცვებითურთ დაბეჭდილი იყვეს თვით ირბახის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით მის რომში ყოფნის დროს, სახელდობრ, 1628 წელს. ეს იმიტომ, რომ ლექსიკონთან შედარებით ანბანი და ლოცვანი უფრო ადვილი მოსამზადებელი იყო დასაბეჭდად და სულ მცირე ხნის სამუშაო იყო მისი შედგენა და დაბეჭდვა, რაიცა შეეძლო მოესწრო ნიკიფორე ირბახს რომში ყოფნის დროს“, — წერდა დავით კარიჭაშვილი.

მისი ვარაუდით, მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი (მკვლევრის აზრით, ამ დროს ნიკიფორე წამოსულია რომიდან და ამით აიხსნება ლექსიკონში გაპარული უამრავი შინაარსობრივი და კორექტურული შეცდომა) (კარიჭაშვილი 1925:39). ეს შეხედულება დავით კარიჭაშვილს შეცდომად ჩაუთვალეს. ამის შემდეგ მან აზრი



შეიცვალა და „ქართული ნიგნის ბექდვის ისტორიაში“ რომში დაბეჭდილ პირველ ნიგნად ქართულ-იტალიური ლექსიკონი დაასახელა. დღეისათვის გარკვეულია, რომ ქართულ-იტალიურ ლექსიკონს წინ უსწრებდა „ქართული ანბანის“ გამოცემა. „პირველი, როგორც საცდელი გამოცემა, იყო „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ (კვაჭანტირაძე 2001:11).

დავით კარიჭაშვილის პირველ ვერსიას რომში დაბეჭდილი ნიგნების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესახებ, ფაქტობრივად, იმეორებს უკანასკნელ ხანს ამ საკითხზე გამოქვეყნებული ზემოხსენებული სტატია, რომელშიც ნათქვამია: „საზოგადოების“ სტამბას ქართული შრიფტის დამზადების შემდგომ ორი ნიგნის გამოცემა განუზრახავს. პირველი, როგორც საცდელი გამოცემა, იყო „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. ...უფრო სერიოზულად ჩაუთვლიათ „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ მომზადება. დროის სიმცირის გამო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს სტამბის მმართველი, თავად ბრწყინვალე მბეჭდავი, სტეფანე პაოლინი დახმარებია. არნოლდ ჩიქობავას აზრით, ნიკიფორეს ღვანლი ამ ნიგნის რედაქციაში მოკრძალებულია დროის სიმცირის გამო. ლექსიკონის მომზადება ტიტანურ შრომას მოითხოვდა. საერთოდ, სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაში (შრიფტის დამზადებიდან — ლექსიკონის შედგენამდე) ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს 1628 წლის მარტიდან — სექტემბრამდის უნდა ეღვანა, შემდეგ იგი სამშობლოსკენ მიმავალ შორეულ გზას გასდგომოდა. საქართველოში იგი 1629 წლის აგვისტოში დაბრუნდა“.

XVII საუკუნეში კათოლიკობის გავრცელების მიზნით საქართველოში ბევრი კათოლიკე მისიონერი ჩამოდიოდა. ისინი ქართულ ენას სწავლობდნენ, რათა თავიანთი საღვთისმეტყველო ნიგნები ქართულად ეთარგმნათ და მოსახლეობაში გაეფრცელებინათ. ერთ-ერთი ასეთი მთარგმნელი იყო პატრი ბერნარდო მარიამი ნეაპოლეელი, რომელსაც იტალიურიდან ქართულ ენაზე გადმოუღია „საქრისტიანო მოძღვ-

რება სიმვოლებით დარიგებული კარდინალ ბელარმინოსაგან“ (თამარაშვილი 1902:255). დავით კარიჭაშვილს ბერნარდო ნეაპოლელის მოღვაწეობის შესახებ ჰუგო შუხართის ცნობები მოაქვს (შუხართი 1896). ჰუგო შუხართს იტალიაში, კაპუცინთა ძველ ეკლესიაში, ბერნარდო ნეაპოლელის ხელით გადაწერილი 14 ქართული ხელნაწერი უნახავს. მათგან ნაწილი ბერნარდო ნეაპოლელის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებები ყოფილა, ნაწილიც სხვათა თხზულებანი. მათ შორის, ორი ლექსიკონი (ქართულ-იტალიური, იტალიურ-ქართული) და ქართველ მეფე-დიდებულთა წერილები პაპის მიმართ; მოთხრობები, ჰუგო შუხართის აზრით, სულხან-საბა ორბელიანისა; აგრეთვე პოემები „ბეჟანიანი“ და „ბაამინი“. როგორც შუხართი შენიშნავს, ბერნარდო ნეაპოლელი ქართულის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო.

გარდა იმისა, რომ კათოლიკე მისიონერები საქართველოში ჩამოდიოდნენ, ქართველი ყმანვილებიც იგზავნებოდნენ რომში განათლების მისაღებად. ერთ-ერთი ასეთი მოწაფე გორელი დავით ტლუკაშვილიც იყო. რომში სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი მღვდლად ეკურთხა და იქვე დარჩა. 1733 წელს მან იტალიურიდან ქართულად თარგმნა წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც დაბეჭდვამდე ხელნაწერის სახით გავრცელებულა საქართველოში. წიგნი 1741 წელს დაიბეჭდა რომში; 1797 წელს მეორედ გამოსცა მღვდელმა გრიგოლ ბაღინაშვილმა (ამჟერად წიგნის თავფურცელზე დავით ტლუკაშვილი სომხად არის მოხსენიებული).

1741 წელს რომში დაიბეჭდა წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება მოკლედ დარიგებული მარტვილთათვის ზეპირად დასასწავლებლად“. ავტორი თუ მთარგმნელი უცნობია. დავით კარიჭაშვილის აზრით, ეს წიგნი ენის მიხედვით დავით ტლუკაშვილის შედგენილი ან ნათარგმნი უნდა იყოს.

დავით კარიჭაშვილის ნაშრომის მეორე თავი რუსეთში დაბეჭდილ წიგნებს ეძღვნება. დასაწყისში მკვლევარი ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება-მოღვაწეობასა და მის მიერ რუ-

მინეთში დაბეჭდილ ქართულ კონდაკზე საუბრობს. შემდეგ მიმოხილულია არჩილ მეფის საგამომცემლო საქმიანობა მოსკოვში (სადაც 1705 წელს „დავითნი“ გამოიცა); იოსებ სამებელის მოღვაწეობა და მის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები: ზატიკი, 1718; დავითნი, 1737; სახარება, 1739; ტესტამენტი, 1739; ბიბლია, 1743 და სხვა.

როგორც მკვლევარი შენიშნავს, 1745-62 წლებში, მოსკოვში დაბეჭდილი წიგნები არ ჩანს, ბეჭდვა განახლდება 60-იან წლებში ათანასი ამილახვრის ძალისხმევით.

შემდეგ მიმოხილულია თბილისელი მიტროპოლიტის ათანასი ამილახვრის ცხოვრება-მოღვაწეობა; მისი მესვეურობით გამოიცა: ღვთისმშობლის დაუჯდომელი, 1763; დავითნი, 1764; სამოციქულო, 1765; სახარება, 1766; პარაკლისი, 1767; დავითნი (II გამოცემა), 1768; ჟამნი, 1768; ლოცვანი, 1768.

მკვლევარი ყველა ამ წიგნის მოკლე აღწერილობას გვთავაზობს.

ზაქარია ჭიჭინაძის, თედო ჟორდანიას და სხვათა ცნობებს, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში კიდევ არსებობდა სტამბები, რომლებშიც ქართული წიგნები იბეჭდებოდა, დავით კარიჭაშვილი სარწმუნოდ არ მიიჩნევს იმის გამო, რომ ასეთი წიგნები ხელთ არ ჰქონდათ და არც რაიმე ინფორმაცია არსებობდა მათზე.

ვიდრე საქართველოში დაბეჭდილ წიგნებს წარმოგვიდგენდეს, მკვლევარი, პირველ ყოვლისა, ვახტანგ VI-ის ცხოვრება-მოღვაწეობას მიმოიხილავს. შემდეგ მეფის მიერ მონვეული სტამბის მოხელის, მიხეილ უნგროვლახელის შესახებ საუბრობს. თედო ჟორდანიას აზრით, მიხეილ უნგროვლახელი სასულიერო პირი იყო. ზაქარია ჭიჭინაძე მას ეროვნებით უნგრელად მიიჩნევდა. ალექსანდრე ხახანაშვილი და თედო ჟორდანია ფიქრობდნენ, რომ მიხეილი გვარად სტეფანეშვილი იყო და მიხეილ სტეფანოვად მოიხსენიებდნენ.

დავით კარიჭაშვილი შენიშნავს, რომ ვახტანგ მეფემ მოინვია არა მოხელეები სტამბისა (როგორც ამას ალ. ხახანაშ-

ვილი, ზ. ჭიჭინაძე და თ. ჟორდანიას ნერდნენ), არამედ მხოლოდ ერთი მოხელე — მიხეილი, რომელმაც შემდეგ ქართველები დაიმონაფა. ამას მოწმობს არაერთი წერილობითი წყარო, რომლებიც ამ საკითხს ეხება. ვახტანგ მეფე 1709 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ ტექსტზე დართულ შენიშვნაში წერდა: „მე განმგებელმან ქართლისამან, ბატონიშვილმა ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა“. მიხეილ უნგროვლახელის მიმართვაში იმავე წიგნიდან, ნათქვამია: „(სტამბის) დანყებით სრულყოფამდი, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ“. ვლახეთიდან მარტო ერთი მესტამბის ჩამოყვანას ადასტურებს ვახტანგ მეფის ძე ბაქარიც, რომელიც 1743 წელს მოსკოვში გამოცემული „დაბადების“ წინასიტყვაობაში წერს: „ნეტარხსენებულმან მამამან ჩემმან მეფემან ვახტანგ მოიყვანა მესტამბე ვლახეთით...“

დავით კარიჭაშვილის მოსაზრებით, სტამბის მოხელე საქართველოში დაახლოებით 1706 წელს უნდა მოსულიყო, რადგან პირველი წიგნი 1709 წელს დაიბეჭდა. რამდენიმე წელი სტამბის აწყობას, მოწაფეთა მომზადებასა და ქართული ენის შესწავლას დასჭირდებოდა. დავითი არ იზიარებს თედო ჟორდანიას ვარაუდს მიხეილის მღვდლობის შესახებ, რადგანაც იგი, როგორც მღვდელი, ან ზოგადად, სასულიერო პირი, არსად მოიხსენიება. მკვლევარი არც ზაქარია ჭიჭინაძის თვალსაზრისს ემხრობა მიხეილის ეროვნებით უნგრელობის თაობაზე და უნგროვლახელობა მხოლოდ სადაურობის მიმანიშნებელ სახელად მიაჩნია. რაც შეეხება მიხეილის გვარს, იგი უცნობია და სტეფანეს ძე არის არა გვარი, როგორც ამას თედო ჟორდანიას და ალექსანდრე ხანაშვილი ფიქრობდნენ, არამედ მამის სახელით მიმართვის ფორმა, რომელიც რუსეთსა და, ალბათ, უნგრეთშიც მიღებული იყო.

ვახტანგ მეფის მიერ დაარსებულ სტამბაში გამოცემულ წიგნებს დავით კარიჭაშვილი ჩვეულებრივ მოკლე აღწერილობათა დართვით წარმოგვიდგენს. ეს წიგნებია: სახარება,

1709; სამოციქულო, 1709; დავითნი, 1709; ვეფხისტყაოსანი, 1712; კურთხევანი, 1713 და სხვა.

ასევე მოკლე ცნობებს გვანვდის მკვლევარი 1749 წელს ერეკლე მეფის ბრძანებით განახლებულ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებზე: ლოცვანი, 1749; კონდაკი ანუ წიგნი საღვთო მსახურებისა, 1751; სახარება, 1751 და სხვა.

დავით კარიჭაშვილს არც იმერეთის სტამბაში გამოცემული წიგნები დარჩენია უყურადღებოდ. ზაქარია ჭიჭინაძისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობებს, რომ ქუთაისში წიგნების ბეჭდვა მეთვრამეტე საუკუნეში დაიწყო, დავით კარიჭაშვილი უსაფუძვლოდ მიიჩნევს და გადაჭრით აცხადებს, რომ ქუთაისში სტამბა დაარსდა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც სოლომონ მეფემ რუსეთიდან დაიბარა თბილისელი მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი, რომლის ხელმძღვანელობით დაბეჭდილ წიგნებსაც დავითი, ტრადიციულად, მოკლე აღწერილობათა დართვით წარმოგვიდგენს. ესენია: სახარება, 1803; კურთხევანი, 1803; დავითნი ანუ წიგნი ფსალმუნთა, 1807; ჟამნი, 1808 და სხვა.

სტამბის უხუცესის ზურაბ წერეთლისა და არქიმანდრიტ ზაქარიას თაოსნობით საჩხერეში, აკაკი წერეთლის სახლში გამართულ სტამბაში დაიბეჭდა სამოციქულო, 1815; სახარება, 1817.

მკვლევარი ასევე გვანვდის ცნობას, თუ როგორ ხდებოდა წიგნების თავფურცლის გაფორმება, ვის მოიხსენიებდნენ, როგორი იყო მიმართვები, მინაწერები და სხვა.

მკვლევარს არც სტამბის მუშაკები დავინწყებია, მოუძიებია მათი სახელები და წიგნთა გამოცემაში შეტანილი წვლილი;

დასასრულ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომს ერთ-ვის 1629-1817 წლებში გამოცემული წიგნების სია.

დავით კარიჭაშვილის გამოკვლევა, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, როგორც ამას ავტორი თვითონვე აღნიშნავს წინასიტყვაობაში, საკითხს ბოლომდე არ ამოწურავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი საქართველოსა და რუ-

სეთში არსებულ ყველა წიგნსაცავის მონაცემებს არ ითვალისწინებს და, მეორეც, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის არაერთი წიგნი დარჩა უცნობი, უკვალოდ დაიკარგა ან ცალკეული ფურცლები თუ გადარჩა, რომელთა მოძიება და მიგნება მხოლოდ შემთხვევით შეიძლება მოხდეს. ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნობა, ამა თუ იმ წიგნის გამოცემის თარიღი და ადგილი სადავოა. შემდგომმა გამოკვლევებმა ქართული ბეჭდვური სიტყვის ისტორიაში არაერთი სიახლე გამოავლინა, ბევრი რამ დაზუსტდა და გაირკვა. დავით კარიჭაშვილის ზემოგანხილული ნაშრომი რჩება პირველ სერიოზულ ცდად, პირველ წიგნად, რომელშიც თავი მოიყარა, შეჯერდა და შეჯამდა იმდროისათვის საკითხზე არსებული მასალებისა და ინფორმაციის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელზეც მკვლევარს მიუწვდა ხელი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემათა შორის, რომელთაც დავით კარიჭაშვილი საგანგებოდ იკვლევდა, საყურადღებოა „კალმასობის“ ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორობის საკითხი, რომელზეც XIX საუკუნის ბოლოს აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. მეცნიერთა აზრი თხზულების ავტორად იონა ხელაშვილის აღიარებისკენ გადაიხარა. დავით კარიჭაშვილმა ფილოლოგიური ძიების შედეგად დაამტკიცა, რომ „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილია.

ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნარკვევში საკუთარი შეხედულების გაცხადებამდე მკვლევარმა საკითხის შესწავლის ისტორია მიმოიხილა. მკითხველი საზოგადოება „კალმასობას“ ჟურნალ „ცისკრის“ (1862, I ნაწ.; 1867, II ნაწ.) ფურცლებიდან იცნობდა. ორიგინალი დაკარგულად იყო მიჩნეული. ზეპირი გადმოცემისა თუ წერილობითი საბუთის საფუძველზე ჟურნალის რედაქცია და წინასიტყვაობის ავტორი დიმიტრი ბაქრაძე, თხზულების ავტორად იოანე ბატონიშვილს ასახელებდნენ. ამასვე ადასტურებდა ალექსანდრე ცაგარელიც, რომელიც წერდა: „სანკტპეტერბურგში ყოფ-

ნის დროს იოანე ბატონიშვილმა დასწერა წიგნი, სახელად „კალმასობა“, რომელიც 60-იან წლებში დაიბეჭდა თბილისში დ.ზ. ბაქრაძის რედაქციით“ (Цагарელი 1886:9).

ზაქარია ჭიჭინაძე, რომელმაც „კალმასობა“ 1896 წელს გამოსცა, ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ დიმიტრი ბაქრაძემ თავი შეიკავა ტექსტზე თავისი წინასიტყვაობის დართვისაგან იმ მოტივით, რომ იქ მე „კალმასობის“ ავტორობას იოანე ბატონიშვილს ვაკუთვნებ, ახლა კი ლაპარაკობენ, ვითომც „კალმასობა“ იონა ბერს ეკუთვნისო. ამ აზრზე გადაჭრით იდგა თედო ჟორდანიას, ე.ი. „კალმასობის“ ავტორად იგი იონა ხელაშვილს აღიარებდა. ალექსანდრე ხახანაშვილმა ამ ორი პიროვნების ერთდროული ავტორობის ვერსია დაუშვა. კორნელი კეკელიძემ „ძველი ქართული ლიტერატურის“ I ტომში (1923) გამოთქვა აზრი, რომ „კალმასობის“ ავტორი იონა ხელაშვილია და იოანე ბატონიშვილს უსაფუძვლოდ მიანერენ.

დავით კარიჭაშვილმა, პირველ ყოვლისა, შეისწავლა თხზულების ხელნაწერები, რომელთა ერთი ნაწილი ნესტორ წერეთლის საგვარეულო არქივში, ხოლო მეორე — პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა. მკვლევარს ხელთ ჰქონდა ერთი და იმავე პირის ოთხი ხელნაწერი. მან ეს ხელნაწერები ასე დაახასიათა: თხზულება თავიდან ბოლომდე დაწერილია იოანე ბატონიშვილის ხელით, სხვადასხვაგვარ ქალაქდზე, რაც მოწმობს, რომ თხზულება იწერებოდა თანდათან, წლების განმავლობაში. ხელნაწერს ავტორის სახელიც აწერია — იოანე ბატონიშვილი. „მის ავტორობაში ეჭვი არავის შეუტანია თხზულების დაწერის ახლო ხანებში“ (კარიჭაშვილი 1927:37).

თხზულების ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი მცირეოდენი ცვლილებებით მოიპოვება ცალკეც იოანე ბატონიშვილის ხელით დაწერილი, მის მიერვე ხელმოწერილი წინასიტყვაობით.

აღნიშნულია ისიც, რომ იონა ხელაშვილი, რომელიც თავის ყოველ წიგნს თავისივე თხზულებების სიას ურთავდა,

არსად არ ახსენებს „კალმასობას“. მისი ნაშრომი რომ ვინმეს მიეთვისებინა, ცხადია, ეს ამბავი საზოგადოებისთვის დაფარული არ დარჩებოდა.

დავით კარიჭაშვილმა იოანე ბატონიშვილის სხვა წიგნები „კალმასობას“ შეუდარა და აღმოჩნდა, რომ ნაშრომი „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი“ არის სწორედ იმ თხზულების ზოგან შემოკლებული, ზოგან მთლიანად გადმოღებული ტექსტი. მეორე ნაშრომი „ქართული ღრამატიკა“ ასევე ძალიან ჰგავს „კალმასობაში“ მოქცეულ გრამატიკას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი დაწერილია იონა ხელაშვილის თხოვნით და შეიცავს პასუხებს მის მრავალ კითხვაზე. იგივე ტექსტი უფრო გამარტივებული ჩანს „კალმასობაში“. დავით კარიჭაშვილმა შეისწავლა ორივე მნიგნობრის ენა, სტილი, წერის მანერა და თავისებურებანი და ამ შედარების საფუძველზეც თხზულების ავტორად იოანე ბატონიშვილი სცნო. იონა ხელაშვილის ენა მძიმე და ხელოვნურია. „ხუმარსწავლა“ კი მსუბუქი, სახუმარო ენით არის დაწერილი, რაც შინაარსსა და თემატურ მრავალმხრივობასთან ერთად იოანე ბატონიშვილის წერის სტილს ესადაგება. მკვლევრის ღრმა რწმენით, იონა ხელაშვილს თხზულებასთან აკავშირებს მხოლოდ ის, რომ იგი ავტორმა პერსონაჟად გამოიყვანა. მისი მეშვეობით ისაუბრა საქართველოს წარსულზე, თანამედროვე ცხოვრებაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

დავით კარიჭაშვილმა ამ ნაშრომში შეძლო დამაჯერებლად და სრული საბუთიანობით დაემტკიცებინა თავისი შეხედულების სიმართლე. მისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი შემფასებელი, ქეთევან ცხადაძე, ამიტომაც მიიჩნევს, რომ ეს გამოკვლევა საუკეთესო წვლილია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მოგვიანებით აღმოჩენილმა იონა ხელაშვილის წერილმა დავითის თვალსაზრისი სავსებით დაადასტურა. „თორმეტი წელიწადია ჰსწერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა,



ე.ი. მალაპარაკებს ყოველსავე სწავლას სულიერსა და ხორციელსა“, — სწერდა იონა ხელაშვილი ნათესავებს (კარიჭაშვილი 1927:187).

ამავე გამოკვლევაში დავით კარიჭაშვილმა გამოთქვა შეხედულება კიდეც ორი საკითხის, იონა ხელაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის და პეტრე ლარაძის „დილარიანის“ მიმართ. იონა ხელაშვილის ლექსიკონი კარგა ხანს დაკარგულად ითვლებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ვიღაცამ მიითვისა. მიმთვისებელი ზოგს იოანე ბაგრატიონი ეგონა, ზოგსაც სოლომონ დოდაშვილი. დავით კარიჭაშვილის აზრით, ეს ვარაუდი უსაფუძვლო იყო. ექვთიმე თაყაიშვილმა და ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგის შემდგენელმა იონა ხელაშვილის ლექსიკონის ავტორად შეცდომით სოლომონ დოდაშვილი მოიხსენიეს. იონას „ლექსიკონი შავად დაწერილი“ კი ინახებოდა თსუ-ს სიძველეთა საცავში. S (ქ.შ.ნ./კ. გამ. საზოგადოების წიგნსაცავის) კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (ანოტაცია 22), რუსულ-ქართული ლექსიკონის (1819-1820) ავტორად დასახელებულია იოანე ბაგრატიონი, ხოლო შენიშვნაში (შენ. 4) მითითებულია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ლექსიკონის შემდგენელი სოლომონ დოდაშვილია; დავით კარიჭაშვილს კი ის იონა ხელაშვილისად მიაჩნია. დღეისათვის სადავო აღარ არის, რომ აღნიშნული ლექსიკონის შემდგენელი იონა ხელაშვილია.

იოანე ბატონიშვილს მიაწერდნენ აგრეთვე პეტრე ლარაძის სახელით ცნობილი თხზულების „დილარიანის“ მითვისებას, პეტრე ლარაძის ცნობაზევე დაყრდნობით, თითქოს იოანე ბატონიშვილმა წაიღო მისგან „დილარიანი“ და უკან აღარ დაუბრუნა. „ესეცა მესმა, მას თავისი სახელი შთაუნერია“, ე.ი. თხზულება თავისად გამოუცხადებიაო, — დასძენდა პეტრე ლარაძე. დავით კარიჭაშვილს პეტრე ლარაძის ეს განცხადება მიაჩნდა ინტრიგად, რომელიც ჩრდილს აყენებდა შესანიშნავი მოღვაწის, იოანე ბატონიშვილის, სახელს.

იგი წერდა: „არამც თუ არავითარი საბუთიანი ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ იოანე ბატონიშვილის სახელით სადმე ყოფილიყო „დილარიანი“, ისიც კი საეჭვოა, რომ მას თავის მდიდარს ბიბლიოთეკაში ჰქონოდაც რომელიმე „დილარიანი“. ჩვენ ვიცით, რომ იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკა მისმა შვილიშვილმა ივანე გრუზინსკიმ გადასცა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკას კატალოგითურთ, რომელშიც „დილარიანი“ არ არის სრულებით მოხსენებული. ნუთუ იოანე ბატონიშვილმა იმიტომ მიითვისა ლარაძის „დილარიანი“ და ზედ თავისი სახელი დაანერა, რომ სამუდამოდ მოესპო“ (კარიჭაშვილი 1927:40).

დავით კარიჭაშვილმა საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა არაერთ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხზე; ქართლის მატრიანეში შემორჩენილ ზოგიერთ სახელსა თუ ისტორიულ პირზე, რომლის ვინაობის დადგენას საგანგებო მოკვლევა ესაჭიროებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი რამდენიმე წერილი: „ვინ იყო მობიდან ეპისკოპოზი“; „სუმბატის ქრონიკის ავტორი“; „ქართლის მატრიანის წარმართი ღმერთები“. ამ ნაშრომებს თანმიმდევრობით განვიხილავთ.

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებ მობიდან ეპისკოპოსის ვინაობაზე 1896 წელს აზრი გამოთქვა ვ. ბოლოტოვმა. მან შენიშნა, რომ „მობიდანი“ არის არა საკუთარი, არამედ საზოგადო სახელი და ცეცხლთაყვანისმცემელთა სასულიერო პირს უნდა ნიშნავდეს. დავით კარიჭაშვილმა ეს შეხედულება გაიზიარა და დამაჯერებლად დაასაბუთა კიდევ.

მობიდან ეპისკოპოსის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: „ხოლო ამას არჩილისა ზე გარდაიცვალნენ ეპისკოპოსნი სამნი: იოანე, გრიგორი და ვასილი. ამან დასვა მობიდა, ხოლო ეს მობიდა იყო მოგვი სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა, არამედ ფარულად ჰსწერდა ნიგნთა ბოროტთა, რომელნი შემდგომად ამისა დასწვნა ეპისკოპოსმან მიხაილ“ (ბატონიშვილი 1885:87).

ვახუშტი ბატონიშვილის ეს სიტყვები, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ მემატიანისა, მეცნიერებმა გაიგეს ისე, თითქოს V საუკუნეში, არჩილ და მირდატ მეფეების დროს, 410-46 წლებში, საქართველოში ეპისკოპოსად იყო ვინმე სპარსი მობიდანი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად მისდევდა მართლმადიდებლობას, სინამდვილეში კი იყო ცეცხლთაყვანისმცემელი და ფარულად ქრისტიანობისთვის ძირგამომხრელ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი ამხილა და მისი წიგნები გაანადგურა მისმა მომდევნო ეპისკოპოსმა მიქაელმა.

დავით კარიჭაშვილის ზემოხსენებული წერილი მიზნად ისახავდა გაერკვია, რამდენად სანდო იყო ცნობა და სწორად იყო თუ არა გაგებული. მკვლევარმა, პირველ ყოვლისა, სპარსი მოგვის საქართველოს ეპისკოპოსად მოხვედრის შესაძლებლობა საეჭვოდ მიიჩნია. მით უფრო, რომ იმ დროს საქართველოს ეპისკოპოსებს ანტიოქიის პატრიარქი ნიშნავდა. ამ გარემოებას სხვა მეცნიერებიც ითვალისწინებდნენ და მატიანის ცნობას ისე განმარტავდნენ, თითქოს მობიდანი იყო არა მოგვი, არამედ ნესტორიანი, არიანი ან მანიქეველი და მართლმადიდებლობას უპირისპირდებოდა. მემატიანე კი გარკვევით აცხადებს, რომ მობიდანი იყო სპარსი მოგვი. დავით კარიჭაშვილმა ყურადღება გაამახვილა სახელზე — მობიდანი — და აღნიშნა, რომ ეს სახელი ქრისტიანული კალენდრისთვის უცნობია, მაშასადამე, ანტიოქიის პატრიარქისაგან დანიშნულ ეპისკოპოსს არ უნდა რქმეოდა.

მკვლევარი იქვე მიანიშნებს, რომ მობიდანი ძველ სპარსულ ენაზე ცეცხლთაყვანისმცემელთა სასულიერო პირს ნიშნავს და წოდებით ქრისტიანთა მთავარეპისკოპოსს უტოლდება. მეცნიერის რწმენით, სიტყვა „მობიდანი“ სწორედ თავისი სპარსული მნიშვნელობით არის ნახმარი „ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერილობაში. „მიავლინა ვახტანგისსა ბარზაბან საკუთარი და მობიდანი და რქვა ესრეთ გორგასალსა“ (ქართლის ცხოვრება 1849:136). აქ სიტყვა „მობიდანი“ ისევე, რო-

გორც სიტყვა „ბარზაბან“ თანამდებობას აღნიშნავს. პირველი სასულიეროს, მეორე — სამხედროს. ამ გარემოებამ მკვლევარს საფუძველი მისცა დაესკვნა, რომ „მოზიდან ეპისკოპოზი“ გულისხმობს არა ქრისტიანთა ეპისკოპოსს, არამედ ცეცხლთაყვანისმცემელთა მღვდელმთავარს (ქურუმს), რომელიც მემატთანეს რატომღაც ქრისტიან ეპისკოპოსად წარმოუსახავს. ამ შეცდომის მიზეზს მკვლევარი იმ ისტორიულ სინამდვილეს უკავშირებდა, როდესაც ახალმოდებული ქრისტიანობის გვერდით საქართველოში ისევ იყვნენ ცეცხლთაყვანისმცემლები, რომელთა სასულიერო პირი სპარსეთიდან იგზავნებოდა. იგი წოდებით ქრისტიან ეპისკოპოსს უთანაბრდებოდა და მემატთანემაც უწოდა მას, უბრალოდ, ეპისკოპოზი. „სწორედ ამ სახელწოდებას მოუხდენია ის გაუგებრობა, — წერდა დავით კარიჭაშვილი, — რომლის წყალობითაც ცეცხლმსახურთა უფროსი, ანუ სპარსულად მოზიდანი, მიეღოთ შემდეგში ქრისტიან ეპისკოპოსად და ამისთანა გაგების მიხედვით ცოტაოდნად შეუცვლიათ მატთანის ტექსტი“ (კარიჭაშვილი 1901:9).

მკვლევრის აზრით, ზემოთ მოყვანილი მატთანის სიტყვები უნდა იყოს შეცვლილი რედაქცია იმ ტექსტისა, რომელშიც სამი ქრისტიანი ეპისკოპოსის ხსენების შემდეგ იქნებოდა მოხსენებული მოზიდანის (ცეცხლმსახურთა ეპისკოპოსის) განწესება და მისი მოქმედება. „ცხადია, ძველი რედაქცია, რომელშიც მოხსენებული ყოფილა ეპისკოპოსი, უსჯულო მოგვი, მშლელი წესთა, საიდუმლოდ მწერალი საცთურებათა ნიგნებისა (როგორც ვახტანგის დროს მოხსენებულია, ბინქარ ეპისკოპოსი, რომელიც იყო სპარსი, ცეცხლის მსახური და ასწავებდა ქართველთა სჯულსა თვისსა), ვერ გაუგია შემდეგის დროის მნიგნობარს და სხვათა ადვილად გაგებისათვის გადაუსწორებია მატთანე, რასაკვირველია ისე, რომ სულ შეუცვლია აზრი და ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, ანუ მოზიდანი, გადაუქცევია ქრისტიან ეპისკოპოსად, მოზიდანად წოდებულად, რომელიც საიდუმლოდ უთხრიდა ძირს ქრისტიანობას“.

ამის შემდეგ მკვლევარი შეეცადა „მოზიდან ეპისკოპოზის“ ვინაობა და საერო თანამდებობა გამოერკვია. ამისათვის ისევ „ქართლის მოქცევის“ ცნობას დაეყრდნო, რომლის მიხედვით სპარსეთის მეფის მოადგილეს გლონოქორ ეპისკოპოსისთვის ქართლისა და ჰერეთის ერისთავობა მიულოცავს. სწორედ ამ გლონოქორს აიგივებდა დავით კარიჭაშვილი მოზიდან ეპისკოპოზთან და მასვე მიაწერდა ყველა იმ ცნობას, რომლებსაც „ქართლის მოქცევაში“ ვხვდებით გლონოქორის შესახებ.

„აქ მოხსენებული გლონოქორ მთავარ-ეპისკოპოსი ცხადია არის ცეცხლის თაყვანისმცემელთა მღვდელ-მთავარი ანუ მოზიდანი. გარდა იმისა, რომ მისი არაქრისტიანული სახელი გლონოქორ ამას გვაფიქრებინებს, ეჭვს გარეშე სდებს მის ცეცხლისმოსავობას თანამდებობა, რომელიც სპარსელებს მიუხდვიათ მისთვის. ყოვლად შეუძლებელია, რომ V საუკუნეში სპარსელებს მიეცეთ თავიანთ უფლების წარმომადგენლობა საქართველოში მართლმადიდებელი ეპისკოპოსისთვის. ...ბარზაბოდ პიტიახშს, სპარსეთის მეფის მოადგილეს რანში, მოვაკანში და საქართველოში მიულოცია გლონოქორ ეპისკოპოსისათვის ანუ მოზიდანისათვის ქართლისა და ჰერეთის ერისთავობა მხოლოდ იმისთვის, რომ როგორც მოზიდანი, ის მეტად სარწმუნო და სანდო ყოფილა სასანიანთა დინასტიისა, რომლის უმთავრესი ლტოლვილება მდგომარეობდა ცეცხლის კულტის გავრცელებაში“ (კარიჭაშვილი 1901:12).

დავით კარიჭაშვილის პოზიცია ამ საკითხისადმი მეცნიერთა უმრავლესობამ გაიზიარა. ივანე ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ მოზიდანი მანიქეველი იყო, რადგან ქრისტიანულ მოძღვრებათა შორის მხოლოდ მანიქეველობა შეიცავდა მაზდეანობის ელემენტებს (ჯავახიშვილი 1951:306-7). კორნელი კეკელიძე მსჯელობის ძირითად ნაწილში ეთანხმებოდა დავით კარიჭაშვილს, მაგრამ მას გლონოქორისა და მოზიდან ეპისკოპოზის იგივეობა შესაძლებლად არ მიაჩნდა.

მისი აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ბლონოქორ resp. გლონოქორ და „ქართლის ცხოვრების“ ბინქარ — ბინქარან — შინქარან ერთი და იგივე პირია, რომლის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო ბლონქარან (კეკელიძე 1955:39).

ბუნდოვანია აგრეთვე სუმბატის ქრონიკის ავტორის ვინაობის საკითხი. სათაურიდან „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოინივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ, ძემან დავითისამან“, მხოლოდ ის ირკვევა, რომ ავტორის სახელია სუმბატი და იგი არის ძე დავითისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გაჩნდა. დავით ბაქრაძის აზრით, ქრონიკის ავტორი უნდა იყოს დავით მამფალის ვაჟი, სუმბატ არტანუჯელი, რომელიც იმავე ქრონიკის ცნობით, 988 წელს გარდაიცვალა. ექვთიმე თაყაიშვილი სავარაუდო ავტორს არ ასახელებდა, მაგრამ დავით ბაქრაძის თვალსაზრისს არ ეთანხმებოდა და შენიშნავდა, რომ თუ ქრონიკის ავტორად 988 წელს გარდაცვლილ სუმბატ არტანუჯელს ვცნობთ, გამოდის, რომ სუმბატის ისტორიის თითქმის ნახევარი მას არ ეკუთვნის და სხვისი ჩამატებულია. შრომა კი თავიდან ბოლომდე ერთი წესით, ერთი ხასიათით არის დაწერილი და ორი ადამიანის ავტორობა ნაკლებად დასაჯერებელია. თედო ჟორდანიას ვარაუდით, სუმბატის ქრონიკას, შესაძლოა, მართლაც ჰყოლოდა ორი ავტორი: სუმბატ კუროპალატი, გარდაცვლილი 992 წელს და მისი შვილი გურგენი.

დავით კარიჭაშვილი არცერთ ამ ვერსიას არ დაეთანხმა და საკუთარი ჰიპოთეზა შესთავაზა მკითხველს. მისი თვალსაზრისით, ქრონიკის ავტორი უნდა ყოფილიყო უეჭველად ბაგრატიონი და სამეფო კართან უაღრესად დაახლოებული პირი, რადგანაც მას ხელთ ჰქონია ბაგრატიონთა საგვარეულო წერილები და დოკუმენტები. იგი ბაგრატი III-ის, გიორგი I-ისა და ბაგრატი IV-ის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. შრო-

მა თითქოს დაუმთავრებელია და მოულოდნელად არის შეწყვეტილი. როგორც დავითი ფიქრობდა, ალბათ, ავტორის გარდაცვალების გამო. ერთადერთ ასეთ სავარაუდო ავტორად მას მიაჩნდა დავით ბაგრატიონის შვილი. „ეს დავითი, — წერდა მკვლევარი, — არის ბაგრატ III-ის პაპის (ბაგრატ რეგვენის) ძმის (ადარნესე კუროპალატის) შვილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა უსაფუძვლოდ დავით კუროპალატად აღნიშნა“ (კარიჭაშვილი 1909:41). მას ქრონიკაში დავით მცირე ეწოდება. მკვლევრის აზრით, ამის მიზეზია ის, რომ დავითი მამის, ადარნესეს, გარდაცვალებისას, 983 წელს, მცირეწლოვანი დარჩენილა (1-10 წლის). ქრონიკის ავტორის, სუმბატის სიკვდილის წელს (1032 წელს თხრობა ამ თარიღზე წყდება) დავითი უნდა ყოფილიყო 50-60 წლისა და, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, იმ დროისათვის შესაძლოა ჰყოლოდა 30-40 წლის შვილი. ქრონიკის ავტორი, სუმბატი, დავით მცირის, ე.ი. მამამისის, გარდაცვალების წელს არ ახსენებს. ამას მკვლევარი იმით ხსნიდა, რომ სუმბატი, შესაძლოა, მამაზე ადრე გარდაიცვალა, არა უხნეს 30-40 წლისა.

დავით მცირე, რადგან მამის გარდაცვალებისას მცირეწლოვანი ყოფილა, დავით კარიჭაშვილის აზრით, ბაგრატ III-ის ან მისი მამის, მეფე გურგენის ოჯახში უნდა აღზრდილიყო. ამდენად, მისი ვაჟი, სუმბატიც მეფის ოჯახთან უაღრესად დაახლოებული პირი იქნებოდა.

„ამნაირად ჩვენი ჰიპოთეზა არის შემდეგი, — წერდა მკვლევარი, — სუმბატი უნდა ყოფილიყო შვილი დავითისა, რომელიც იყო ძე ადარნასე კუროპალატისა, ბაგრატ III-ის პაპის ძმისა. სუმბატი თავის ქრონიკაში სწერს: „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კუროპალატისა, ძმა ბაგრატ რეგვენისა, ქორონიკონსა სგ. და დაუტევა ძე — დავით მცირე“ (63-64 გვ). შესამჩნევი არის, რომ სუმბატი, რომელიც უჩვენებს ყველა ბაგრატიონის სიკვდილის წელს, არ იხსენიებს ამ დავით მცირის სიკვდილის წელს. ამას ჩვენ იმითი ვხსნით,

რომ დავითი სუმბატის სიცოცხლეში არ გარდაცვლილა და 1032 წელს ის კიდევ ცოცხალი ყოფილა. აქედგან ჩანს, რომ სუმბატი გარდაიცვალა მამაზე ადრე, ჯიელობაში, როგორც ჩვენ ვიანგარიშეთ, არა უხნეს 30-40 წლისა. დავით ადარნასე კუროპალატის შვილი, მამის სიკვდილის შემდეგ 983 წელს დარჩენილი პატარად, უეჭველია, უნდა გაზრდილიყო ბაგრატ მესამის ან მის მამის გურგენის ოჯახში და დაახლოებული უნდა ყოფილიყო სამეფო ოჯახთან, რადგან ის იყო უმახლობელესი ნათესავი ბაგრატისა. აგრეთვე მახლობელი უნდა ყოფილიყო ბაგრატთან და მის მიმყოფ მეფეებთან დავითის შვილი სუმბატიც“ (კარიჭაშვილი 1909:42).

დავით კარიჭაშვილს ამ საკითხზე მოხსენება ნაუკითხავს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 1907 წლის 20 ნოემბერს (ძველი საქართველო 1909:12). კრების ოქმიდან ჩანს, რომ მოხსენებას დამსწრეთა შორის კამათი გამოუწვევია. იუსტინე აბულაძემ და სერგი გორგაძემ დავით კარიჭაშვილის ჰიპოთეზა არამეცნიერულად მიიჩნიეს და უპირატესობა დიმიტრი ბაქრაძის ვერსიას მიანიჭეს (რომლის მიხედვით, სუმბატი იყო დავით მამფალის ვაჟი, სუმბატ არტანუჯელი). ექვთიმე თაყაიშვილი მომხსენებელს დაეთანხმა იმაში, რომ ქრონიკის ავტორს XI საუკუნეში უნდა ეცხოვრა და ბაგრატიონთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. მოგვიანებით, ივანე ჯავახიშვილიც ამავე აზრს გამოთქვამდა, დასძენდა იმასაც (რაც თავის დროზე დავით კარიჭაშვილმა შენიშნა), რომ „მეფე გიორგი I-ითგან მოყოლებული თხზულების დასასრულამდე, რომელიც ბაგრატ IV-ის დედის კონსტანტინეპოლში გამგზავრების ამბავზე ერთბაშად სწყდება, სუმბატი მოთხრობილის თანამედროვე უნდა ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი 1945:194).

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დავით კარიჭაშვილის ნარკვევმა „ქართული მატიანის წარმართი ღმერთები“. მკვლევარმა მატიანეზე დაყრდნობით მიმოიხილა ქართველი ერის რელიგიური აზროვნების ისტორია, მეზობელი



ქვეყნების სარწმუნოებათა გავლენები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მატრიანეში ნახსენები წარმართული ღვთაებანი: არმაზი, ზადენი, გაცი და გაიმი — მაზდეანობის გავლენის შედეგად გაჩნდა საქართველოში. მათგან ღმერთის სახელია მხოლოდ არმაზი, ზადენი საღვთო ნიგნია, გაცი — ამ საღვთო ნიგნში მოქცეული ერთგვარი საგალობლების სახელი, გაიმი — საღვთო ნივთიერება, რომელიც კერპთმსახურების დროს იხმარებოდა.

ეს დასკვნები გარკვეულწილად არ ეთანხმება თვალსაზრისს ნიკო მარისა, რომელმაც ამ საკითხების კვლევა უფრო ადრე დაიწყო. კერძოდ, დავით კარიჭაშვილი არ დაეთანხმა ნიკო მარის ვერსიას, რომ ზადენი შეცვლილი სახელია მაზდეანთა ღვთაებისა — იაზატა. ასევე, არ გაიზიარა ნიკო მარის შეხედულება, რომ გაცი და გაიმი სირიელთა ღვთაებების სახელებია, ქართულ მატრიანეში მნიგნობრის მიერ შემოტანილი. რაც შეეხება მატრიანეში ნახსენებ კიდევ ორ ღვთაებას: აინინას და დანიინას — დავით კარიჭაშვილი ვარაუდობდა, რომ ისინი მიღებულია ასურეთ-ბაბილონის სამი ღმერთის (აა, ნინა, ნანას) სახელებიდან. აა — ქართულად აა — მზე ღმერთის ცოლს ნიშნავს; ნანა იყო ცოლი მთვარე ღმერთისა. ნინა — წყლის ღმერთქალი. მკვლევრის აზრით, ქართულ ზეპირმეტყველებაში ეს სახელები შეერთდა და გაჩნდა ორი სახელი: აინინა, დანიინა (ნიკო მარი ეჭვობს, რომ აინინა და დანიინა შესაძლოა ერთი ღმერთის ორი სახელი იყოს: ირა-ნული ანაჰიტა და არაირანული ნანა).

იმ გარემოებას, რომ მატრიანეში ქართული, ეროვნული, წარმართული ღვთაებანი არ იხსენებიან (გარდა მწერლობაში ნახსენებ ღვთაება ბოჩისა), მკვლევარი ხსნის იმით, რომ მათ ებრძოდა ქრისტიანობა და ასევე მაზდეანობა, რომელიც IV-VI საუკუნეში ფეხმოკიდებული იყო საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

აღნიშნული ნარკვევი დავით კარიჭაშვილმა პირველად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს გააც-

ნო. კრებაზე ძალზე საინტერესო კამათი გაიმართა. ზოგიერთმა მეცნიერმა ნაშრომის ნაკლად მიიჩნია ის, რომ ავტორი ნდობას უცხადებდა ქართულ საისტორიო წყაროებს და მთლიანად არ უარყოფდა ცნობების რეალურობას. სარგის კაკაბაძის შეფასება ასეთი იყო: „მომხსენებელი არ იცნობს, თუ საჭიროდ არ სცნობს, ანგარიში გაუწიოს იმ კრიტიკულ ლიტერატურას, რომელიც უკვე არსებობს ჩვენი საისტორიო წყაროების შესახებ... როგორც კრიტიკამ გამოარკვია, ეს წყაროები („ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) შედგენილია პირველი არა უადრეს XI საუკუნის მეორე ნახევრისა, ხოლო მეორე — არა უადრეს X საუკუნისა და, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია, X-XI საუკუნის ქართველ მწერალს რაიმე რეალური სარწმუნო ცნობა ჰქონოდას ხელთ ძველი ქართული წარმართობის შესახებ“ (მეტრეველი 1982:229-30).

ილია აბულაძე გადაჭრით უჭერდა მხარს ნიკო მარის თვალსაზრისს, რომ ქართველთა წარმართული ღვთაებების სახელები მნიგნობრული საშუალებით შემოსულა ქართულ მატრიანეში და „ქართლის ცხოვრების“ I ნაწილი მთლიანად ნასესხებია.

ექვთიმე თაყაიშვილმა მისაღებად მიიჩნია დავით კარიჭაშვილის დამოკიდებულება ქართული მატრიანისადმი და აღნიშნა: „ბ-ნი რეფერენტი წყაროებს კრიტიკულად არ შეეხო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მას საჭიროდ არ მიაჩნდეს წყაროთა კრიტიკა ამგვარი კვლევის დროს, ან თითქოს არ იცნობდეს არსებულ კრიტიკას, არამედ მხოლოდ იმას, რომ რეფერენტს განსაზღვრული შეხედულება აქვს ამ წყაროთა ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ და ეს შეხედულება ბევრ შემთხვევაში არ ეთანხმება ჩვენი საისტორიო წყაროების კრიტიკოსთა შეხედულებას“ (მეტრეველი 1982:230).

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ დავით კარიჭაშვილის დამოკიდებულება ქართული საისტორიო წყაროები-

სადმი სწორი იყო. იგი ემყარებოდა იმ ნდობასა და პატივისცემას, რომელსაც მკვლევარი იჩენდა ქართული მატრიანისა და, ზოგადად, ერის სულიერი მემკვიდრეობისადმი, რაც არასოდეს დაუკარგავს მას, მიუხედავად იმ დროისათვის უკვე პოპულარული „კრიტიკული ლიტერატურისა“.

დავით კარიჭაშვილი ეხმაურებოდა ყველა იმ მნიშვნელოვან სიახლეს, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევაში იჩენდა თავს. იგი პატივისცემით იმსჯევალებოდა იმ მეცნიერთა მიმართ, რომელთათვისაც ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია სერიოზული ძიებისა და ზრუნვის საგანი იყო. დავით კარიჭაშვილი სარეცენზიო წერილებით გამოეხმაურა IV და V ტომების გამოსვლას ნიკო მარის შრომისა „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“. IV ტომში წარმოდგენილია შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხაძის „თამარიანი“. ქართულ ტექსტებს უძღვის ნიკო მარის წინასიტყვაობა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: I. „დავით აღმაშენებლის მამკობარი“; II. „თამარის მამკობარი“.

წერილის დასაწყისში დავით კარიჭაშვილი ნიკო მარის გამორჩეულ ერუდიციაზე წერდა: „სწორედ რომ ამისთანა ცოდნის პატრონი უნდა იყვეს ის კაცი, რომელიც შეუდგება ქართულ-სომხურის ფილოლოგიის ძიება-გამოკვლევას. მხოლოდ ამისთანა კაცისგან უნდა მოელოდეს ქართული ფილოლოგია წარმატებასა და განვითარებას“ (კარიჭაშვილი 1902). რეცენზენტმა ყურადღება გაამახვილა ნიკო მარის თვალსაზრისზე, რომელიც ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობას და სომხურ ენასა და ლიტერატურასთან ურთიერთობას ეხება. ნიკო მარს შეუძლებლად მიაჩნდა ქართული და სომხური მწერლობის ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი შესწავლა. ეს აზრი მისი ნაშრომის ორივე ტომშია გატარებული.

დავით კარიჭაშვილი წერილში იმ სიახლეებსა და მიგნებებზე საუბრობს, რომლებიც ნიკო მარის კვლევის შედეგ-

გია. მოაქვს მისი მეტად საინტერესო ვარაუდები თხზულებათა ავტორების შესახებ. ამ გამოკვლევამდე ორივე თხზულებას „თამარ მეფის შესხმას“ უწოდებდნენ. შავთელიცა და ჩახრუხაძეც თამარ მეფის თანამედროვე პოეტებად მიაჩნდათ. ნიკო მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შავთელის თხზულება დავით აღმაშენებელს ეძღვნება და, შესაბამისად, ავტორი დავით მეფის თანამედროვეა. მეცნიერმა აგრეთვე შენიშნა, რომ „თამარიანი“ ერთიანი, მთლიანი თხზულება კი არ არის, არამედ წარმოადგენს თამარ მეფისადმი მიძღვნილ დამოუკიდებელი ლექსების კრებულს, მათგან თერთმეტი ოდაა, ერთი — ელეგია. დავითი იწონებს ტექსტების დამახინჯებული ადგილების ნიკო მარისეულ შესწორებებს, არეულდარეული ნაწილების დალაგებას და საუბრობს იმ ლექსიკონთა მნიშვნელობაზე, რომლებიც ტექსტებს დაერთვის (1. ძველი და ახალი უხმარი ქართული სიტყვებისა; 2. უცხო ენათაგან შემოსული სიტყვებისა; 3. საკუთარი სახელებისა). რეცენზენტის აზრით, ნ. მარის შრომა შეცდომებისაგან დაზღვეული არ არის, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

ნაშრომის — **Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии** — V ტომში წარმოდგენილია: 1. ორი კრიტიკული წერილი; 2. წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა; 3. ნაწყვეტი ეზნიკის წერილისა მაშტოცის მიმართ; 4. სია წმინდანთა, რომელნიც, სომხების რწმენით, მფარველებად ითვლებიან სხვადასხვა ავადმყოფობის დროს; 5. გიორგი ვართაპეტის შენიშვნა ანტონ კათოლიკოზის გადაყენებისა და განდევნის შესახებ და 6. სალექსიკონო შენიშვნები.

სარეცენზიო წერილში დავით კარიჭაშვილი შეეცადა ხაზი გაესვა იმ ასპექტებისთვის, რომლებითაც ნიკო მარის შრომა ქართულ მწერლობას უკავშირდება. ისაუბრა ძველი ქართული თხზულების, „წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“, ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე, კერ-

ძოდ, აღნიშნა: „ნამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“ გადმო-  
ბეჭდილია X საუკუნის ხელნაწერთგან, ხოლო დაწერილი  
პირველად უფრო ადრე უნდა იყვეს. ეს ნაშთი მით არის სა-  
ინტერესო, რომ ცხადჰყოფს იმ დევნას, რომელიც უნდა გა-  
დახდოდათ საქართველოში ქრისტეს მორწმუნეებს ძველი  
რჯულის მიმდევართგან. ძალიან მცირედ არის ჯერ-ჯერო-  
ბით ცნობილი, თუ რა დაბრკოლება შეხვდა ქრისტიანობის  
გავრცელებას საქართველოში. ეს ნაშთი ძალიან მნიშვნე-  
ლოვანია, როგორც შემცველი ისეთის ფაქტისა, რომელიც  
ახასიათებს ქრისტიანობის დამყარების პირველს დროს“.   
დაბოლოს, განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა ზოგი-  
ერთი სიტყვის განმარტება-ნარმომავლობასთან დაკავში-  
რებით (კარიჭაშვილი 1903).

დავით კარიჭაშვილმა ლაკონიურად და ზუსტად დაახასი-  
ათა ნიკო მარი, როგორც მეცნიერი და ისურვა, ყველა მეც-  
ნიერს ევლო მისი გზით: „ეს გზა არის შრომა, ცოდნა და მი-  
უდგომლობა“.

„კარიჭაშვილის რეცენზია თავის დროზე მივიღე, მაღლო-  
ბა ღმერთს, ზოგი რამ სხვასაც ესმის“ — სწერდა ნიკო მარი  
ექვთიმე თაყაიშვილს (ნიკო მარისა და... 1991:173).

დავით კარიჭაშვილისთვის ასევე სამაგალითოა მარი  
ბროსეს გულმოდგინება და თავდადება. მისი ნარკვევით,  
„მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა“, მკითხველს საშუალება  
მიეცა თვალი გადაეელო მარი ბროსეს რთული ცხოვრების  
გზისთვის. დაენახა მისი იშვიათი ნიჭიერება, დიდი ნებისყო-  
ფა და უაღრესად ფართო ინტერესები. „ბროსემ ჩაუდგა სუ-  
ლი ქართული ისტორიოგრაფიას, დაუმზადა მას ბლომად  
საზრდო და უანდერძა სხვებს მისგან სულჩადგმული ისტო-  
რიოგრაფიის აღზრდა და განვითარება. ამ ღვაწლისათვის  
მარი ბროსე საუკუნოდ მოხსენებულა ქართველთგან. ვი-  
ნატრებდით, რომ ჩვენის ქვეყნის ახლანდელთ მკვლევართ  
ჰქონდეთ ბროსეს ენერგია, საქმის სიყვარული და ერთგუ-  
ლება“, — წერდა იგი (კარიჭაშვილი 1902).

დავით კარიჭაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი შემფასებელი მისი უდიდესი თანამედროვის, ილია ჭავჭავაძის, ღვანლისა. ჟურნალში „Le Caucase illustre“, რომელსაც თბილისში ფრანგი ჟულ მურიე გამოსცემდა (1889-1892; 1899-1902), გამოქვეყნდა მისი წერილი „თავადი ილია ჭავჭავაძე“ (კარიჭაშვილი 1899-1900:14-15). წერილში მოკლედ არის მიმოხილული ილიას მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ასევე მრავალმხრივი ლიტერატურული შემოქმედება. ხაზგასმულია ის სასიკეთო ძვრები, რომელმაც ილია ჭავჭავაძის თავდაუზოგავი შრომის შედეგად იჩინა თავი ერის ცხოვრებაში.

ამ თემას დავით კარიჭაშვილი კვლავ დაუბრუნდა ილიას მკვლევლობის შემდეგ. მის არქივში დაცულია წერილი „ილია ჭავჭავაძე“, რომელშიც მკვლევარი უფრო ვრცლად საუბრობს მწერლის ბიოგრაფიაზე, მის მამულიშვილურ ღვანლზე, შემოქმედებასა და ბოლოს, ტრაგიკულ აღსასრულზე. დავით კარიჭაშვილი წერდა: „ორმოცდაათის წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას სამწერლო თუ პრაქტიკულს სარბიელზე, გამსჭვალული ერთის მძლავრის გრძნობით და დამცველი ერთის და იმავე აზრებისა. მძლავრი გრძნობა, რომელიც აფორიაქებდა მას, იყო სამშობლოს სიყვარული. აზრები, რომელთაც ის იცავდა და ახორციელებდა შეძლებისამებრ, იყო ადამიანთა თანასწორობა და ერთობა, პიროვნების და ერის თავისუფლება, ხალხის გონებრივი განვითარება, ზნეობრივი გაუმჯობესება და ქონებრივი წარმატება“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4208).

დავით კარიჭაშვილის სწორ ალღოსა და გონიერებაზე მეტყველებს ის, რომ მან, ილია ჭავჭავაძის თანამედროვემ და თანამშრომელმა, მის სიცოცხლეშივე შეძლო მთელი მასშტაბით დაენახა და გაეაზრებინა ამ პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში.

## ბ) რუსთველოლოგიური ღვანლი

თვალსაჩინოა დავით კარიჭაშვილის, როგორც რუსთველოლოგის ღვანლი. ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ორჯერ 1903 და 1920 წლებში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რედაქტორობა დავითს მიანდო.

1903 წლის გამოცემა პოემის რიგით მე-19-ა, 1920 წლისა კი 24-ე.

ორივე გამოცემა იმეორებს პოემის მოკლე, ვახტანგისეულ რედაქციას და შეიცავს 1576 სტროფს. გამოცემებში ჩართულია სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის რამდენიმე სურათი. პოემის ტექსტი დასურათებულია მიხაი ზიჩის ნახატებით (21 სურათი). სტროფებს ახლავს ნუმერაცია.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ახალ გამოცემებს საფუძვლად დაედო 1888 წლის გიორგი ქართველიშვილისეული გამოცემა, რომელიც საზოგადოების გამგეობამ ყველაზე უფრო სანდოდ და მისაღებად სცნო.

პოემის 1860 წლის დავით ჩუბინაშვილისეული გამოცემის შემდეგ, 1903 წლის პუბლიკაცია არის პირველი მეცნიერული გამოცემა, რომელსაც ახლავს კომენტარები („შენიშვნები“), უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა და დართული აქვს ლექსიკონი.

1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში მოკლედ არის გადმოცემული პოემის შინაარსი, რომელსაც ტექსტის კრიტიკული ანალიზი მოსდევს. განხილულია პროლოგი, ეპილოგი და უშუალოდ პოემა.

ცნობილია, რომ რუსთველოლოგიაში სამი განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა პოემის პროლოგისადმი. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ იგი ნამდვილად რუსთველის დაწერილია (დავით სუტნერი, დავით ჩუბინაშვილი, სიმონ ქვარიანი...); მეორენი ფიქრობდნენ, რომ პროლოგი რუსთველის დაწერილია, მაგრამ შერყვნილია ზედმე-

ტი, არარუსთველური სტროფებით (ალექსანდრე სარაჯიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი); მკვლევართა უმცირესობა კი გადაჭრით უარყოფდა პროლოგის რუსთველისადმი კუთვნილების აზრს. დავით კარიჭაშვილი ამ უკანასკნელ პოზიციას იცავდა. გამოცემის წინასიტყვაობაში იგი დაწვრილებით განიხილავს პროლოგს და ცდილობს მკითხველს დაუსაბუთოს რამდენად არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია მისი შინაარსი, რამდენად მოულოდნელია გადასვლები საუბრის ერთი საგნიდან მეორეზე. საბოლოოდ, დავით კარიჭაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პროლოგი აზრობრივად დაუკავშირებელ სტროფთა უსისტემო მთლიანობაა, დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ და წარმოადგენს მათ შეხედულებებს პოემაში წამოჭრილ საკითხებსა და თვით რუსთველის ვინაობაზე. პოემასთან კავშირი აქვს პროლოგის მხოლოდ სამ სტროფს (6, 7, 16), რომლებშიც იხსენიება „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ტარიელი, წყარო თხზულების ფაბულისა („ესე ამბავი სპარსული...“) და ავტორი (რუსთველი).

მოგვიანებით გამოქვეყნებულ წერილში „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“ დავით კარიჭაშვილი წერდა: „მნივნობრების ცდა, რომ წინასიტყვაობის და ბოლოსიტყვაობის (ანუ პროლოგისა და ეპილოგის — ლ.კ.) ტაეპები ისე დაელაგებინათ, რომ აზრიანი კავშირი დამყარებულიყო მათ შორის, ვერ გამოდგა ნაყოფიერი... მათი დალაგება ან განმენდა იმნაირად, რომ ყველანი კმაყოფილნი ყოფილიყვნენ, შეუძლებელი შეიქნა“ (კარიჭაშვილი 1913:413).

საინტერესოა რედაქტორის ზოგიერთი დაკვირვება: პროლოგის მე-3-მე-5 სტროფებთან დაკავშირებით იგი წერს: „ეს სამი ტაეპი (იგულისხმება სტროფი — ლ.კ.), თითქოს ერთ აზრს შეიცავენ, ეს არის ავტორის განძრახვა თამარისა და ლომის (საფიქრებელია, მისი ქმრის დავითის) ქება-შესხმისა (ეს არის რუსთველოლოგიაში პირველი ვარაუდი, რომელმაც პროლოგისა და ეპილოგის შესაბამისი ტაეპები



დავით სოსლანის სახეს დაუკავშირა. მეფე ვახტანგი და დავით ჩუბინაშვილი „ლომს“ განმარტავდნენ, როგორც თამარ მეფის მეტაფორას — ლ.კ.), მაგრამ რამდენი შინაგანი შეუსაბამობაა ამ სამს ტაეპში! მოლექსე გვატყობინებს, რომ წინად უქია თამარი და ახლაც გვინვეს მის საქებად, ხოლო ვერ მოუხერხებია და ვერ გაუბედნია ქება ლომისა, რომელსაც შვენის თამარის ფარ-შიმშერი და შუბი. საოცარია ამისი თქმა. თუ კი თამარის ქება მოახერხა, რა ძნელი გასაბედი იყო ქება ლომისა, რომელიც მაინცდამაინც დიდი ვინმე არ არის თამართან შედარებით...”

ეპილოგის განხილვისას დავით კარიჭაშვილი კვლავ ეხება „დავითის“ საკითხს, 1573-ე სტროფთან („ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად...“) დაკავშირებით წერს: „აქ საინტერესოა ვიცოდეთ რომელ დავითზეა ლაპარაკი, რადგანაც საზოგადო აზრით, რომელსაც არავინა ჰყოფს უარს, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარ მეფის დროს, ამიტომ „დავითი“ აქ უნდა იყვეს თამარის ქმარი დავით სოსლანი. მაშ, ამ ტაეპის მოწმობით, „ვეფხისტყაოსანი“ დაუწერია ავტორს დავით სოსლანის „საკამათებლად“. „...ძნელი დასაჯერებელია, რომ პოეტს, თუ დასწერდა ვისმე საკამათებლად ამისთანა თხზულებას, დავითი მოეხსენებინა და არა მისი გვირგვინოსანი მეუღლე, მთელი ერის სათაყვანო მეფე. ამასთან, ქართველთა ღმერთად იხსენიება თამარი და არა დავითი“.

არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნულ ტაეპში — „ქართველთა ღმრთისა დავითის...“ — იგულისხმება სწორედ თამარ მეფე (ნათაძე 1992:520), თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს აზრი საყოველთაოდ მიღებული და, ამდენად, საკითხი სრულიად გარკვეულია.

მკვლევარს შეუწყნარებლად ეჩვენება აგრეთვე პოეტისაგან მეფექალისადმი მიჯნურობის ამკარა გამჟღავნება, საქვეყნოდ გაცხადება და მისი გარეგნული მშვენიერების ხოტბა: „ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა“.

„ეს განცხადება თავის სიყვარულისა ერთის მხრით არის დარღვევა მიჯნურობის წესისა, რომელიც თვითონ წინა ტაეპებში დაგვინერა, მეორე მხრით — ტრაბახი. მე-13 ტაეპში სწერს მოლექსე: ჰხამს (მიჯნური) თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდესო. თვითონ კი თავის ხვაშიადს საქვეყნოდ აცხადებს. მე-8 ტაეპში მოლექსე სწერს, მიჯნური უნდა იყვეს თვალად ტურფა და უნდა ჰქონდეს სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე, მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა და მძლეთა მებრძოლთა მძლეობაო, და თან უმატებს: ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობაო. ამის შემდეგ თქმა იმისი, რომ მე ვარ ნამდვილი მიჯნურიო, ტრაბახი იქნება, მაშ რა?“ — წერდა მკვლევარი.

ეს გარემოებანი უბიძგებდა დავით კარიჭაშვილს განეცხადებინა, რომ პროლოგი არარუსთველურია და მასში გამოთქმულია ინტერპოლატორთა („ვეფხისტყაოსნის თავისმცემელთა“) აზრები ამ თხზულების, მისი ავტორის, ქების საგნის და ლიტერატურული ხელოვნების შესახებ, აგრეთვე თეორიები მიჯნურობასა და პოეზიაზე. ასევე სკეპტიკურია რედაქტორის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგისადმი. ამ შემთხვევაში იგი ეთანხმება თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელსაც ეპილოგი პოემის გვიანდელ დანართად მიაჩნდა.

დავითის აზრით, ჯერ დაინერა ეპილოგი, ხოლო მოგვიანებით, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, პროლოგი.

დავით კარიჭაშვილის პოზიციას პროლოგ-ეპილოგის მიმართ, უარყოფითად ხვდებოდნენ. კრიტიკულად შეაფასა იგი ნიკო მარმაც, რომელსაც დავითი მაღლიერებით იხსენიებდა, როგორც თანამდგომსა და მრჩეველს გამოცემების მომზადებისას. მიუხედავად ამისა, მის თვალსაზრისს მომხრეები ჰყავდა. ერთხანს მხარს უჭერდა კორნელი კეკელიძეც. იგი წერდა: „ყველაზე გაბედული და ჩვენის აზრით, საფუძვლიანი ნაბიჯი გადადგა დ. კარიჭაშვილმა, რომელმაც

ექვი შეიტანა როგორც პროლოგის, ისე ეპილოგის ორიგინალობაში მთლიანად“ (კეკელიძე 1924:89). მან დავით კარიჭაშვილის არგუმენტაციას თავის მხრივ დაუმატა, რომ პროლოგი თვით პოემას ეწინააღმდეგება, მაშასადამე, ის პოემის ავტორის მიერ დაწერილი არ უნდა იყოსო. მოგვიანებით კორნელი კეკელიძემ აზრი შეიცვალა და პროლოგის 21 სტროფი ძირეულად მიიჩნია.

პროლოგის რუსთველისადმი კუთვნილების აზრს უარყოფდა ალექსანდრე სვანიძეც თითქმის იმავე არგუმენტებით, რომლებსაც თავის დროზე დავით კარიჭაშვილი წარმოადგენდა: „Пролог и эпилог представляют собою позднейшие приписки и не одного, как видно, а нескольких авторов“ (Сванидзе, 1934:99).

ალექსანდრე ბარამიძემ შეამჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მსგავსად, „შაჰ-ნამეს“, „იოსებ-ზილიხანის“, „ვისრამიანის“, „ლეილ-მაჯნუნიანის“, „ისკანდერ-ნამეს“ და სხვა თხზულებათა პროლოგები შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: 1. ღვთის ქება; 2. მეფე-პატრონთა ან მეცენატთა ქება; 3. ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები. შესავალთა ეს სამი ელემენტი თითქოს სავალდებულო ნორმად ჩანს მთელ ირანულ მწერლობაში და იგი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის დაცული. ამდენად, მის ტექსტში თავიდანვე უნდა ყოფილიყო სათანადო შედგენილობის პროლოგიო, — აცხადებს იგი (ბარამიძე 1936:230). მაგრამ ამ არგუმენტებმა პროლოგისადმი უნდობელ დამოკიდებულებას ნიადაგი ვერ გამოაცალა. ცნობილი მკვლევარი-რუსთველოლოგი და „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი მიხეილ წერეთელი 1952 წელს წერდა: „პოემის დასაწყისი კიდევ მეტ გაუგებრობას იწვევს, ვიდრე დასასრული — თავისი უცნაური აგებულებით: „სტროფთა“ ლექსის სხვადასხვაობით, ნაკვეთთა შინაარსის შეუსაბამობით და სხვა. თითქოს ეს „დასაწყისი“ რამოდენიმე პოეტისაგან იყოს დაწერილი“ (წერეთელი 1952:29).

პროლოგის არარუსთველურობის ვერსია დღეისათვის უარყოფილია, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული კითხვები მაინც არსებობს. უკანასკნელ ხანს მკვლევარი ალ. ჭინჭარაული გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ პროლოგი არაავთენტიკურია და ინტერპოლაციად უნდა ჩაითვალოს (ჭინჭარაული 2005).

რაც შეეხება უშუალოდ პოემას, დავით კარიჭაშვილი მიიჩნევდა, რომ „ნამდვილი ვეფხისტყაოსანი“ მოთავსებულია 32-ე-1571-ე სტროფებს შორის, თუმცა არც ეს ტექსტია პირვანდელი სახით შენახული და არარუსთველურ, ჩამატებულ ტაეპებს შეიცავს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ პირვანდელი ტექსტის დადგენა და დამახინჯებული ადგილების გასწორება მხოლოდ თხზულების ყველა ვარიანტის სათანადოდ შესწავლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

პოემის ორიგინალობა-წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოცემის წინასიტყვაობაში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სამგვარი თვალსაზრისი: 1. „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია; 2. ნათარგმნია სპარსულიდან; 3. ამბავი სპარსულია, მაგრამ მის საფუძველზე შექმნილია ორიგინალური თხზულება. რედაქტორი მესამე თვალსაზრისს უჭერდა მხარს. „უსაფუძვლოდ მიგვაჩნია აზრი, — წერდა იგი, — ვითომ „ვეფხისტყაოსანი“ იყვეს თარგმანი სპარსულითგან. ამის წინააღმდეგ ლაღადებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ სპარსულს ლიტერატურაში არ არის ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალის არსებობა, მეორედ, საკმარისია კაცი გულდადებით ჩაუკვირდეს ამ თხზულებას, რომ მასში ჰპოვოს წმინდა ქართული ნაწარმოები, ქართველის კაცის ხასიათები, საქართველოს ბუნების სურათები და თვით ქართული ენა, რომელსაც სრულებით არ ადევს თარგმნილობის ელფერი“.

დავით კარიჭაშვილი ეხმაურებოდა აკაკი წერეთლის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, თხზულების თითოეული გმირი თითოეული ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარ-

მომადგენელია, მაგრამ იქვე დასძენდა: „ეს კი უნდა ითქვას, რომ პოეტს განგებ კი არ დაუხატავს თავისი გმირებით ეთნოგრაფიული წარმომადგენლები ჩვენის ხალხისა, არამედ ეს მომხდარა თავისთავად, პოეტის უნებურად. პოეტის აზრი იყო, სხვადასხვა ტიპის გმირები დაეხატა. მანაც დახატა და მხატვრობისთვის ის ფერადები იხმარა, რასაც ქართველი ხალხის სულის ცოდნა აძლევდა მას“.

ამგვარად, დავით კარიჭაშვილის პოზიცია თხზულების წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოკვეთილია: „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული თხზულებაა და „უცხოობის“ შთაბეჭდილებას მხოლოდ ერთი შეხედვით ახდენს. ამ საკითხზე მკვლევარს არაერთხელ გამოუთქვამს აზრი. აი, რას ამბობს იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე: „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა საზოგადოდ ირანულ-სპარსულია. იმ დროს წერის მანერაც კი ყველა ერებში საზოგადო ხასიათს ატარებდა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პოემას საფუძვლად მაინცადამაინც ნათარგმნი წერილობითი პროზა დასდებოდეს, სანამ ასეთი ტექსტი არ აღმოჩნდება, საფუძველი არ გვექნება დავასკვნათ, ვითომც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ორიგინალური არ იყოს... შოთამ ისარგებლა ხალხში მოარულის ზეპირთქმულებით და არა ნაწერით. პოემაში თუ სპარსული სიტყვები გვხვდება, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სასახლეში და საზოგადოებაში სპარსული ტერმინები ყოფილა მიღებული“ (საქართველოს... 1909:19).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიული წარსულის ანალოგიების ძიებას „ვეფხისტყაოსანში“ დავით კარიჭაშვილი შეცდომად მიიჩნევდა. მისი აზრით, პოემა არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ მასში თამარ მეფის ამბებია აღწერილი. თამარ მეფეს თითქმის არაფერი აქვს საერთო ნესტან-დარეჯანთან (გარდა იმისა, რომ „ერთიც და მეორეც არიან ერთადერთი შვილები მამისა“), უფრო მეტი მსგავსებაა თამარ მეფესა და თინათინს შორის, მაგრამ, რო-

გორც მკვლევარი შენიშნავს, თინათინს იმის მეტი სხვა როლი არა აქვს რა „ვეფხისტყაოსანში“, რომ ხელს უწყობს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ამბის გამომჟღავნებას. „ჩვენის აზრით, ეს მსგავსებაც შემთხვევითია და არა განძრახული, პოეტს რომ ნდომებოდეს თამარ მეფის გამოსახვა თავის მოთხრობაში თინათინის სახით, ნუთუ დასჯერდებოდა იმას, რაც თინათინს არგუნა თხზულებაში?“ — წერდა დავით კარიჭაშვილი.

რაც შეეხება თხზულების ავტორის ვინაობის საკითხს, არც გადმოცემა შოთა რუსთაველის შესახებ და არც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩენილი პორტრეტი დავითს არ მიაჩნია მტკიცე და უდავო ფაქტებად პოემის ავტორად შოთა რუსთაველის აღიარებისთვის. „ჩვენ გვგონია, — ამბობს იგი, — რომ თქმულება რუსთაველის იერუსალიმში ბერად შედგომის შესახებ გაჩნდა ამ პორტრეტის წყალობით. ხოლო ეს პორტრეტი შეიძლება იყოს გამოხატულება რომლისამე რუსთავის ეპისკოპოსისა, რომელიც მართლაც სიბერეში ყოფილიყოს იერუსალიმში და იქ მიცვლილი იქვე დამარხულიყოს“. აქვე აღნიშნულია ნიკო მარის თვალსაზრისი, როგორც ახალი ვერსია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი და ჩახრუხაძე ერთი პირია.

გაიოზ იმედაშვილის ნიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712-1956 წლები“ შედის „ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემის ანოტაცია, რომელშიც მონოდებულია ცნობა, რომ დავით კარიჭაშვილი გამოცემის წინასიტყვაობაში „ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორობის საკითხს და დაასკვნის, რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი“ (იმედაშვილი 1957:237). ცნობა რამდენადმე კატეგორიულია და ზუსტად ვერ გადმოსცემს დავით კარიჭაშვილის მიერ გამოთქმულ აზრს. მკვლევარს არსად განუცხადებია, რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი. იგი ამბობს, რომ ეჭვმიუტანელი დოკუმენტი, ისტორიული საბუთი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ნამდვილად ერქვა შოთა, არ არ-

სებობს და ვეყრდნობით მხოლოდ გადმოცემებსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახული სურათის წარწერას.

პოემის დაწერის და ავტორის ცხოვრების დროსთან დაკავშირებით, დავით კარიჭაშვილის შეხედულება ტრადიციულია: პოეტი თამარ მეფის დროს ცხოვრობდა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემამ მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. გამოქვეყნდა სარეცენზიო წერილი, რომლის ავტორმა, შიო დავითაშვილმა, მოწონება გამოთქვა ახალი გამოცემის „გარეგნობის“ გამო. „ცხადადა სჩანს, წიგნი იმ წესითა და სისტემით არის გამოცემული, როგორც მიღებულია კლასიკურ თხზულებათა ბეჭდვა — გამოცემებში. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ თვით შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“ დიდის დაკვირვებით არის გადაკითხული, თითქმის არცერთი გაუგებარი სტრიქონი და სიტყვა არ არის უყურადღებოდ დატოვებული. ყველანი დამეთანხმებით, რომ დავით კარიჭაშვილს სწორედ დიდი შრომა გაუწევია“ (დავითაშვილი 1903).

შიო დავითაშვილმა განიხილა გამოცემის წინასიტყვაობა, უარყოფითად შეაფასა რედაქტორის დამოკიდებულება პროლოგისადმი და დაეთანხმა იმ აზრს, რომ ეპილოგი (პირველი ტაეპის გამოკლებით) არარუსთველურია. რეცენზენტი კრიტიკულად მიუდგა რედაქტორის მიერ ამა თუ იმ სიტყვის ახლებურ წაკითხვას; მიუთითა, რომ დარღვეულია პუნქტუაცია-ორთოგრაფიის წესები, გრამატიკული ფორმები და, საერთოდაც, ახალ გამოცემაში ტაეპები თვითნებურად არის დაკლებული ან ჩამატებული, რითაც იგი თავის დედანს არ ეთანხმება. როგორც მოგვიანებით გაირკვა, შიო დავითაშვილის რიგი შენიშვნების სათავე იყო ის გარემოება, რომ მან პოემის ახალი გამოცემა შეუდარა არა მის საფუძველს, გ. ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემას, არამედ კ. თავართქილაძისას (1896), რომელიც შეცდომით გ. ქართველიშვილის გამოცემის ასლად მიიჩნია. კ. თავართქილაძის

გამოცემა არ იმეორებს გ. ქართველიშვილის გამოცემის დედანს და, ბუნებრივია, სხვაობა და წინააღმდეგობები მრავლად აღმოჩნდებოდა.

საინტერესოა, რომ დავით კარიჭაშვილისადმი გაგზავნილ ღია ბარათში შიო დავითაშვილის შენიშვნებთან დაკავშირებით ნიკო მარი წერდა: „თქვენი გამოცემა არც მე მაკმაყოფილებს, მაგრამ სულ სხვა მხრით. შიო დავითაშვილის ნაჩვენები ნაკლოვანებანი უმეტესად ღირსებანი გახლავს“ (მარი ხელნაწ. 4467).

დავით კარიჭაშვილმა რეცენზიის საპასუხო წერილებში ყველა შენიშვნას გასცა პასუხი და შეეცადა თავისი პოზიცია დაესაბუთებინა. „ჩვენს მოვალეობად ვცანით და საჭიროდაც დავინახეთ, — წერდა იგი, — ქართველიშვილის გამოცემის გადმობეჭდვის დროს, ჩვენს შეძლებისამებრ და შესაფერის სიფრთხილით, გაგვესწორებინა ის წარყვნილი და დამახინჯებული ადგილები, რომელნიც შევნიშნეთ. ჩვენი შესწორება მდგომარეობდა იმაში, რომ დავსვით, ჩვენის შეხედულებით, დასასვენებელი ნიშნები, გადაბმული სიტყვები დავაშორეთ ერთმანეთს, გაშორებული სიტყვის ნაწილები ერთმანეთს გადავაბით და, სადაც ცხადი და მძიმე შეცდომები ვნახეთ სიტყვათა ფორმებში, შევცვალეთ კანონიერის ფორმით“ (კარიჭაშვილი 1904:26-27).

ყოველი სიტყვა, რომელიც რედაქტორის მიერ ახლებურად არის წაკითხული, მოხსენებული და დასაბუთებულია „შენიშვნებში“, ხოლო სიტყვის ფორმის შეცვლის რამდენიმე შემთხვევა პოემის ხელნაწერ ვარიანტებს ეყრდნობა. ქვემოთ წარმოვადგენთ ტაეპებს, რომლებიც დავით კარიჭაშვილმა წინა გამოცემებისგან განსხვავებული ვარიანტით წაკითხა, ვუდარებთ მას 1888 წლის გ. ქართველიშვილისეულ გამოცემას და აქვე ვუჩვენებთ რამდენად გაიზიარეს დ. კარიჭაშვილისეული წაკითხვები პოემის შემდგომმა გამოცემებმა.



სტროფი 4-ბ (ტაეპის ნომერი)

1888: „ვთქვენით ქებანი ვისნიმე, არ ავად გამორჩეული“.

1903: „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“.

(შემდგომი გამოცემებიდან ძველი ნაკითხვა დაიცვა მხოლოდ ორმა, ს. კაკაბაძის — 1927 და ი. აბულაძის — 1926 გამოცემებმა, ყველა დანარჩენმა გაიზიარა დ. კარიჭაშვილის ვარიანტი).

სტროფი 46-ა

1888: „უკუსდგეს და თაყვანი-სცეს მეფეთა და მისთა სპათა“.

1903: „უკუ სდგეს და თაყვანი სცეს მეფემა და მისთა სპათა“.

(ყველა შემდგომმა გამოცემამ გაიზიარა „მეფის“ მხ. რიცხვი „მეფემა“ („მეფემა“ — კაკაბაძე — 1927; ჭიჭინაძე — 1934), ოღონდ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის სრული დაბოლოებით — „მეფემან“).

სტროფი 70-გ

1888: „თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმევლად,  
მოსახმარებლად“.

1903: თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმევლად,  
მოსახმარებლად“.

(გაიზიარეს პ. ინგოროყვას — 1953 და 1957 წლის — სარედაქციო კოლეგია ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე — გამოცემებმა).

სტროფი 86-დ

1888: „მუნვე სწვიმს წვიმა ბროლისა,  
ჰგია გიშრისა ლარისად“.

1903: „მუნვე ჰსწვიმს წვიმა ბროლისა,  
ჰგია გიშრისა ლარი სად“.

(ყველა შემდგომმა გამოცემამ გაიზიარა „ლარი სად“, რომელიც 1903 წლამდე ერთ სიტყვად „ლარისად“ იბეჭდებოდა).

სტროფი 99-დ

1888: „მასვე მადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“.

1903: „მას ვემადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“.

(გაიზიარა მხოლოდ ერთმა ს. კაკაბაძის 1927 წლის გამოცემამ. ყველა დანარჩენმა დაიცვა ტრადიციული წაკითხვა „მასვე მადლი“).

სტროფი 116-ბ

1888: „მოჰნახეს, სძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლავ და  
კვლადია“.

1903: „მოჰნახეს, სძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლავ და  
კვლა დია“.

(„კვლა დია“ ცალ-ცალკე იბეჭდება ყველა შემდგომ გამოცემაში).

სტროფი 538-დ

1888: „გაუწყვეტლად ვით გამართლო, რაგვარამცა  
გავაქილდი“.

1903: „გაუწყვეტლად ვით გამართლო, რაგვარამცა  
გავვაქილდი“.

(„გავვაქილდი“ გაიზიარა ყველა შემდგომმა გამოცემამ, გამონაკლისია ს. კაკაბაძის 1913 და 1927 წლების გამოცემები, რომლებშიც დაცულია ძველი ფორმა „გავაქილდი“).

სტროფი 688-გ

1888: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ჰხამს უიციისა“.

1903: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ჰხამს, უი იციისა“.

(ეს ვარიანტი არ გაიზიარეს. თვითონ დ. კარიჭაშვილმა პოემის 1920 წლის გამოცემაში წარმოადგინა ახალი წაკითხვა „...ცოდნა ჰხამს არ უვიციისა“, რომელიც ასევე არცერთ სხვა გამოცემაში არ გვხვდება.)

სტროფი 1235-ა

1888: „ფატმან პური შეეკაზმა ავთანდილის სანწვევლად“.

1903: „ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის  
სანწვევლად“.

(ეს ვარიანტი პირველად წარმოდგენილია პოემის ვახტანგისეულ გამოცემაში. გაიზიარა ყველა შემდგომმა გამოცემაში.)

დავით კარიჭაშვილმა ყურადღება მიაქცია რუსთაველის ენის ერთ თავისებურებას, რასაც თვითონ „შემოკლებითი ზმნის განმეორება“ უწოდა (ეს თავისებურება პირველად შენიშნა ნიკო მარმა). პოემის გ. ქართველიშვილისეულ გამოცემაში არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შემოკლებული ზმნა წინა სიტყვისგან გამოყოფილია, მაგ: სტრ. 610 „დავაპირე შეტევა, ვთქვი, — ნავიდე მათკენ მე ნა“.

დავით კარიჭაშვილის გამოცემაში ამგვარ ზმნათა გამოცალკეება უკვე სისტემურია.

სტროფი 206-დ

1888: „თვალთა წინა ნაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყინა“.

1903: „თვალთა წინა ნაგვივიდა ლალი, კუშტი, ამაყი, ნა“.

სტროფი 565-ბ

1888: „დავარ სთქვა, მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს,  
ვინ არდა!“

1903: „დავარ სთქვა, — მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს,  
ვინ არ, და...“

დავითმა ცალკე გამოყო აგრეთვე ზმნა „არის“ შეკვეცილი ფორმები, მაგ: სტრ. 103-ბ „უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ა მითა“.

გამოცალკეებით დაიბეჭდა ასევე ისეთი ჩანართი მარცვალის ზმნისა, როგორცაა „რე“ სტრ. 449-დ: „მოვირჭმენ და მოვივლინე, რაცა მნადდა, აგრე ვყავ-რე“ და სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დართული „შენიშვნების“ შესახებ აზრი გამოთქვა სილოვან ხუნდაძემ. მისთვის ტაეპ-თა დავით კარიჭაშვილისეული განმარტებები ძირითადად მისაღები აღმოჩნდა (განმარტებულია სულ 289 თქმა ანუ ტაეპი). წერილში აღნიშნულია მხოლოდ შვიდი შემთხვევა, რომლებზეც სილოვან ხუნდაძე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს. მაგ: ასეთია ტაეპი „ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“. „ბ-ნი კარიჭაშვილი, — წერდა სილოვან ხუნდაძე, — თანახმად ბატონიშვილის თეიმურაზის განმარტებისა, ფიქრობს, რომ „ყორნის ბოლო-ფრთათა“ აქ აღნიშნავს ქალის კავებსო“, შემცთარ აზრად მიმაჩნია..., ყორნის ბოლო-ფრთანი ჩემის აზრით, პოეტური მეტაფორით წარბებს უნდა აღნიშნავდეს...“ (ხუნდაძე 1913).

„მუნ იზრდებოდეს ტანითა, გაბაონს განაზარდითა“ — დავით კარიჭაშვილი განმარტავს, რომ გაბაონი ადგილის სახელწოდებაა პალესტინაში. სილოვან ხუნდაძე სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ეყრდნობა და წერს: „თუ რომ საბას განმარტებას მივიღებთ, მაშინ შოთას აზრი ადვილი გასაგები იქნება: ნესტანი „მუნ იზრდებოდეს ტანით, ისეთი ტანით, როგორიც იზრდება ხოლმე მაღალის, მთა-ადგილების ნიაღში“ (იქვე).

დავით კარიჭაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონს მოსე ჯანაშვილი გამოეხმაურა. ლექსიკონი 700-მდე სიტყვას მოიცავს და ეყრდნობა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხისტყაოსნის განმარტებას“ და დავით ჩუბინაშვილის დიდ ლექსიკონსა და „ვეფხისტყაოსნის განმარტებას“. მოსე ჯანაშვილი ლექსიკონიდან გამოარჩევს 35-მდე სიტყვას, რომელთა განმარტებაშიც დავით კარიჭაშვილს არ ეთანხმება ან ზოგიერთი სიტყვის უფრო დაზუსტებულ განმარტებას გვთავაზობს. მაგ: „პაშტა — პატარა (დ. კარიჭაშვილი). „ყველგან და ყოველთვის ნიშნავს საკმაოს და არა პატარას“ (მ. ჯანაშვილი), „ქედ გორება —

ქედად და გორად გახდომა“ (დ. კარიჭაშვილი“), „ჩვენ სხვა-ნაირად გვესმის: თავი აიმაღლა ქედზე ამართულ გორასა-ებრ“ (მ. ჯანაშვილი).

აქვე შევნიშნავთ, რომ 1903 წელს გამოცემული „ვეფხის-ტყაოსნის“ მიხედვით შალვა ბერიძემ გამოსცა პოემის იტალიური თარგმანი პროზად.

„ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემები ძირითადად ერთნაირია. თუმცა 1920 წლის გამოცემას ერთვის არა მოკლე შინაარსი პოემისა, არამედ ვრცელი (გვ.ა.-იწ) ცალკეა გამოყოფილი „მოკლე ცნობები „ვეფხისტყაოსნის“, მის დამწერის და დაწერის დროს შესახებ“ (გვ. კ — კა), აქ მოკლედ გადმოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებზე. იმ დროს უკვე გახმაურებული იყო სარგის კაკაბაძის ვერსია, რომლის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ დაახლოებით XIV საუკუნეში დაიწერა. დავით კარიჭაშვილი ამ თვალსაზრისს არ იზიარებდა, მაგრამ მან (ობიექტურობის დაცვის მიზნით) საჭიროდ მიიჩნია ეს ახალი ვერსიაც აღენიშნა. იგი წერდა: „ამ უკანასკნელს დროს სადავოდ შეიქნა აგრეთვე კითხვა, თუ როდის ცხოვრობდა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი, ანუ როდის არის დაწერილი ეს წიგნი. სულ უკანასკნელს ხანამდე არავის ჰქონდა ეჭვი, რომ იგი ცხოვრობდა თამარ მეფის დროს, მაგრამ ბოლოს გამოითქვა აზრი, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი“ უნდა დაწერილი იყვეს თამარ მეფის შემდეგ მეცამეტე ან მეთოთხმეტე საუკუნეში. ამ აზრის დასამტკიცებლად ჯერ არ არის წამოყენებული გადამწყვეტი და უეჭველი საბუთები და კითხვა ისევ კითხვად არის დარჩენილი“.

„მოკლე ცნობებს“ მოსდევს შეცდომით დაბეჭდილ სიტყვათა გასწორება (გვ. კგ), შემდეგ წარმოდგენილია პოემის ტექსტი (პროლოგი და ეპილოგი თავნართისა და ბოლონართის სახელწოდებით. გვ. 1-263). დასასრულ, ვრცელი ლექსიკონი (გვ. 265-326).

რედაქტორმა პომის მეორე გამოცემაში რამდენიმე ტაე-  
პი 1903 წლის გამოცემისგან განსხვავებული წაკითხვით  
წარმოვიდგინა. მაგ:

სტროფი 42-ბ

1903: „ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჭირს მის  
სოქალისა“.

1920: „ავთანდილს მიჰხვდა სიამე,— ვსება სჭირს მას  
აქ ალისა“.

(უკანასკნელი ვარიანტი გაიზიარეს კ. ჭიჭინაძის — 1934,  
პ. ინგოროყვას — 1953 და 1957 წლის გამოცემებმა.)

სტროფი 954-ა

1903: „იგი წავიდა, დაბრუნდა ყმა გზასა თავის წინასა“.

1920: „კაცნი წავიდეს, დაბრუნდა ყმა გზასა თავის წინასა“.

(უკანასკნელ ვარიანტს იცავს ს. კაკაბაძის — 1913, პ. ინ-  
გოროყვას — 1953, 1957 წლის და სხვა გამოცემები.)

სტროფი 1073-ა

1903: „მოგწერა, წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება“.

1920: „მიუწერა: „წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება“.

(გამოცემათა უმრავლესობა წარმოადგენს ამ უკანასკ-  
ნელ ვარიანტს.)

სტროფი 1075-ა

1903: „მან ღამითვე სანვეველი რა მთართვეს წიგნი ყმასა“.

1920: „მას ღამესვე სანვეველი რა მთართვეს წიგნი ყმასა“.

(გაიზიარა მხოლოდ მ. წერეთელმა თავის გამოცემებში.)

სტროფი 1175-ა

1903: „რა ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს  
ლხენასა“.

1920: „ვაჟ, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს  
ლხენასა“.

(ამ უკანასკნელ ვარიანტს იცავს ს. კაკაბაძის 1913, პ. ინ-გოროყვას — 1953; 1957; მ. წერეთლის 1961; 1977; 1988 წლის და სხვა გამოცემები.)

როგორც ვხედავთ, არაერთი ტაეპის დავით კარიჭაშვილისეული წაკითხვა ძირითად ვარიანტად იქცა პოემის შემდგომ გამოცემებში. „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კარიჭაშვილმა ეს მეტად რთული, პასუხსაგები, საშვილიშვილო საქმე დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით დააგვირგვინა“, — წერდა „ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემების შესახებ ეთერ შარაშენიძე, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა დავით კარიჭაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, მოღვაწეობას (შარაშენიძე 1971:154).

„ვეფხისტყაოსნის“ დავით კარიჭაშვილისეული გამოცემები განიხილა სოლომონ ყუბანეიშვილმა წიგნში „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“. აი, რას წერს იგი პოემის 1903 წლის გამოცემის შესახებ: „ვეფხისტყაოსნის“ დ. კარიჭაშვილისეული ეს გამოცემა თავისი დროის მეცნიერულ სიმალლეზე დგას და, ამ მხრივ, ის პირველ ადგილს იჭერს პოემის წინა (1867-1903) 14 გამოცემათა შორის“, ხოლო 1920 წლის გამოცემა სოლომონ ყუბანეიშვილს გაუმჯობესებულად მიაჩნდა 1903 წლის გამოცემასთან შედარებით (ყუბანეიშვილი 1973:18).

1913 წელს ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის წერილი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“. მსჯელობისას მკვლევარი დაეყრდნო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს (1646 წლის უძველესი, თარიღიანი ხელნაწერი; 1671, 1681, 1688 წლების ხელნაწერები; XVII საუკუნის უთარილო ხელნაწერები საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნსაცავში 4499, 5006). ამ ხელნაწერებს გარდა, გათვალისწინებულია პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა. ამ გამოცემისადმი 1913 წლიდან ორმა განსხვავებულმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი. მეცნიერ-

თა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ვახტანგის რედაქცია კრიტიკულად დადგენილი ტექსტია. ეს საკითხი პირველად წამოჭრა სარგის კაკაბაძემ. მან გამოთქვა აზრი, რომ ვახტანგისეულ გამოცემაში პოემის ტექსტი ხელოვნურად არის შემოკლებული. „დაბოლოება „ვეფხისტყაოსნისა“ ვახტანგისეულ რედაქციაში დიდად შეკვეცილია. უმეტესი ტექსტი მთლად გამოტოვებულია. ...ამგვარი შემოკლება ვახტანგისეულმა რედაქციამ განიცადა არა მარტო პოემის დაბოლოებაში, არამედ, საგულისხმებელია, პოემის დანარჩენ ნაწილშიაც...“ — წერდა სარგის კაკაბაძე (კაკაბაძე 1913:22). ასევე ფიქრობდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე (თავდაპირველად კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ტრადიცია პოემის მოკლე რედაქციისა არსებობდა ჯერ კიდევ 1712 წლის გამოცემამდე).

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, 1712 წლის გამოცემა პოემის ძველი ხელნაწერის უცვლელ გამეორებას წარმოადგენს. ამ აზრს იცავდნენ დავით კარიჭაშვილი, იუსტინე აბულაძე, პავლე ინგოროყვა, სერგი გორგაძე. საინტერესოა, რომ პოემის 1888 წლის გამოცემის კომისიამ გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით უპირატესობა ვახტანგისეულ გამოცემაში წარმოდგენილ ტექსტს მიანიჭა, ვინაიდან ყველაზე სანდო ტექსტად სცნო.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავით კარიჭაშვილი წერდა: „იბადება ორი კითხვა: 1. როგორი უნდა ყოფილიყო ის დედანი, რომელიც ვახტანგ მეფემ დააბეჭდინა თავის სტამბაში 1712 წელს და 2. შეიტანა თუ არა მან რამე შესწორება და ცვლილება დედანთან შედარებით თავის გამოცემაში. პირველს კითხვაზე შეუძლებელია იმის პასუხის მიცემა, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ დედანი, რომლის დაბეჭდვაც ვახტანგმა მოინდომა, იქნებოდა საუკეთესო მის დროში. რა საფიქრებელია, რომ ქვეყნის გამგეს, ჭკვიანს, განათლებულს და ქართულის მწერლობის ღრმად მცოდნე მეფეს, რომე-



ლიც ამასთან ყველაფერს საუკეთესო და მცოდნე პირთა დახმარებით აკეთებდა, თავის გამოცემის დედნად მრავალ ხელთნაწერთაგან აერჩიოს წარყვნილი ან ნაკლიანი ხელთნაწერი. პირიქით, უეჭველია მხოლოდ ის, რომ მის გამოცემის დედანი იქნებოდა ის ხელთნაწერი, რომელიც უნდა მიჩნეული ყოფილიყო ვახტანგისა და მის თანამოდგანე მცოდნე პირთაგან საუკეთესოდ“.

ამდენად, დავით კარიჭაშვილი მიიჩნევდა, რომ პოემის ის ხელნაწერი, რომელიც ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა, მის და თანამედროვე პირთა მიერ აღიარებული იყო საუკეთესოდ. რაც შეეხება ტექსტისადმი კრიტიკულ მიდგომას, დავით კარიჭაშვილი წერდა: „არსაიდგანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს — გამოეკლოს ან მიემატებინოს. სხვა ხელთნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა, გვარწმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მასში, ვახტანგს არამც თუ ნება არ მიუცია თავისთვის რაიმე შეესწორებინა ან გამოეკლო, არამედ რაღაც საწმენოებრივის მოწინებით მოჰკიდებია დედანს და ისიც კი არ შეუსწორებია და არ გამოუტოვებია, რაც მის ავტორის აზრად არ მიაჩნდა (იგულისხმება ტაეპი: „ესე ამბავი სპარსული...“)... მით უფრო დაუჯერებელია და უცნაურია ის აზრი, რომ იმას თავის დედნიდან გამოეტოვებინოს თითქმის ერთი მესამედი მთელის თხზულებისა. შემოკლება კი არ იქნებოდა მისთვის სასურველი და სასახელო, არამედ გადიდება და გავრცელება იმისთანა თხზულებისა, რომლითაც ის თავს იდებდა და ამაყობდა როგორც ქართველი. ვერავითარი სტამბის დაბრკოლება მას ვერ აიძულებდა თხზულების ერთის მესამედის დაუბეჭდველობას, მით უფრო, რომ არავითარი ასეთი დაბრკოლება არ არის საგულვებელი. პირიქით, საფიქრებელი ის არის, რომ ვახტანგი, თავის დედანში რომ ნაკლი აღმოეჩინა, სხვა დედნიდან შეავსებდა ნაკლს და ისე დაბეჭდავდა სრულს თხზულებას.

ამნაირად, თუ რამე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რამ არ იყო ვახტანგის დედანში და, მისი აზრით, არც შეადგენდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილს. სხვანაირად რომ ყოფილიყო საქმე, ბოდიშს მაინც მოითხოვდა მკითხველთა წინაშე და აუწყებდა მათ, თუ რამ აიძულა შეემოკლებინა და დაემახინჯებინა სასიქადულო თხზულება“ (კარიჭაშვილი 1913:414).

დავითმა ყურადღება მიაქცია, რომ ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის ხელნაწერი 5006 საკმაოდ ახლოს დგას ვახტანგისეული გამოცემის დედანთან. ხელნაწერი, მისი აზრით, მე-17 საუკუნის უნდა ყოფილიყო. ასევე ათარილებდნენ მას სარგის კაკაბაძე და სხვები. ტექსტის დიდი ნაწილი ვახტანგისეულ გამოცემასა და ამ ხელნაწერში თითქმის იდენტურია. აქედან მკვლევარი ასკვნიდა, რომ პოემის ვახტანგისეული გამოცემის დედნისმაგვარი ხელნაწერები XVII საუკუნეში სხვებიც ყოფილა. „რით აიხსნება ის ამბავი, — წერდა იგი, — რომ ვახტანგ მეფეს აურჩევია ასეთი დედანი და არა სხვანაირი, საცა უფრო მეტი ამბები ეწერა. ეს იმით აიხსნება, რომ ვახტანგს უნდა ჰქონოდა უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ სხვა ხელთნაწერებში მოთავსებული ამბები ყალბები იყვნენ და არ ეკუთვნოდნენ „ვეფხისტყაოსანს“. ამის გამო ჩვენ ვახტანგის გამოცემის დედანი მიგვაჩნია უძველესად თავის შედგენილობით“ (კარიჭაშვილი 1913:416).

ალექსანდრე ბარამიძე დავით კარიჭაშვილის პოზიციისკენ იხრებოდა და აღნიშნავდა: „ამ შემთხვევაში ვახტანგის გამოცემის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ამ რედაქციას საკმაოდ უდგება და ამდენადვე ამართლებს კიდევ მე-17 საუკუნის ერთი ხელნაწერი, ნ.კ. 5006“ (ბარამიძე 1964:12).

პავლე ინგოროყვა ასევე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ პოემის ვახტანგისეული გამოცემა ძველი ხელნაწერის უცვლელი გამეორება იყო. „კრიტიკული ანალიზი ვახტან-

გის ტექსტისა არ სტოვებს არავითარ ეჭვს აღძრული საკითხის შესახებ; ტექსტის შესწავლიდან უცილობლად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია „ვეფხისტყაოსნის“ დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“ — წერდა პავლე ინგოროყვა, ეყრდნობოდა რა თითქმის იმავე არგუმენტებს, რომელთაც დავით კარიჭაშვილი წარმოადგენდა. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო ხელნაწერის 5006-ის დიდი მსგავსება ვახტანგისეულ გამოცემასთან (ინგოროყვა 1963:17). იგივე აზრი გამოთქვა ვახტანგისეული დედნის შესახებ იუსტინე აბულაძემ (აბულაძე 1914:VI).

მოგვიანებით, სარგის ცაიშვილმა შეისწავლა ეს ხელნაწერი და გაარკვია, რომ „S ფონდის 5006 ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის გამოცემისა და მე-17 საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის პირს და გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და არა მე-17 საუკუნეში, კერძოდ, ვახტანგის გამოცემის უწინარეს, როგორც ეს ზემოდასახელებულ მკვლევართ მიაჩნიათ. აქედან კი ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე დასკვნაც, რომ ის ერთადერთი მოსაზრებაა, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულობას, უარყოფილ უნდა იქნეს“ (ცაიშვილი 1955:324).

სარგის ცაიშვილის ამ დასკვნას სხვა ფაქტებიც ამაგრებს. მკვლევართა შემდგომმა ძიებამ აჩვენა, რომ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტში არის ისეთი ორთოგრაფიული ფორმები და ნაკითხვები, რომლებიც მე-17 საუკუნეზე ადრინდელი ვერ იქნება. შეინიშნება ტექსტუალური ხარვეზები; აკაკი შანიძემ შენიშნა, რომ კომენტარებში განმარტებულია ზოგიერთი ისეთი სტროფი, რომლებიც პოემის ტექსტში არ შეუტანიათ. „კრიტიკული განხილვის შემდეგ ირკვევა, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არ წარმოადგენს რომელიმე ძველი ხელნაწერის პირს, უცვლელად დაბეჭდილს, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ,

არამედ იგი შემოკლებაა ხელნაწერების ვრცელი რედაქციისა. ამას სამი გარემოება ჰმონუმობს:

1) მთელი პოემის მანძილზე ბლომად მოიპოვება უსწორმასწორო ფორმები, რომლებიც გვიანდელი ხელნაწერებიდან მომდინარეობენ და რომელთაგანაც ნაწილი უკვე აღნუსხულია;

2) ვახტანგის მონოგრაფია პირდაპირსა და უტყუარ ცნობებს გვანვდის ხელნაწერი დედნის შესახებ;

3) დაბეჭდილი სტროფები აშკარა ხარვეზებს გვიჩვენებს, განსაკუთრებით ბოლო ნაწილში“ (შანიძე 1937).

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობას, დავით კარიჭაშვილის ვერსია ასეთია: „ვეფხისტყაოსნის“ „პირვანდელი სხეული“ შენახულია ვახტანგის გამოცემაში ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის დედანში. ის იწყება როსტევეან მეფის ამბით და მთავრდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის გახელმწიფებით ინდოეთში. პოემას დართვია წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა, შედგენილი ნაწილ-ნაწილად სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირთა მიერ. ტექსტმა განიცადა მრავალგვარი ცვლილება, მაგ: სიტყვების შეცვლა, ტექსტის „შესწორება“, ტაეპების ჩამატება და გამოკლება. პოემაში სხვადასხვა დროს გაჩენილა ჩანართები, დამატებები, რომლებიც ასევე მუდამ განიცდიდნენ შესწორებას. დავით კარიჭაშვილის აზრით, ინდო-ხატაელთა ამბავი პოემას ჩაემატა დაახლოებით XV-XVI საუკუნეში. მკვლევრის ღრმა რწმენით, ასევე არაავთენტურია ხვარაზმელთა ამბავი და არც ეს ეპიზოდი უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ თავდაპირველ ტექსტში.

დავით კარიჭაშვილი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ გამართულ საჯარო კამათში, მოხსენებებზე. ბუნებრივია, მისი ყველა შეხედულება ერთნაირად უდავო და მისაღები ვერ იქნებოდა, მაგრამ ბევრი მისი თვალსაზრისი ანგარიშგასაწივე იყო და არც დღეისთვის არის ინტერესმოკლებული. სამეცნიერო კვლევის იმ ეტაპზე კი პოემის 1903 და 1920 წლების გამოცემები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო რუსთველოლოგიაში.

## გ) ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები საარქივო მასალის მიხედვით

დავით კარიჭაშვილს ეკუთვნის არაერთი საინტერესო გამოკვლევა, რომლებიც მისმა პირადმა აქივმა ხელნაწერის სახით შემოინახა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარს საგანგებოდ შეუსწავლია ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი თვალსაჩინო ძეგლი, როგორც არის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. დავით კარიჭაშვილის ნარკვევი, „შუშანიკის წამება“, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს თხზულების განსხვავებული, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ხედვა იმ დროისათვის, როდესაც ძველ ქართულ თხზულებათა შესწავლის პირველ ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურა არც ისე მდიდარია და წამყვანია კურსი, რომელსაც კორნელი კეკელიძე ავითარებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევაში.

როდესაც დავით კარიჭაშვილის გამოკვლევა იწერებოდა, თხზულება ორჯერ იყო გამოცემული. პირველად მიხეილ საბინინმა გამოსცა (წამებაჲ შუშანიკ დედოფლისაჲ, „საქართველოს სამოთხე“, პტბ. 1882); მეორედ — სერგი გორგაძემ (იაკობ ხუცესი, „წამება წმიდისა შუშანიკისი“, ქუთაისი, 1917). ძეგლს სწავლობდნენ მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები. დავით კარიჭაშვილის ნარკვევი, „შუშანიკის წამება“, დათარიღებული არ არის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ უკვე გამოქვეყნებული იყო ივანე ჯავახიშვილის (ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ნ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, V-VIII ს. ტფ. 1921) და კორნელი კეკელიძის (ქართული ლიტერატურის ისტორია. ნ. I, საეკლესიო მწერლობა, ტფ. 1923) ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებშიც განხილული იყო „შუშანიკის წამება“.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებული ყველა მეცნიერი თხზულების ავტორად ტრადიციულად იაკობ ხუცესს მიიჩნევდა.

დავით კარიჭაშვილი კი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ თხზულება, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, შეუძლებელია იყოს დედოფალ შუშანიკის თანამედროვე პირის, იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსული. მეცნიერის ეს თვალსაზრისი შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობა:

თხზულებაში დედოფალი მოიხსენიება, როგორც წმინდანი ან ნეტარი (ან ორივე ერთად); მხოლოდ ხუთ შემთხვევაში მოიხსენიებს მწერალი მას დედოფლად:

1. „შევიდა წინაშე შუშანიკისა დედოფლისა ჩვენისა“;
2. „მეცა ხუცესი დედოფლისა შუშანიკისა“;
3. „საქმენი დედოფლისანი“;
4. „ღვანლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო“;
5. „შევიდეს წინაშე დედოფლისა“.

დავით კარიჭაშვილი შენიშნავს, რომ პიროვნების წოდება ნეტარად და წმინდანად შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეკლესია მას წმინდანად სცნობდა. თუ შუშანიკი იაკობ ხუცესის სიცოცხლეშივე აღიარეს წმინდანად, მას შეეძლო თხზულებაში წამების ფაქტის გადმოცემამდეც ასე მოეხსენებინა იგი, მაგრამ არ დაივინყებდა მის დედოფლობასაც და დაასახელებდა ისე, როგორც ეს ერთ შემთხვევაში გვხვდება: „მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ სიკუდილდ“.

დედოფალს ნეტარად და წმინდანად იხსენიებენ სხვა პერსონაჟებიც. ერთ-ერთი ხუცესი ვარსკენს ეუბნება: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?“ მკვლევარს უცნაურად ეჩვენება, რომ ხუცესი ეპისკოპოსს აფოცს იხსენიებს ტიტულით — ეპისკოპოსად, ხოლო შუშანიკს არ იხსენიებს დედოფლად, თანაც მისი მეუღლის წინაშე და უწოდებს მას წმინდანს, როდესაც წამების ფაქტი ჯერ შორსაა და დედოფლის წმინდანად დასახელება არავის შეუძლია. ჯოჯიკი და მისი ცოლი ცოცხალ შუშანიკს ისე მიმართავენ, როგორც ეს პარაკლისებშია მიღებული: „სძალო და მხევა-

ლო ქრისტესსო, ითხოვე ღმრთისაგან, რაფთა მომიტევენს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი“; „მოგვიტევენ ბრალნი ჩვენნი და გვაკურთხენ წმიდაო მონამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტესს ღმრთისაო“.

დედოფლისადმი ამგვარი დამოკიდებულების (მისი მოხსენიების ამგვარი ფორმების) მიზეზად დავით კარიჭაშვილს მიაჩნია ის გარემოება, რომ თხზულების ავტორი არის არა თანამედროვე დედოფლისა, არამედ გვიანდელი მწერალი, რომელიც დედოფალს იცნობს მხოლოდ როგორც წმინდანს. იგი ცდილობს თავისი თხზულება დედოფალ შუშანიკის თანამედროვე პირის იაკობ ხუცესის ნამოღვაწეებად წარმოგვიდგინოს. დედოფლის მოხსენიების ზემოაღნიშნული ფორმები კი ამ სიყალბეს ააშკარავენ.

თხზულების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ დედოფლის პოზიცია ქრისტიანობისგან ვარსკენის აშკარად განდგომის მომენტისთვის საკლებით განსაზღვრულია. ბავშვობიდანვე ღვთისმომშიში დედოფალი ღრმა და მტკიცე რწმენის კვალობაზე, შეიძლება ითქვას, მზად არის თავი შესწიროს უფალს. ეს ყველაზე უკეთ მის მოძღვარს ეცოდინებოდა. ცნობილი იყო აგრეთვე ვარსკენის ბუნებაც. ასე რომ, მოსალოდნელი კონფლიქტის რეალურად განჭვრეტა მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა დავით კარიჭაშვილი ფიქრობს, რომ შეუძლებელია ვინმეს სცოდნოდა ან წარმოედგინა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ამიტომ მას არაბუნებრივად ეჩვენება ხუცესის წინადადება, რომლითაც იგი დედოფალს მიმართავს: „ვითარ გეგულების მითხარ მე, რაფთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი“. „თუ V საუკუნეში, ერთის მხრით, იქნებოდა იმისთანა ადამიანი, რომელსაც წინდანინვე ექნებოდა გათვალისწინებული, თუ როგორ მოიქცეოდა, როდესაც მას წამებას მიაყენებდნენ, ხოლო მეორე მხრით, გამოჩნდებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც მოინდომებდა მომავალის წამებულის განზრახვათა წინდანინ შეტყობას შემდეგში მკითხ-

ველთათვის საუწყებლად, ჩვენ არ წარმოგვიდგენია და არც არის წარმოსადგენი“, — ამბობს მკვლევარი და იქვე დასძენს: „წმინდანობა ხელობა არ ყოფილა არასდროს და არც წმინდანთა ცხოვრების ცხელ-ცხელად აღწერა და წინდწინვე, განწმინდანებამდე მასალის შეკრება გაუხდია ვისმე თავის ხელობად“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4177). მკვლევრის აზრით, თუ წმინდანის ცხოვრების აღწერა მართლაც ერთგვარი „ხელობა“ იყო ვინმესთვის, იგი უეჭველად გვიანდელი მწერალი იქნებოდა. თხზულებაში ამბავი გადმოცემულია მხოლოდ იმ კუთხით, რა კუთხითაც მწერალს აინტერესებს. წმინდანის თანამედროვე და თვითმხილველი კი მარხულობის, ლოცვისა და ტირილის გარდა კიდევ ბევრ საინტერესო დეტალს გადმოგვცემდა.

მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს აგრეთვე თხზულებაში გადმოცემულ სადილობის ეპიზოდს, როდესაც განრისხებულმა შუშანიკმა თქვა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ „არავითარი საბუთი არ არის იმისი, — აცხადებს მკვლევარი, — რომ საქართველოში წესად არ ყოფილიყვეს ქალებისა და ვაჟების ერთად სადილობა. საქართველო ძველთაგანვე სპარსეთის კულტურის ან პოლიტიკურის გავლენის ქვეშ იყო და რა წარმოსადგენია, რომ თუ სპარსთათვის ქალ-ვაჟის ერთად სადილობა არ იყო ჩვეულების და წესის წინააღმდეგი, ასეთი ყოფილიყვეს ქართველებისთვის, ისიც დიდებულთა და მთავართა წრეში“. დავითი საფუძვლიანად შენიშნავს, რომ თუ ქალ-ვაჟის ერთად სადილობა დაუშვებელი იყო ქართველებისთვის, ამას დედოფალი მაშინვე აღნიშნავდა, როდესაც იგი სადილად მიიწვიეს და არა მოგვიანებით, უკვე სუფრასთან მჯდომი. როგორც მკვლევარი ამბობს, აღნიშნული წესი საქართველოში შემოვიდა მოგვიანებით, არაბთა გავლენით... თხზულების ავტორს კი ტრადიციულ ქართულ ადათად მიუჩნევია იგი. ეს გარემოებაც იმ დასკვნის საფუძველია, რომ მწერალი წმინდა შუშანიკის თანამედროვე არ არის.



დავით კარიჭაშვილს ურთიერთგამორიცხავად ეჩვენება შემდეგი ორი ცნობა თხზულებიდან: ციხეში გამოკეტილი დედოფლის ნახვა ყველას ეკრძალებოდა: „გეტყვი თქვენ, უკეთუ ვინმე შევიდოდეს მისა მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქვენნი, ცოლნი და შვილნი და სახლნი თქვენნი, უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქვენ“.

„საკვირველია, — წერს დავით კარიჭაშვილი, — შუშანიკი ციხეში ჩასვეს, ერთს ბნელ ოთახში დაამწყვდიეს და მცველები მიუჩინეს, რომ არ შეეშვათ მასთან არც მამანი, არც დედანი. ამის მიუხედავად მთელს ქართლში გაუვარდა შუშანიკს სასწაულთმოქმედის სახელი და იწყეს მასთან სიარული მთელს ქართლითგან შესაწირავებით“.

მკვლევარი სვამს კითხვებს: 1. როგორ განითქვა „ყოველსა ქართლსა“ საქმე შუშანიკისა, რომელთანაც არ უშვებდნენ არც მამაკაცს და არც დედაკაცს; 2. რანაირად უნდა მომხდარიყო, რომ დაენყოთ სიარული მამათა და დედათა შესაწირავებითა და თავისუფლად ენახათ შუშანიკი, რომლის ნახვა თვით მის მაზლსაც კი უჭირდა; 3. რა შესაწირავები მიჰქონდათ შუშანიკთან და როგორ ექცეოდა შუშანიკი ამ შესაწირავებს; 4. როგორ მოხდა, რომ ეს ამბები ვერ შეიტყო შუშანიკის მტანჯველმა და, თუ შეიტყო, როგორ უცქეროდა თავისი ცოლის სიცოცხლითვე წმინდანად აღიარებას.

მკვლევრის აზრით, შუშანიკის სასწაულთმოქმედებანი და ხალხის სიარული მასთან შესაწირავებით გვიანდელი მწერლის გამონაგონია. თქმულებანი დედოფლის სასწაულთმოქმედებათა შესახებ და ტრადიცია მისი საფლავის თაყვანისცემისა შუშანიკის გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო. თხზულების ავტორი კი ამ ყველაფერს შუშანიკის სიცოცხლის დროს მიაწერს.

დავით კარიჭაშვილი თხზულებაში ნახსენებ სამ ეპისკოპოსსა და მათი როლის შესახებ საუბრობს. ეს ეპისკოპოსები არიან აფოცი (დავითი წერს: „აფუტა“, როგორც ეს თხზუ-

ლების ძირითად A ხელნაწერშია), სამოელ და იოანე. აფოცი ვარსკენის სახლის ეპისკოპოსია. მკვლევარი შენიშნავს, რომ ვარსკენის მიერ ქრისტიანობის უარყოფა ყველაზე სანყენი სწორედ აფოცისთვის უნდა ყოფილიყო, ანუ კონფლიქტსა და დაპირისპირებას ვარსკენსა და სახლის ეპისკოპოსს შორის აშკარად უნდა ეჩინა თავი. მაგრამ ეპისკოპოსი აფოცი ვარსკენის მიმართ არათუ დაპირისპირებული, არამედ სრულიად მორჩილი და მისი ნების აღმსრულებელია. იგი ჯოჯიკთან ერთად ცდილობს შუშანიკი დაარწმუნოს, რომ სასახლეში დაბრუნდეს. დედოფალს თანაუგრძნობენ და მის გამოქომაგებას ცდილობენ იაკობ ხუცესი, მეორე ხუცესი, რომელიც ვარსკენს შეჰბედავს: „უფალო რაჲსა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?“ (ეს ხდება ეპისკოპოს აფოცის თვალწინ, მაგრამ იგი დუმს); დიაკონი, რომელსაც დედოფლის გამხნევება სურდა და „...ესთენ ოდენ ჰრქვა: „მტკი...“ სახლის ეპისკოპოსის პასიურობა ამ სიტუაციებში არაბუნებრივად მოჩანს. დავით კარიჭაშვილის აზრით, ვარსკენმა რომ ქრისტიანობაზე უარი თქვა და ცოლ-შვილის გამაზღვანებაც სწადდა, მისთვის საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო სახლის ეპისკოპოსი და, პირველ რიგში, ის უნდა გაეძევებინა სახლიდან, როგორც ქრისტიანობის დამცველი. ვარსკენი კი არათუ აგდებს მას, დავალებებსაც აძლევს და, ფაქტობრივად, თავისი სურვილისამებრ იყენებს. აფოცი მის წინაშე ხმის ამოდებას ვერ ბედავს. თხზულების ავტორი აფოცის სიტყვებს არ იხსენებს იქაც კი, სადაც მას უთუოდ უნდა ეთქვა რამე. ყოველივე ამის გამო მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს აფოცის ეპისკოპოსობას და ვარაუდობს, რომ იგი, შესაძლოა, ვარსკენის სახლის მოურავი იყო. ამ შემთხვევაში მისი პასიური როლი და მორჩილება ვარსკენისადმი სავსებით გამართლებულია. დავით კარიჭაშვილის აზრით, აფოცის ვინაობა თხზულების ავტორს აურევია. „ეს მით უფრო შესაძლებელია, — წერს მკვლევარი, — რომ ბერძნული სიტყვა —

ეპისკოპოზი — ნიშნავს როგორც სასულიერო პირს — ეპისკოპოსს, ისე საერო პირს — ზედამხედველს, ყურისმგდებელს“. ასეთი შეცდომა კი შეიძლებოდა მოსვლოდა არა თანამედროვე, არამედ მერმინდელ მწერალს.

დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისი აფოცის ვინაობასთან დაკავშირებით, ალბათ, ანგარიშგასაწივე იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ცნობილია, რომ კირიონ I კათალიკოსის წერილში სომეხთა კათალიკოს აბრაამ I-ისადმი (608 წ.) ჩამოთვლილია ეპისკოპოსები წმინდა შუშანიკის დროიდან. პირველი დასახელებულია აფოცი. ყველა მკვლევარი მას „შუშანიკის წამების“ პერსონაჟთან — ეპისკოპოს აფოცთან აიგივებს. მის ეპისკოპოსობაში ეჭვი არავის შეუტანია, ხოლო პასიურობას, რომელსაც თხზულებაში სასულიერო პირები იჩენენ, პოლიტიკური მოტივაცია მიეცა.

წაწარმოებში სამოელ და იოანე ეპისკოპოსთა თანადგომა შუშანიკისადმი ძირითადად „ჭამადის“ გაგზავნაში გამოიხატება. როგორც მკვლევარი შენიშნავს, მათ რეალურად არაფერი მოუშოქმედათ დედოფლის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ასე რომ არ ყოფილიყო, მწერალი მათ ღვანლს უეჭველად მოიხსენიებდა.

ამიტომ მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს ორი ეპისკოპოსი მწერლის ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟები უფრო არიან, ვიდრე რეალური, ისტორიული პირები. შუშანიკის თანამედროვე მწერალი ამ სიყალბეს ვერ დანერდა. ეს შეეძლო გაეხედა მხოლოდ გვიანდელ მწერალს, რომელსაც აღწერილ ამბებისაგან საკმაოდ დიდი დრო აშორებდა.

ვარსქენის შესახებ მკვლევარი წერს: „თვით ვარსქენი ძალიან საინტერესო პირია. მაგრამ დამწერი არაფერს მოგვითხრობს მის შესახებ. თუმცა ცნობისმოყვარეობა შუშანიკის თაყვანისმცემლებისა ძალიან დაინტერესებულია რამდენისამე კითხვის გამოკვლევაში. მაგალითად, ვარსქენი მოითხოვდა თუ არა შუშანიკისაგან ქრისტიანობის უარყო-

ფას. სდევნიდა თუ არა საზოგადოდ, ქრისტიანობას თავის სამთავროში. ცოლად მოიყვანა თუ არა სპარსეთის მეფის ქალი. მოთხოვნიდან სრულებით არ ჩანს, რომ ვარსკენს მოეთხოვოს ცოლისაგან ქრისტიანობის უარყოფა, რომ დევნა დაეწყოს თავის სამთავროში ქრისტიანობისა და მოყვანოს სპარსეთის მეფის ქალი ცოლად“.

ეს უპასუხოდ დარჩენილი კითხვებიც, მკვლევრის აზრით, იმას მიანიშნებს, რომ მწერალი გვიანდელია. მას ეს კითხვები არ აინტერესებდა. მისი მიზანი იყო შუშანიკის, როგორც წმინდანის წარმოჩენა და მხოლოდ ის ფაქტები მოგვითხრო, რომლებიც დედოფლის მარტვილობას უკავშირდებოდა.

და ბოლო არგუმენტი, რომელსაც დავით კარიჭაშვილი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად მოიხმობს, ეს არის თხზულების დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ნათქვამია: „დღეა ხუთშაბათი იყო, რომელსა განვანესეთ სახსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებლად და საქებლად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა...“ ეს სტრიქონები მოწმობს, რომ „შუშანიკის წამება“ დაიწერა მას შემდეგ, რაც შუშანიკი წმინდანად შეირაცხა. თხზულების ავტორი მონაწილე ყოფილა შუშანიკის ხსენების დღის განწესებისა, რამდენადაც ეს ჩანს სიტყვიდან „განვანესეთ“. დავით კარიჭაშვილი გამორიცხავს, რომ შუშანიკი წმინდანად ელიარებიანათ მისი გარდაცვალებიდან უახლოეს ხანში და რომ იაკობ ხუცესს მისი ხსენების დღის დაწესებაში მონაწილეობა მიეღოს, რადგანაც გარდაცვლილის წმინდანად აღიარებას გარკვეული დრო სჭირდება. უნდა შეიქმნას და გავრცელდეს ლეგენდები; შეიცვალოს წმინდანის თაობა. მკვლევრის აზრით, ეს ისე მალე არ მოხდებოდა, რომ იაკობ ხუცესი მოსწრებოდა.

სომხური წყაროებიდან ცნობილია, რომ შუშანიკი VI საუკუნის გასულს უკვე წმინდანად ყოფილა შერაცხული. მის საფლავს თაყვანს სცემდნენ, როგორც ქართველები, ისე სომხები. სომხური ტექსტის ცნობით, შუშანიკის ხსენების

დღე 25 დეკემბერია. ქართული ტექსტით — 17 ოქტომბერი. დავით კარიჭაშვილის ვერსია ასეთია: ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილების შემდეგ ქართველებს წმინდანის ცხოვრება გადაუსინჯავთ, ხელახლა დაუნერი-ათ, ან გადაუკეთებიათ, ხსენების დღეც განსხვავებული დაუნესებიათ. მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს უნდა მომხდარიყო შუშანიკის აღსრულებიდან ორი საუკუნის შემდეგ მაინც, დაახლოებით VIII-IX საუკუნეში.

წმინდანის ხსენების დღეს, უეჭველია, უმაღლესი სამღვდელოება დაანესებდა. მათივე დავალებით და მინდობილობით დაიწერა „შუშანიკის წამება“. დავით კარიჭაშვილის ღრმა რწმენით, თხზულებას საფუძვლად დაედო იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსული ისტორიული წერილი, რომელშიც ქართლის პიტიახშის, ვარსქენის, და მისი მეუღლის, დედოფალ შუშანიკის ამბავი იყო გადმოცემული. თხზულების ავტორმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამ წერილში. ზოგი რამ ჩაუმატა, ზოგიც გადააკეთა. იაკობ ხუცესის სახელი კი შეუნარჩუნა ალბათ იმ მიზნით, რომ თხზულება უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო და მეტი ნდობა მოეპოვებინა.

დასასრულ, მკვლევარი ფიქრობს, რომ ძეგლი, როგორც V საუკუნის საქართველოს ერთი კუთხის ცხოვრების გამომხატველი წყარო, ნაკლებად სანდოა, ვიდრე არ გამოირკვევა, რა არის მასში ხელუხლებლად დარჩენილი იაკობ ხუცესის წერილიდან და რა — შეცვლილი და ჩამატებული მერმინდელი მწერლისაგან.

ასეთია დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისი.

უნდა ითქვას, რომ „მერმინდელი მწერლისა“ თუ „გადამწერის“ ფაქტორს სამეცნიერო ლიტერატურა არ უარყოფს. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ V საუკუნის ქართველი ავტორის (იაკობ ხუცესის) ენა შესაძლოა მერმინდელ მწერალთაგან განახლებული იყოს (ე.ი. მოხდა არა მექანიკური გადაწერა, არამედ ენობრივად განახლება ტექსტისა). კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ „იაკობის შრომა

ერთ-ერთი უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენამდე თხზულება შენახულია იმ სახით, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა. მას ზოგიერთი ცვლილება განუცდია... ეჭვი არაა, თხზულებამ ენობრივად იცვალა სახე. ყოველ შემთხვევაში, იმაში აღარ ჩანს კვალი „ხანმეტობისა“, რომელიც მეხუთე საუკუნის თხზულებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო“ (კეკელიძე 1941:113).

„გადამწერის“ კვალს ხედავდა პავლე ინგოროყვა ტექსტის იმ ადგილას, სადაც სიტყვა „სთულისაჲ“ შეცვლილია „ოკლონბრად“. როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, თვეების რომაული სახელწოდებანი საქართველოში VIII საუკუნემდე არ იხმარებოდა. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ „გადამწერი“ ცხოვრობდა არაუადრეს VIII საუკუნისა.

გამოდის, რომ VIII საუკუნიდან (ან VIII-IX საუკუნეებში) ხდება გარკვეული ცვლილებანი იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსულ ტექსტში. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს არის გადანერა-განახლება ენობრივი თვალსაზრისით (აღარ ჩანს კვალი ხანმეტობისა); მეორე ნაწილის აზრით, — განახლება-გადაკეთება სასწაულმოქმედებათა ჩართვით და ერთგვარი ტენდენციის შეტანით თხზულებაში. დავით კარიჭაშვილის ზემოგანხილული გამოკვლევა სწორედ ამ მეორე თვალსაზრისის დასაბუთების მცდელობაა.

(ის აზრი, რომ თხზულება, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწია, არ ეკუთვნის შუშანიკის თანამედროვე პირს, იაკობ ხუცესს, და იგი ისევე, როგორც სომხური რედაქცია თხზულებისა, ეფუძნება „შუშანიკის წამების“ პირველ, ქართულ (შემდეგში დაკარგულ) რედაქციას, გამოთქვა ბელგიელმა მკვლევარმა პ. პეტერსმაც ნაშრომში: „**Sainte Sousanik. Martyre en armeno-georgio**“. 1935. თუმცა მას სრულიად სხვა არგუმენტები ჰქონდა. ეს არგუმენტები იმთავითვე უარყვეს ქართველმა მეცნიერებმა: კორნელი კეკელიძემ, ილია აბულაძემ, ნიკოლოზ ჯანაშიამ და სხვებმა).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით კარიჭაშვილის წერილი, „შუშანიკის წამება“, არ გამოქვეყნებულა (მხოლოდ ხელნაწერის სახით არის დაცული). ამას, ალბათ, თავისი ობიექტური მიზეზიც ჰქონდა. შესაძლოა, მეცნიერი კვლევას დასრულებულად არ მიიჩნევდა. მის ზემოგანხილულ თვალსაზრისს, რასაკვირველია, მოეძებნება სათანადო კონტრარგუმენტები, მაგრამ იგი უთუოდ საინტერესოა, რამდენადაც ნარკვევში გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა და მოსაზრება იმ დროისათვის სრულიად ახალია. დავით კარიჭაშვილის მიერ წამოჭრილმა არაერთმა საკითხმა თხზულების შესწავლის მხოლოდ გვიანდელ ეტაპზე იჩინა თავი.

როგორც ჩანს, დავით კარიჭაშვილს მიზნად ჰქონია XII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა გამოექვეყნებინა. ამას მოწმობს მის არქივში შემონახული ხელნაწერი, რომელშიც მოთხრობილია XII-XVIII საუკუნეებში შექმნილი ზოგიერთი თხზულების შინაარსი და შეძლებისდაგვარად დართულია ავტორთა ბიოგრაფიები. აქვეა ანალიზი იმ ისტორიული ვითარებისა, რომელშიც ესა თუ ის თხზულება შეიქმნა.

ხელნაწერზე ავტორის ხელით აღნიშნულია, რომ იგი გაგრძელებაა. ნაშრომის პირველი ნაწილი, როგორც ჩანს, მოსე ხონელსა და შოთა რუსთაველს დაეთმო (ეს ნაწილი არქივში არ აღმოჩნდა).

XII საუკუნის მწერალთაგან საუბარია სარგის თმოგველზე, შავთელსა და ჩახრუხაძეზე. ნარმოდგენილია მეცნიერისთვის ცნობილი ყველა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის მონაცემი მათზე. „სარგის თმოგველს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს XII საუკუნის მწერლობაში. მას უთარგმნია რომანი „ვის-რამიანი“ და დაუნერია პოემა „დილარიანი“. პირველი ამათგანი დაცულია ჩვენ დრომდის, ხოლო მეორე, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო დაკარგულა და, თუმცა ნამდვილ დედანს ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, მაგრამ XIX საუკუნის პირველ წლებში იგი აღუდგენია

მეფე ერეკლეს წიგნთუხუცესს პეტრე ლარაძეს და ამ უკანასკნელის სახელით ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში“ (კარიჭაშვილი 1902: ხელნაწ. 26491). ამის შემდეგ იგი გადმოსცემს „ვისრამიანის“ მოკლე შინაარსს და შენიშნავს, რომ პერსონაჟები ცეცხლთაყვანისმცემლები არიან, მათი ყოფაცხოვრება ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ადათ-წესებს და, ამკარაა, თხზულება სპარსული ლიტერატურიდან არის გადმოღებული.

ამის შემდეგ წამოდგენილია „დილარიანის“ მოკლე შინაარსი, რომელსაც მოკლე კომენტარი მოსდევს: „ეს პოემა ბევრით ჰგავს „ამირან-დარეჯანიანს“. აქაც გმირი გამსჭვალულია მზეთუნახავის, გულის სატროფოს სიყვარულით, მოქმედებს თავგანწირულობით და თავს ხდება მრავალი საგმირო საქმენი. სჩანს, ესეთი მიმართულება მწერლობისა, განმტკიცებულია XII საუკუნეში და მწერალნი შაბლონურად გვიხატავენ ერთსა და იმავე საგანს, სხვადასხვა სახელწოდებით და გარემოებებში. მოთხრობაში ბევრი ანახრონიზმი გვხვდება: ბაბილონი, ინდოეთი და ეგვიპტე იხსენიება ერთად გალიასა, ბრიტანიასა და პოლონეთთან, ე.ი. სხვადასხვა ისტორიული ეპოქანი აქ არეულია და ამისათვის სუსტი კავშირია მოთხრობის სხვადასხვა ნაწილებს შორის. თვით დამწერი კი ნამდვილად ქრისტიანია. დილარი ასწავლის ფარსმანს თავგანისცემას ერთი სამპიროვანი ღვთისას. ენა წმინდად XII საუკუნისა არ არის; აქ ერთმანეთში შერეულია XII და XIII საუკუნეებში სახმარი სიტყვები (ფორთოხალი, კიტაია, იმპერატორი, კოლხიდა, უტევანი, ხვასტაგი, შუშპრობა)“.

ამის შემდეგ მსჯელობა ეხება შავთელს, წარმოდგენილია მწირი მონაცემები მისი ბიოგრაფიიდან, ზოგადად დახასიათებულია შემოქმედება. მკვლევარი შავთელს აკუთვნებს „თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით მეფის შესხმას“, „ქართული წელთაღრიცხვის საპასექო ცხრილის აღწერას“, ხოლო მისი უმნიშვნელოვანესი თხზულება, „აბდულ-მესია“, დაკარგულად მიაჩნია.



მას შემდეგ, რაც მკვლევარი წარმოადგენს მის ხელთ არსებულ ცნობებს ჩახრუხადის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ახდენს შავთელისა და ჩახრუხადის პოეტური ხელოვნების შედარებას და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს: „ჩახრუხადე და შავთელი ერთსა და იმავე საგანს უმღერიან, ერთი თემა აუღიათ, მაგრამ ერთს სხვაგვარად დაუხატავს ეს საგანი და მეორეს სულ სხვაგვარად. უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩახრუხადის ოდა („თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის შესხმა“, როგორც დავით კარიჭაშვილი ასახელებს) ბევრად მაღლა სდგას შავთელისაზე, როგორც სტილით, ისე ხელოვნების, ენის, საქმის ღრმა ცოდნის მხრით. ანტონ კათალიკოზი თავის „წყობილსიტყვაობაში“ უწოდებს ჩახრუხადეს უცხო პიიტიკოსს. ჩახრუხადე ითვლება მამამთავრად იმ განსაკუთრებული ლექსთ-წყობისა, რომელსაც ჩახრუხაული ეწოდება და რომელიც შესდგება მასში 20 მარცვლოვანი ლექსით (იგულისხმება სტრიქონი — ლ.კ.), რომელიც სამი ცეზურით არის განაწილებული და მით ლექსი ოთხ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი. ამასთანავე, ორივე პირველი ნაწილი გარითმულია. ამგვარს ლექსით არის დანერგილი მთელი აღნიშნული ოდა, გარდა 85-ე, 86-ე ტაეპისა, რომელნიც 16-16 მარცვლოვანია მთელი ოდა ცხადად გამომხატველია პოეტის აღფრთოვანებული ფანტაზიისა, ღრმა გრძნობისა და აზრისა. მისი ორიგინალური კალმის ქვეშ, რომელიც დიდად განსხვავდება რუსთაველის კალმისაგან, ქართულმა ენამ მოიპოვა მეტი კეთილხმოვანება და მოქნილობა. ...ერთი კალმის მოსმით ჩახრუხადემ გაამდიდრა ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება სხვა და სხვა ცნებებით. ძველი დროის ნაწერები ის, როგორც დაუშრეტელი ფუტკარი, ეძებდა საუკეთესო აზრებს და ცნობებს და მათგან შექმნა ის უტკბილესი ლიტერატურული ფიჭა, რომელიც მისძღვნა მან მთლად კავკასიის მეფეს, სახელოვანს თამარს და უანდერძა შემდეგს შთამომავლობას. შედარებები პოემაში, რომელთაც არა მცირედი ადგილი უჭირავთ მასში, ჰიპერბოლური ხასიათისაა“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაშრომი 1902 წლით არის დათარიღებული, ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ დავით კარიჭაშვილის ზემოთ წარმოდგენილი შეხედულება არის ერთ-ერთი პირველი (სრულიად დამოუკიდებელი) პროფესიული აზრი „თამარიანის“ პოეტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.

XII საუკუნის საერო მწერალთა შორის საუბარია აგრეთვე პოეტ ძაგნაკორზე, რომლის შესახებ ლიტერატურის ისტორიისთვის ცოტა რამ არის ცნობილი. მის სახელს უკავშირდება ლექსნყოფის განსხვავებული საზომის შექმნა, რომელსაც ძაგნაკორული ეწოდება.

საერო მწერლობასთან ერთად მსჯელობა XII საუკუნეში განვითარებულ ფილოსოფიურ, საღვთისმეტყველო და იურიდიულ ლიტერატურასაც ეხება. მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს იმ მამულიშვილთა ღვანლს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ მეცნიერებათა განვითარებაში.

ფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველთა შორის განსაკუთრებით გამოკვეთილია იოანე პეტრინის სახე, ჩამოთვლილია მისი შრომები. XII საუკუნის იურიდიულ ნაშთთა შორის მკვლევარი თვალსაჩინო ადგილს მიაკუთვნებს მონასტრის წესდებას, რომელიც სარგის მხარგრძელს უბოძებია ვაჰანის ნმ. გიორგის მონასტრისათვის (ტაო-კლარჯეთში). წესდება შეეხება მონასტრის შინაგანანესს და ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. იურიდიულ აქტებს შეადგენს აგრეთვე სიგელები, გუჯრები და სხვა.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, თამარის დროს ეკუთვნის პირველი კარაბადინი ანუ საექიმო წიგნი, რომელიც თურქებთან ბრძოლისას ხელთ იგდეს ქართველებმა. კარაბადინი ქართულად უთარგმნია სტეფანოზ ანტონს.

XIII-XVI საუკუნეთა მწერლობის განხილვისას მკვლევარი ჯერ იმ ისტორიულ მდგომარეობას აგვიწერს, რაც ლიტერატურის და, ზოგადად, შემოქმედებითი ცხოვრების დაქვეითების მიზეზი გახდა. „ამ დროის საერო ლიტერატურა, —

ამბობს დავით კარიჭაშვილი, — მოკლებულია საკუთარ დამოუკიდებელ ხასიათს და შემოქმედებას. ენის მხრითაც, იმდროინდელი ლიტერატურა ბევრად ჩამოუვარდება კლასიკური ხანის ლიტერატურას“. ამ შესავლის შემდეგ საუბარია „რუსუდანთანზე“ (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული) და პოემა „აღლუზიანზე“, რომელსაც მკვლევარი XIV საუკუნის დასასრულისა და XV საუკუნის დასაწყისის თხზულებად მიიჩნევს და უარყოფითად აფასებს ტენდენციური შინაარსის გამო.

შემდეგ თარგმანების განხილვას ეთმობა ადგილი. საუბარია სპარსულ ნაწარმოებებზე: „სირინოზიანი“ და „ლეილა და მეფუნე“, რომელიც თეიმურაზ I-მა თარგმნა და რამდენადმე გადააკეთა კიდევ. „ეს ის პოემაა, — წერს მკვლევარი, — რომლის გავლენის ქვეშ დიდხანს იყო მთელი სპარსეთის ლიტერატურა. მისი უმთავრესი ნიშანია სიყვარულის ფსიქოლოგია, როგორც ვხედავთ, იგივე საგანი, რომელსაც გვიხატავს რუსთაველიც, მაგრამ უნდა ვთქვათ, რუსთაველის ხელოვნება ამ მხრივ გაცილებით მაღლა დგას ნიზამის ხელოვნებაზე“.

დავით კარიჭაშვილი XVI საუკუნის მწერლად ასახელებს „ღირსშესანიშნავ მწერალ ქალს მაკრინეს“, კახეთის მეფის ერეკლე I-ის ასულს (თუმცა, როგორც ცნობილია, მარიამ-მაკრინა XVIII საუკუნის მოღვაწე იყო, დაბადებული XVII საუკუნის მინურულს. გაუგებარია ეს უზუსტობა რამ განაპირობა, შესაძლოა, ხელნაწერში გაპარული მექანიკური შეცდომაც იყოს). მკვლევარი სასულიერო და საისტორიო მწერლობის აღორძინებაზეც საუბრობს. ორიგინალური სასულიერო ნაწარმოებების ავტორთა შორის ასახელებს ნიკოლოზ კათალიკოსს (გულაბერისძე) (XII ს.), არსენ კათალიკოსს (ბულმანისიმისძე) (XIII ს.), კათალიკოს ევდემოსს (XVI ს.), ექვთიმე საყვარელიძეს, მწყემსმთავარ სიმეონს, აქვეა მოხსენებული მოღვაწეობა მეფის ძის ბაგრატიისა, რომელმაც დაწერა მოთხრობა „სარწმუნოებასა ზედა უღვთოთა ისმაილთასა“.

XVIII საუკუნის მწერლობის მიმოხილვა მაშინდელი ისტორიული მდგომარეობის ანალიზით იწყება. გამოკვეთილია კათოლიკე მისიონერების წვლილი საგანმანათლებლო და ევროპასთან საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით. დავით კარიჭაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ურთიერთობას. კათოლიკე მისიონერებს უწოდებს ევროპის ცივილიზაციის მეცენატებს საქართველოში. „აი, ამ კათოლიკე მისიონერების მეოხებით, — წერს იგი, — საქართველოში დაიბადა ახალი მიმართულება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ერთი მხრივ, საქართველოს გააცნონ ევროპის სწავლა-მოძღვრებანი, მისი დიდი ცივილიზაცია და დააყენონ იგი გაევროპელების გზაზე“.

ევროპასთან საქართველოს ურთიერთობის გააქტიურებას, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, დიდად შეუწყო ხელი ჯერ სულხან-საბა ორბელიანმა და შემდეგ ანტონ I კათოლიკოზმა. ამის შემდეგ საუბარია სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე, მის შემოქმედებაზე. დავითის აზრით, სულხან-საბას ისეთივე დამსახურება აქვს ქართული პროზის განვითარებაში, როგორც დავით გურამიშვილს — პოეზიისა. მკვლევარი გვაცნობს სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მოკლედ გადმოსცემს შინაარსს „სიბრძნე-სიცრუის წიგნისა“, რომელიც, მისი აზრით, ევროპაში მწერლის მოგზაურობის შემდეგ უნდა შექმნილიყო და ხაზს უსვამს შემდეგ გარემოებას: „სიბრძნე-სიცრუის“ ენამ პირველად გაუხსნა გზა სასაუბრო, სახალხო ენას და მით დიდი სამსახური გაუწია ქართულს მწერლობას. მისგან გაკვალულ გზაზე შედგა დავით გურამიშვილი (პოეზიაში) და ამგვარად შეიქმნა განსაკუთრებული ენა XVIII საუკუნისა, რომელიც განსხვავდება როგორც თანამედროვე, ისე XVIII საუკუნემდელი ენისაგან“.

ნაშრომის დასასრულ, მკვლევარი ბესიკისა და საიათნოვას შემოქმედებას ეხება. აღნიშნავს ხალხის დიდ სიყვარულს, რომლითაც ეს პოეტები სარგებლობდნენ.

ხელნაწერი ნაშრომი სრული სახის შთაბეჭდილებას არ ტოვებს (უფრო ერთგვარ მონახაზად შეიძლება ჩაითვალოს), ზოგიერთი თარიღი თუ ინფორმაცია მცდარია, ბევრი რამ მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა და დაზუსტდა, მაგრამ ნაშრომი უდავოდ საინტერესოა, როგორც XII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის ისტორიულ-ფილოლოგიური შეფასების ცდა. მით უფრო, რომ იგი დაინერა XX საუკუნის დასაწყისში (1902), როდესაც ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და, ფაქტობრივად, არ არსებობს ზოგადი, სისტემური ხასიათის ნარკვევი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

საინტერესოა აგრეთვე წერილი „ჩემი შენიშვნები და მიწაკვლევები“, რომელშიც გამოთქმულია დავით კარიჭაშვილის თვალსაზრისი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე.

პირველი შენიშვნა იოსებ სამებელის მოღვაწეობას ეხება. ვახტანგ მეფის ცნობით, იოსები სამების კათედრის ეპისკოპოსად 1712 წელს აკურთხეს. მოგვიანებით, 1733 წელს, იმავე ვახტანგ მეფემ სინოდს განუცხადა, რომ იოსები ეპისკოპოსად აკურთხა პატრიარქმა დომენტიმ 1705 წელს. თედო ჟორდანიას ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ჩვენის აზრით, ეს ცნობები ისე ურთიერთსაწინააღმდეგონი არ არიან, როგორც პირველ შეხედვით კაცს ეგონება. იოსები ალბათ ეკურთხა ეპისკოპოსად დომენტისაგან 1705 წელს და 1709 წელს მიიღო სამებელის ეპარქია“ (ჟორდანიას 1884:33-34). დავით კარიჭაშვილი კი შენიშნავს, რომ იოსებ სამებელის (ქობულიშვილის) ეპისკოპოსად კურთხევასა და სამებელად განწესების დათარიღებაში არამცთუ წინააღმდეგობა, დიდი ქრონოლოგიური შეცდომაა, და არგუმენტად მოაქვს 1696 წლის ერთი ხელნაწერი, რომლის მინაწერშიც დასახელებულია იოსებ სამებელი და მისი მამა, თამაზ ქობულიშვილი. ე.ი. 1696 წელს იოსებ ქობულიშვილი უკვე სამებელად იწოდება, ანუ ეპისკოპოსი იყო.

მეორე შენიშვნა ზურაბ შანშოვანსა და ზაქარია ვართაპეტის ეხება. ზაქარია ვართაპეტის შესახებ ცნობას გვანჯდის ანტონ კათალიკოსი 1753 წელს შედგენილი გრამატიკის წინასიტყვაობაში. ეს ცნობა ალექსანდრე ცაგარელმა რუსულად თარგმნა და დაურთო მის მიერვე გამოცემულ ზურაბ შანშოვანის გრამატიკას (მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანოვანისაგან 1737 წ. გამოცემული ალ. ცაგარელისაგან. სპბ, 1881, გვ. XIII-XIV). დავითი შენიშნავს, რომ თარგმანი დედნის ადეკვატური არ არის, რადგან მისი შინაარსის მიხედვით გამოდის, რომ ტფილელ მოქალაქეს, შემდეგში ზაქარია ვართაპეტად წოდებულს, არჩილ მეფის დროს დაუნერია რალაც, რაც გრამატიკად მიუჩნევიათ. ასეთი ცნობა არ ეთანხმება ანტონის ნათქვამს, რომ ზაქარია ვართაპეტმა ვახტანგ მეფის, საბა ორბელიანის და ვახუშტი ბატონიშვილის თხოვნით მოჰკიდა ხელი გრამატიკის შედგენას.

ალექსანდრე ცაგარელმა იმავე წიგნის წინასიტყვაობაში გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ზაქარია ვართაპეტი და ზურაბ შანშოვანი ერთი და იგივე პირია... ამ აზრის დასაბუთებისას ალექსანდრე ცაგარელი წინააღმდეგობას ნაანყდა, რადგან თავისივე თარგმანის მიხედვით, ზაქარია ვართაპეტმა გრამატიკა არჩილის დროს დაწერა, ზურაბ შანშოვანმა კი, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოწმობს, გრამატიკა 1737 წელს შეადგინა.

დავით კარიჭაშვილი მიიჩნევს, რომ ალექსანდრე ცაგარელის შეცდომის მიუხედავად (რაც ანტონ კათალიკოსის ცნობის არასწორ გაგებაში მდგომარეობს), მნიშვნელოვანია მისი ყველა საბუთი ზურაბ შანშოვანისა და ზაქარია ვართაპეტის იგივეობის შესახებ. ე.ი. მკვლევარი ალექსანდრე ცაგარლის ამ თვალსაზრისს სავსებით სარწმუნოდ მიიჩნევს და, თავის მხრივ, ასე ასაბუთებს: ზურაბ შანშოვანს რუსეთში ვახტანგ მეფის ბრძანებით შეუდგენია ქართული ენის გრამატიკა. ნაშრომი დამთავრებული არ ყოფილა, მაგრამ

ვახუშტი ბატონიშვილს იგი მაინც გამოუქვეყნებია. ზურაბ შანშოვანი და ზაქარია ვართაპეტი, როგორც მათზე არსებული ცნობებიდან ჩანს, სომხები არიან, ორივემ ვახტანგ მეფის მითითებით შეადგინა გრამატიკა. ამ ორი პიროვნების იგივეობას ხელს უშლის მათი სხვადასხვა სახელი. დავით კარიჭაშვილის შეხედულება ასეთია: 1737 წელს, როდესაც ზურაბ შანშოვანი გრამატიკას წერდა, ჯერ კიდევ ერისკაცი ყოფილა. რამდენიმე წლის შემდეგ ბერად შემდგარა და არქიმანდრიტობა მიუღია. ბუნებრივია, სახელსაც შეიცვლიდა და, როგორც სწავლული კაცი, ვართაპეტად იწოდებოდა. მკვლევარი მიაჩნებს: „ანტონის სიტყვები: „ოდესმე მოქალაქეთაგან ტფილისელი, რომელსა ან ვართაპეტ ზაქარიად წოდებულ ჰყოფენ“, სწორედ იმას გვეუბნებიან, რომ გრამატიკის შედგენა უთხოვიათ ზაქარია ვართაპეტისთვის მაშინ, როდესაც ის ყოფილა უბრალო ტფილისელი მოქალაქე“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4184).

დავით კარიჭაშვილის აზრით, როდესაც ანტონ კათოლიკოსი ზაქარია ვართაპეტის შრომაზე წერდა, სწორედ ზურაბ შანშოვანი გრამატიკას გულისხმობდა. თუმცა ანტონს იგი არ შეუფასებია. ალბათ იმიტომ, რომ ნაშრომი დაუსრულებელი იყო. გარდა ამისა, მკვლევარი ეჭვს გამოთქვამს, რომ ანტონ კათოლიკოსს მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდა პირველობა შანშოვანისთვის დაეთმო გრამატიკის შედგენაში, მაგრამ, რადგანაც გრამატიკა უკვე გამოქვეყნებული იყო, მისი მოუხსენებლობა უხერხული იქნებოდა, ამიტომაც ანტონ კათოლიკოსი გაკვრით შეეხო მას. დავით კარიჭაშვილს უცნაურად ესახება ის გარემოება, რომ ანტონი თავისი გრამატიკის წინასიტყვაობაში ასახელებს ზაქარია ვართაპეტს, რომლის შრომის კვალი არსად ჩანს და არ იხსენიებს ზურაბ შანშოვანს, რომლის შრომა ანტონ კათოლიკოსის დროს უკვე გამოქვეყნებული იყო. მეცნიერის აზრით, ასეთი უხერხულობა თავიდან იქნება აცილებული იმ შემთხვევაში, თუ ზურაბ შანშოვანსა და ზაქარია ვართაპეტს ერთსა და იმავე პი-

რად ვცნობთ. დასასრულ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლაში“ ნახსენებია ზაქარია ვართაპეტ მადინაშვილი, რომელიც „ზედმინევილი ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი და მკურნალობის ხელოვნებისა მეცნავი“ ყოფილა. თხზულებაში არ ჩანს, როდის ცხოვრობდა იგი. თუ მისი ცხოვრების დროდ XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ვიგულისხმებთ, დავით კარიჭაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ზაქარია მადინაშვილი იმავე ზურაბ შანშოვანად და იმავე ზაქარია ვართაპეტად მივიღოთ.

დავით კარიჭაშვილის შემდეგი შენიშვნა ანტონ კათოლიკოსის გრამატიკის ნაწილის, „სიმეტნის“, დაწერის დროს შეეხება. ანტონს გრამატიკა ორჯერ შეუდგენია — 1753 და 1767 წლებში. ალექსანდრე ცაგარელს გაურკვეველად მიაჩნდა, როდის დაინერა „სიმეტნე“, მეორე გრამატიკის შედგენამდე თუ მის შემდეგ.

დავით კარიჭაშვილი მიუთითებს, რომ ამ კითხვის პასუხი იმ ხელნაწერშია, რომელიც ანტონ კათოლიკოსის პირველ გრამატიკას შეიცავს. ყველა ამ ხელნაწერში „სიმეტნე“ მოთავსებულია პირველი ნაწილის შემდეგ, მეორე ნაწილის წინ. ხელნაწერი 1754 წლით არის დათარიღებული. დავითის აზრით, იგივე თარიღი აღნიშნავს „სიმეტნის“ დაწერის დროსაც, რადგან იგი პირველ გრამატიკასთან ერთად დაინერა. „სიმეტნეს“ გარდა თარიღისა, არც ავტორის ხელმოწერა გააჩნია. მკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ „სიმეტნე“ ავტორს ცალკე არ დაუწერია, როგორც დამოუკიდებელი ნაშრომი. პირველი გრამატიკის ეს ნაწილი ხშირად ცალკე გადაწერილი გვხვდება იმიტომ, რომ მისი ენა მარტივია და ადვილად გასაგები. არცერთ ასეთ ცალზე „სიმეტნისა“ ავტორი მოხსენიებული არ არის. როგორც მკვლევარი მიუთითებს, ამის მიზეზია ის, რომ ის წიგნის შუა ადგილიდან არის ამოღებული გადამწერს კი ავტორის ვინაობის აღნიშვნა აზრად არ მოსვლია.

ნაშრომის ბოლო შენიშვნა ბასილიოს ბერძენთა მეფის ტესტამენტის მთარგმნელს ეხება. ტესტამენტის 1739 წლის



გამოცემის წინასიტყვაობის ერთი ადგილი კორნელი კეკელიძემ ასე ამოიკითხა: „გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტესტამენტი, რუსულისაგან ქართულად თარგმნილი, მისი სიმაღლის, კეთილმორწმუნის მეფის ბაქარის ძის ალექსანდრესაგან. კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისამდე...“ (კეკელიძე 1924:258). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ტესტამენტი უთარგმნია ალექსანდრე ბაქარის ძეს და, როგორც კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, დაუბეჭდავს იოსებ სამებელს 1739 წელს ნოვგოროდში.

წიგნის წინასიტყვაობიდან მოტანილ ცნობას კორნელი კეკელიძე კრიტიკულად მიუდგა და ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაბეჭდილ გამოცემაში თხზულების მთარგმნელად შეცდომით აღნიშნულია ალექსანდრე ბაქარის ძე, ალექსანდრე არჩილის ძის მაგიერ. რადგან 1739 წელს ალექსანდრე ბაქარის ძე მცირეწლოვანი იყო, ცხადია, თარგმნას ვერ შეძლებდა, ალექსანდრე არჩილის ძე კი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო.

დავით კარიჭაშვილი კრიტიკასაც და დასკვნასაც სავსებით სწორად და სამართლიანად მიიჩნევს, მაგრამ შენიშნავს, რომ საკითხი უნებურად სწორად არ არის დასმული. წიგნის მთარგმნელად ალექსანდრე ბაქარის ძე არსად მოიხსენიება. ამონაწერში თვითონ მეცნიერს (კორნელი კეკელიძეს) როგორღაც ჩაუმატებია სიტყვა „ბაქარის“, ხოლო სიტყვები „კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისამდე“ აშკარად მიანიშნებს, რომ საუბარია გარდაცვლილ პირზე და, ბუნებრივია, იგი უნდა იყოს ალექსანდრე არჩილის ძე. როგორც დავით კარიჭაშვილი, და შემდეგში კორნელი კეკელიძეც, აღნიშნავდა, ეს უნებლიე უზუსტობა გავლენა იყო ქ.მ.წ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგში გაპარული შეცდომისა, რომლის მიხედვით ტესტამენტის მთარგმნელად ალექსანდრე ბაქარის ძე იყო დასახელებული.

დავით კარიჭაშვილს საგანგებოდ შეუსწავლია იონა ხელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მეცნიერის არქივმა

შემოინახა იონა ხელაშვილის ბიოგრაფია (დაუსრულებელი) და მასალები ბიოგრაფიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი დასრულებული არ არის, ის საშუალებას იძლევა იონა ხელაშვილის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს გადავაფიქროთ თვალი. აქვე მკვლევარი შეეცადა გაერკვია მიზეზი იმ უთანხმოებისა და უსიამოვნებისა, რომელიც იონა ხელაშვილსა და მის მონაფეს, სოლომონ დოდაშვილს, ჰქონდათ.

ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ იონა ხელაშვილი ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. თავისი შემოსავლის ნაწილს ძმებსა და ძმისწულებს უგზავნიდა საქართველოში; ყიდულობდა საქართველოს ეკლესიებისთვის საჭირო ნივთებს, წიგნებს, ჭურჭელს, სამოსელს. ესმარებოდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს. ძირითადად კი იონა ფულს ზოგავდა თავისი საღვთისმეტყველო თხზულებათა გამოქვეყნების მიზნით. ბიოგრაფიაში იონას 43 წიგნია დასახელებული. ყველაზე მეტად თავისი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოქვეყნება სურდა.

1827 წელს სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგიდან თბილისს გამოემგზავრა. იონა ხელაშვილმა მას თავისი დანაზოგი თანხა გამოატანა. თანხის ერთი ნაწილი ლექსიკონის დაბეჭდვას უნდა მოხმარებოდა. იონა ექვსი წელი ელოდა ლექსიკონის გამოცემას, მაგრამ სოლომონ დოდაშვილს წიგნი არ დაუბეჭდავს.

დავით კარიჭაშვილმა შეისწავლა იონა ხელაშვილის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი და აღმოჩნდა, რომ იგი მეტად გაუმართავი და პრაქტიკულად გამოუსადეგარია. „ჯერ ერთი ეს ლექსიკონი არ არის რუსულ-ქართული, უფრო სლავურ-ქართულია. მეორე: მისი გამოყენება ძალიან ძნელია, რადგან სიტყვები არევით და უსისტემოდ არიან დალაგებულნი, მესამე: სიტყვების განმარტებაში ბევრი შეცდომაა. ბოლოს, რუსულის სიტყვების ქართულის ასოებით დანერა უკარგავს მას ყოველსავე ღირსებას რუსული სიტყვების გამოთქმის და მართლწერის მხრით“, — აღნიშნავდა იგი (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4232).

სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა მკვლევარს მიზეზად იმისა, რომ ლექსიკონი არ დაიბეჭდა. „ლექსიკონი რომ არაფრად ვარგოდა, ამას ისევე ხედავდა სოლომონ დოდაშვილი, როგორც ჩვენ ვხედავთ დღეს. ჩვენის აზრით, სოლომონ დოდაშვილი თუ არ ასრულებდა თავისი გამზრდელის მინდობილობას და არ ბეჭდავდა ამ ლექსიკონს სწორედ იმიტომ, რომ არ სცნობდა მას დაბეჭდვის ღირსად“ (იქვე).

სოლომონ დოდაშვილმა იმ თანხით გამოსცა თავისი „ქართული ენის გრამატიკა“ და ჟურნალი „ტფილისის უწყებანი“. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იონა ხელაშვილი თავის წერილებში დიდ სამდურავს გამოთქვამდა სოლომონ დოდაშვილის მიმართ. თუმცა 1832 წლის შეთქმულების გაცემის შემდეგ იონა მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს შეენწყალებინა როგორც მისი გაზრდილი, ისე შეთქმულების სხვა მონაწილენი და საპყრობილის ტანჯვა-წამებისაგან ეხსნა. იონა ხელაშვილი პოლიტიკაში რუსული ორიენტაციის მტკიცე მომხრე იყო და ქართველთა შეთქმულება დიდ უგზურებად და უბედურებად აღიქვა.

დავით კარიჭაშვილის ზემოგანხილული გამოკვლევები მის დიდ შრომისმოყვარეობასა და მაღალ ერუდიციაზე მეტყველებს. „ეჭვი არ არის, რომ მას კიდევ არაერთი შეუსრულებელი განზრახვის ტკივილი ნაჰყვა სამარეში“, — წერდა სიმონ ჯანაშია და იქვე დასძენდა: „ქართველ მკვლევართა კიდევ არაერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არაერთგზის მიმართავს იმ ხიდს, რომელიც დავით კარიჭაშვილის იდეურობითა და ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ“ (ჯანაშია 1987:369).

## თავი III

### დავით კარიჭაშვილი — ენათმეცნიერი

1908 წელს დავით კარიჭაშვილის ინიციატივით დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტური განყოფილება. საზოგადოების კრებამ განყოფილების თავმჯდომარედ დავით კარიჭაშვილი დაასახელა. საზოგადოების საბჭოს წევრთა გარდა ლინგვისტურ განყოფილებაში შედიოდნენ: გრიგოლ იმნაიშვილი, გრიგოლ ვოლსკი, კოტე დოდაშვილი, მიხეილ ყიფიანი, კორნელი კეკელიძე, გრიგოლ დიასამიძე, გრიგოლ ყიფშიძე და სხვები.

ლინგვისტური განყოფილების მთავარი მიზანი და ამოცანა ქართული ენის ყოველმხრივი გამოკვლევა იყო. სამუშაო გეგმა დავით კარიჭაშვილმა წარმოადგინა. მისი აზრით, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც განყოფილებას უნდა მოეგვარებინა, არსებული ლექსიკონების შევსება-შესწორება და ახალი ლექსიკონების შედგენა იყო.

ვრცელი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის სურვილი პირველად კირიონ კათალიკოსმა გამოთქვა. 1904 წელს უკვე მუშაობდა კომისია (გრიგოლ დიასამიძის, გრიგოლ ყიფშიძის და დავით კარიჭაშვილის შემადგენლობით), რომელსაც ამ საქმის ორგანიზება ევალებოდა. ქართული მწერლობიდან და ცოცხალი მეტყველებიდან უნდა შეგროვილიყო ის სიტყვები, რომლებიც ლექსიკონში არ შედიოდა. ამ საქმეს ბევრი მხარდამჭერი და მოხალისე გამოუჩნდა. ქართული სიტყვიერების არაერთი მოყვარული უსასყიდლოდ მუშაობდა სიტყვების შეგროვებაზე. როგორც უკვე აღვნიშ-

ნეთ, ლინგვისტური განყოფილების შექმნისთანავე ლექსიკონთა შედგენის საკითხი ხელახლა დადგა დღის წესრიგში.

განყოფილების მეორე კრებაზე, რომელიც გაიმართა 1908 წლის ოქტომბერში, დავით კარიჭაშვილმა წარადგინა მოხსენება „როგორ უნდა მოეწყოს ლექსიკონის შესადგენად საჭირო მასალის მოგროვება?“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4215). მოხსენებაში სამუშაო მასალად გათვალისწინებული იყო: 1. არსებული ლექსიკონები; 2. ახალი მწერლობა; 3. ძველი მწერლობა; 4. სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტი (სიგელები, გუჯრები, წარწერები...); 5. სახალხო სიტყვიერება; 6. ცოცხალი სალაპარაკო ენა. ახალ ლექსიკონს საფუძვლად დაედებოდა დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი. პრაქტიკულად ახალი ლექსიკონი დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონის შევსებული და შესწორებული ვარიანტი უნდა ყოფილიყო. ამისათვის, დავით კარიჭაშვილის გეგმით, უნდა შეგროვილიყო ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ ლექსიკონში არ არის განმარტებული; ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვების განმარტება უნდა ყოფილიყო სრული და ამომწურავი. ყოველი სიტყვის განმარტება დასაბუთებული იქნებოდა შესაბამისი წინადადებით ქართული მწერლობიდან. ამასთან, დასახელდებოდა თხზულება და მისი ავტორი. სიტყვათა განმარტებები დაინერებოდა პატარა ბარათებად თაბახის 1/6-ზე. სიტყვის განმარტების შემდეგ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მისი მნიშვნელობა რუსულ ან რომელიმე ევროპულ ენაზე. გამოუქვეყნებელი ხალხური ნაწარმოებიდან აღებულ სიტყვას მიეთითებოდა, სად, საქართველოს რომელ კუთხეში იყო მოსმენილი ეს ნაწარმოები და რა ჟანრისა იყო (ზღაპარი, გამოცანა...). დაუბეჭდავი წერილობითი საბუთიდან ამოღებულ სიტყვასაც მიეთითებოდა, რას წარმოადგენდა საბუთი; თარიღი და კუთვნილება.

ამრიგად თავმოყრილ სალექსიკონო მასალას წაიკითხავდნენ განყოფილების სხდომებზე და მისი მოწონების შემთხვევაში ანბანის რიგზე დალაგებულს შეინახავდნენ საზოგადოე-

ბის ბიბლიოთეკაში (ყოველი სიტყვის განმარტებას მინერილი ექნებოდა წარმომადგენლის სახელი და გვარი). შეგროვილი მასალა შეინახებოდა ლექსიკონის გამოცემამდე. მანამდე კი დაიბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი სიტყვები განმარტებითურთ, რომლებიც ტერმინებად გამოდგებოდა (მცენარეების, ცხოველების, მინერალების სახელები და სხვა).

ასევე შეგროვდებოდა მასალა მეგრული, ქანური და სვანური ლექსიკონებისთვის. არ არსებობდა ლექსიკონი ამ ენებზე, ამიტომ მასალა თანდათან დაიბეჭდებოდა საზოგადოების გამოცემებში. ეს კი მკვლევარებს თავიდან ააცილებდა თავმოყრილი და განმარტებული სიტყვების ხელახლა შეგროვებას.

დავით კარიჭაშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული ლექსიკონის პარალელურად უნდა ემუშავათ რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზეც, რომელსაც ასევე საფუძვლად დაედებოდა დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი. გასწორდებოდა მასში არსებული შეცდომები. შეივსებოდა ახალი სიტყვებით, შეადარებდნენ დიდ და სრულ რუსულ ლექსიკონს. ქართული ლექსიკონისთვის შეგროვებული მასალა გამოდგებოდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შესავსებადაც ისევე, როგორც რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის დროს დიდი მასალა მოიყრიდა თავს ქართული ლექსიკონისთვისაც. ასე რომ, მუშაობა ამ ორი მიმართულებით ორმხრივად სასარგებლო იქნებოდა.

საზოგადოების კრებამ დავით კარიჭაშვილის მოხსენებაში წარმოდგენილი გეგმა სახელმძღვანელოდ მიიღო იმ შესწორებით, რომ სალექსიკონო მასალა კი არ შეინახებოდა ლექსიკონის გამოცემამდე, არამედ დაიბეჭდებოდა თანდათან, შეგროვებისამებრ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ლინგვისტურ განყოფილებას დავით კარიჭაშვილის ხელმძღვანელობით, მართლაც, დიდი შრომა გაუწევია. დავითის არქივში ინახება ამ ლექსიკონის (I-VIII ნაწილი) ავტოგრაფი (4040 ფურცელი, ხელნაწ. 4557-4564). მას შეუდ-

გენია ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, რატომ არ დაიბეჭდა, მიზეზი უცნობია.

ლექსიკოლოგიური მუშაობა მკვლევარს არც შემდგომ შეუწყვეტია. 1915 წელს საზოგადოების გამგეობამ მას ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენა მიახლო. სამუშაო უაღრესად რთული და შრომატევადი იყო. დავით კარიჭაშვილმა საზოგადოებას წარუდგინა ლექსიკონზე მუშაობის გეგმა და მეთოდი. ლექსიკონის შედგენას, მისი ვარაუდით, 2 წელი და 9 თვე დასჭირდებოდა.

არქივში ინახება მასალები ქართულ-ფრანგული (ხელნაწ. 4252), და ქართულ-რუსული (ხელნაწ. 4197) ლექსიკონებისა (მათი დაუბეჭდაობის მიზეზი ჩვენთვის ასევე უცნობია). არქივშივეა დაცული დავით კარიჭაშვილის ლექსიკოლოგიური ნარკვევები: „თურქულ-არაბულ-სპარსული სიტყვები, ხმარებულნი ქართულს ენაში გამოკრებილნი ლექსიკონითგან“ (ხელნაწ. 4237); „ქართულ-დიალექტოლოგიური ლექსიკონის მასალა, ზოგიერთი ქართული სიტყვების ძირები და ეტიმოლოგიები“ (ხელნაწ. 4193-4191); „ლექსიკონი, ადგილობრივი, ე.ი. ქართული სიტყვების დანერილობა რუსულ-ლათინური ტრანსკრიპციით“ (ხელნაწ. 4174); „სალექსიკონო მასალა, გეოგრაფიული სიტყვები ნათარგმნია რუსულად“; „ჭანური სიტყვები“ (ხელნაწ. 4260). „იოსებ-ზილიხანიანის“ სტროფებიდან (ხელნაწ. 4172) (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემებს, დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით, ახლავს მის მიერ შედგენილი ვრცელი ლექსიკონი).

ლექსიკოლოგიური საკითხები ყოველთვის აქტუალური იყო ლინგვისტური განყოფილებისა და მთლიანად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის.

1913 წელს კრებულში „ძველი საქართველო“ გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის და ივანე ბუქურაულის მიერ შედგენილი მცირე განმარტებითი ლექსიკონი — თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება (ეს ლექსებიც ამავე გამოცემაშია დაბეჭდილი).

განმარტებულია სულ 540 სიტყვა.

ლინგვისტური განყოფილების სხდომებზე რეგულარულად იკითხებოდა მოხსენებები ენათმეცნიერების პრობლემებზე. ეს იყო თითქმის სრულიად აუთვისებელი, ახალი საკვლევი სფერო და, ამდენად, მეტად საინტერესო. ფაქტობრივად, ლინგვისტური განყოფილების მუშაობაში ჩართული იყო მთელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ამიტომ დროთა განმავლობაში ცალკე ლინგვისტური განყოფილების არსებობის აუცილებლობა აღარ იყო. განყოფილება გაუქმდა. ენათმეცნიერულ პრობლემებზე მსჯელობა იმართებოდა საზოგადოების კრებებზე (როგორც ოქმებიდან ჩანს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, იუსტინე აბულაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სხვები).

ლინგვისტური განყოფილების რამდენიმეწლიანმა მუშაობამ თავისი როლი შეასრულა: სათავე დაუდო ენათმეცნიერული პრობლემების სისტემატურ, მიზანმიმართულ კვლევას. როგორც როინ მეტრეველი წერს, „საზოგადოების წევრთა დიდმა მეცნიერულმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად წაასწია საქართველოში ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის განვითარება (ეს საქმე შემდგომ უფრო წარმატებით გაგრძელდა თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო კვლევის ცენტრებში)“ (მეტრეველი 1982:95).

დავით კარიჭაშვილი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე, დაინტერესდა ენათმეცნიერების პრობლემებით. გულდასმით ეცნობოდა ამ თემაზე შექმნილ ცალკეულ ნაშრომებს და სარეცენზიო წერილებით ეხმაურებოდა მათ.

1887 წელს ქუთაისში გამოიცა „ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია“, ქართულის სიტყვიერების მოყვარულთაგან შედგენილი. სარეცენზიო წერილში დავითი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ენის მეცნიერულად გამოკვლევა აუცილებელი იყო. მისი აზრით, გრამატიკის უქონლობა აშკა-



რად ეტყობოდა იმდროინდელ ქართულ მწერლობას. „შეადარეთ ერთის მწერლის ენა მეორე მწერლისას, ან რომლისამე მწერლის ერთი ნაწერი მეორე ნაწერს, ან კიდევ უკეთ, ერთის წერილის პირველი სტრიქონები უკანასკნელ სტრიქონებს და ცხადად დაინახავთ, რომ ახლანდელს მწერლებს არა რაიმე ენის წესი და რიგი არა აქვთ მიღებული და დამყარებული. იმიტომ კი არა, რომ ვითომ ქართული ენა ბუნებით რაღაც უწესური და ურიგო ენა იყვეს; არა, მას თავისი წესი და რიგი აქვს, ხოლო უბედურება ის არის, რომ ეს წესები მწერლებს არა აქვთ შეგნებული... იმიტომ, რომ იმათ ქართული სპეციალურად არ უსწავლიათ; იმიტომ, რომ გრამატიკა მეცნიერულად არა გვაქვს გამოკვლეული“ (კარიჭაშვილი 1887: 9-10).

„ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიის“ გამოცემას იგი სასიამოვნო ფაქტად მიიჩნევდა, თუმცა ფიქრობდა, რომ ასეთი წიგნის გამოცემა ნაადრევი იყო, ჯერ უნდა მომხდარიყო ქართული ენის საფუძვლიანი გამოკვლევა, რომლის დროსაც ბევრი რამ გადაისინჯებოდა, გასწორდებოდა, ტერმინები საბოლოოდ შემუშავდებოდა და ამის შემდეგ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიის გამოცემა.

საინტერესოა, რომ ენათმეცნიერული კვლევის ამ ეტაპზე კამათს იწვევდა თვით ის საკითხიც კი, იყო თუ არა გრამატიკა მეცნიერება. ეს საკითხი ნამოჭრა პავლე კვიცარიძემ წიგნში „ქართული სწორმეტყველება“ (1888). იგი აცხადებდა, რომ „გრამატიკა საერთოდ არ არის მეცნიერული შრომა“ (კვიცარიძე 1888:24). სარეცენზიო წერილში დავით კარიჭაშვილი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ გრამატიკა სწორედ მეცნიერებაა. „ყოველს გრამატიკის შემდგენელს უნდა მოვთხოვოთ მეცნიერული მეთოდი, კრიტიკა და სიფრთხილე. გრამატიკა თუ მეცნიერება არაა, მაშ რა უნდა იყვეს? ხელოვნება? თუ ეს მართალია, მაშინ ყოველს ენაში იმდენი გრამატიკა უნდა იყვეს, რამდენიც შემდგენელია, ხოლო გრამატიკა კი ერთია ყველა ენაში, როგორც ერთია გეოლოგია, ანთროპოლოგია, არქეოლოგია, ისტორია“.

გარდა იმისა, რეცენზენტი არ მოერიდა ეთქვა, რომ კვიცარიძის „სწორმეტყველება“ ვერ ამჟღავნებს ქართული ენის სათანადო ცოდნას, გრამატიკულად გაუმართავია, ავტორი თვითნებურად თხზავს ტერმინებს, სარგებლობს იმერული დიალექტით. არასერიოზული და მიუღებელია მისი მსჯელობა ქართული დამწერლობის შესახებ. მცდარია არაერთი დასკვნა, რომლებიც ქართული ენის ფონეტიკას შეეხება. ასევე გაუგებარია პავლე კვიცარიძის თვალსაზრისი (რომელსაც დავით კარიჭაშვილმა „ფილოლოგიური მარგალიტი“ უწოდა), რომ სიტყვა „ღმერთი“ წარმომდგარია სამი სიტყვიდან: „ღერო“, „მეტი“, „ერთი“ (დეკანოზიძე 1888:8).

დავით კარიჭაშვილის აზრით, პავლე კვიცარიძე შედარებით კარგად არჩევს სიტყვის აგებულებას, თუმცა აქაც ადგილი აქვს ტერმინოლოგიურ უზუსტობებს.

1889 წელს ჟურნალ „მწყემსში“ გამოქვეყნდა ვრცელი წერილი „სერიოზული ენათმეცნიერი“ (ავტორი მითითებული არ არის). როგორც ჩანს, ეს წერილი დავით კარიჭაშვილის რეცენზიის პასუხია. იგი იწყება დავით კარიჭაშვილის სატირული ხასიათის წერილის „საქებართა ქებანის“ კრიტიკით. „საქებართა ქებანში“ დავითმა პირუთვნელად წარმოაჩინა მაშინდელი საზოგადოების მანკიერი თვისებები და გამოთქვა გულისტკივილი იმის გამოც, რომ მოწინავე ქართველი საზოგადოება პრიორიტეტს რუსულ ენას ანიჭებდა და ქართულად ლაპარაკს თავს არიდებდა. ავტორის ეს გულისტკივილი ოპონენტისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა. გარდა თემატური ნაკლოვანებისა, მან ისიც აღნიშნა, რომ „საქებართა ქებანში“ 200 ეტიმოლოგიური (?) შეცდომაა, ასევე მრავლად არის გრამატიკული შეცდომები დავითის მხატვრულ ნაწარმოებში „სამი მსხვერპლი“.

წერილის ავტორი არ ეთანხმება დავით კარიჭაშვილის რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებს და ძირითადად ორ სადავო საკითხს ეხება: 1. არის თუ არა გრამატიკა მეცნიერება; 2. როგორია ეტიმოლოგია სიტყვისა „ღმერთი“.

ავტორი დაჟინებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ დავითი ცდება, გრამატიკა მეცნიერება არ არის. მისი არგუმენტები შემდეგია: 1. გრამატიკას აქვს პრაქტიკული მიზანი, გააადვილოს ენის შესწავლა — „თუ მეცნიერება საპრაქტიკო მიზანს მისდევს, ის მეცნიერება აღარ არის“ („მწყემსი“ 1889:10); 2. გრამატიკა სხვა მეცნიერების მსგავსად არ ვითარდება, „ერთსა და მასვე წერტილზე დგას“. ავტორის უცნაური აზრით, სულაც არ არის სავალდებულო, რომ გრამატიკის ავტორი მეცნიერი იყოს. „ღრამატიკოსისთვის სწავლულობაც თითქმის მეტია, მეცნიერის დაწერილი ჩვეულებრივი ღრამატიკა, თუ მართლა მკითხავთ, არც კი ვარგა, ამისათვის კიდევ ცალკე ნიჭია საჭირო“.

დასასრულ, წერილის ავტორი აცხადებს: „ჩვენ რომ ღრამატიკა „ლიტონ ცოდნათა“ გროვისთვის არ მიგვეკუთვნა, მაშინ მას უმალ ხელობად ან ხელოვნებად ჩავთვლიდით, ვინემ მეცნიერებად“ („მწყემსი“ 1889:12).

ოპონენტი იცავს პავლე კვიციარიძის განაცხადს, რომ სიტყვა „ღმერთი“ წარმომდგარია სამი სიტყვისგან: „ღერო“, „მეტი“, „ერთი“, თუ რა საფუძვლით, წერილში არ ჩანს.

1909 წელს დავით კარიჭაშვილმა თარგმნა ნიკო მარის წერილი „წინასწარი ცნობა ქართულის ენის სემიტურს ენებთან ნათესაობის შესახებ“ (მარი 1909:115-120). წერილი წინ უძღვის ნიკო მარის შრომას „**Основные таблицы къ грамматикъ древне-грузинского языка съ предварительнымъ сообщениемъ о родствѣ грузинского языка съ семитическими**“. წერილში ჩამოყალიბებულია ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობის ლინგვისტური საფუძვლები. ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ ქართული ენა არ არის სემიტური (მხოლოდ ენათესავება) და ის ენათა იაფეტურ შტოს განეკუთვნება. დავითისათვის წერილის თარგმნა საინტერესო იქნებოდა იმ ნიშნითაც, რომ ნიკო მარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის შესწავლას ენათა იაფეტური შტოს კვლევის თვალსაზრისით.

დავით კარიჭაშვილის არქივმა შემოინახა გამოუქვეყნებელი გამოკვლევა „ფრაგმენტი გრამატიკის შესახებ“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4251). იგულისხმება ლათინურ ენაზე დაწერილი ქართული ენის გრამატიკა. ხელნაწერის აღწერილობის შემდეგ იგი იკვლევს გრამატიკის ავტორის ვინაობასა და დაწერის დროის საკითხებს და გამოაქვს შემდეგი დასკვნები:

„1. გრამატიკის ავტორი უცხოელია, ქართული სიტყვები ხშირად დამახინჯებული ფორმით არის წარმოდგენილი (მაგ: ჩვარდლი — ჭვარტლი, თბა — ტბა...).

2. ავტორი გერმანელი უნდა იყოს, ზოგიერთი სიტყვა, რომელიც მას ლათინურად ვერ აუხსნია, ახსნილი აქვს გერმანულად. ხშირად იყენებს გერმანულ ასოებს (მიმართავს იტალიურსაც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანული ასოებით აღნიშვნა ვერ ხერხდება).

3. გრამატიკის ფრაზეოლოგიისა და ლექსიკური შემადგენლობის ანალიზის საფუძველზე დავითი ფიქრობს, რომ გერმანელი ავტორი კათოლიკე პატრია.

4. ავტორს გრამატიკის შედგენის დროს უცხოვრია იმერეთში, ნაშრომს ეტყობა იმერული დიალექტის კვალი. საქართველოს მხარეთაგან მოხსენიებულია მხოლოდ იმერეთი და ქალაქთაგან — მხოლოდ ქუთაისი.

5. მკვლევრის აზრით, გრამატიკის შედგენის დრო უნდა იყოს XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის დასაწყისი — არაუგვიანეს 1810 წლისა, რადგანაც წიგნის წერის დროს იმერეთში ჯერ კიდევ მეფე ყოფილა. ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად კი მკვლევარს 1768 წელი მიაჩნია. ამ დროს უკვე გამოსული იყო ანტონ კათოლიკოსის გრამატიკა, რომელშიც აღმატებითი ხარისხის მანარმოებლად მიჩნეულია ორი „უ“, რაც გამეორებულია ლათინურ ენაზე დაწერილ გრამატიკაშიც. აღნიშნული ქრონოლოგიური მონაკვეთი წიგნის დათარიღებისათვის შეიძლება შევიწროვდეს. წიგნში მოიხსენიება ორი პატრი: მარიოსი და ცელერინი, რომლებიც იმერეთ-

ში ცხოვრობდნენ. ეს პატრები იმერეთში ჩანან 1800 წლიდან, ე.ი. გრამატიკა დაწერილია 1800-10 წლებში.

6. ითვალისწინებდა რა, რომ გრამატიკის შემდგენელი უნდა ყოფილიყო გერმანელი, დავით კარიჭაშვილმა მოიძია, ვინ იყო ამ დროს იმერეთში მცხოვრებ პატრთაგან გერმანელი. ასეთი აღმოჩნდა მარიოზ კოლანელი. სწორედ იგი მიიჩნია დავითმა ქართული გრამატიკის ავტორად. მის თვალსაზრისს ამაგრებს მარიოზის შესახებ არსებული ცნობებიც, იგი დიდხანს ცხოვრობდა იმერეთსა და ქართლში და კარგად ფლობდა ქართულ ენას, რაც ნაშრომში გამოჩნდა კიდევ.

დასასრულ, დავითი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ ქალაქი, რომელზეც გრამატიკაა დაწერილი, სქელი და რუხი ფერისაა. ასეთი ქალაქი იხმარებოდა საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს.

1924 წელს დავით კარიჭაშვილს უკვე დასრულებული ჰქონდა ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“ (ეტიმოლოგია, 12 ტაბულით), რომლის წიგნად გამოცემა მის სიცოცხლეში ვერ მოესწრო, გამოიცა მხოლოდ 1930 წელს (II ფურცელზე — 1929 წ.). წიგნი მოიცავს თორმეტ თავს (ფონეტიკა, მორფოლოგია), დართული აქვს 12 ტაბულა.

შესავალ წერილში, „გამომცემლობისაგან“, აღნიშნულია: „სახელგამი აქვეყნებს ამ შრომას იმ მოსაზრებით, რომ ქართული ენის ფორმები ჯერჯერობით იმდენად დაუმუშავებელია და შეუსწავლელი, რომ ასეთი შრომის გამოცემა უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც სამეცნიერო დარგის მუშაკებს, ისე პედაგოგებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას“.

როგორც ჩანს, იმ დროისათვის, უაღრესად მწირი ნარკვევების პირობებში, დავით კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკა“ მეტად საჭირო და დროული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი თავის წინამორბედებზე უფრო თანმიმდევრული, სისტემური და მეცნიერულია, მას დღეისათვის მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს და ენათმეცნიერული კვლევის განვლილ ეტაპად რჩება.

## თავი IV

### დავით კარიჭაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დავით კარიჭაშვილმა მეგობრისადმი მიწერილ ღია წერილში („საქებართა ქებანი“, 1886) წამოჭრილ პრობლემათა შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ დასვა ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული წიგნის გამოცემის საკითხები. ამ უკანასკნელს საგანგებო წერილიც მიუძღვნა მოგვიანებით, „ჩვენს წიგნთა გამომცემლობაზე“. იგი აღნიშნავდა, რომ პირველმა მსოფლიო ომმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო ბეჭდური პროდუქციის გავრცელებას მოსახლეობის ფართო მასებში. ხალხს სჭირდებოდა ინფორმაცია, სურდა გაეგო, რა ხდებოდა ქვეყანაში, საერთოდ, მსოფლიოში. ომის შემდგომ კი საზოგადოების ყურადღება რომ მიეპყრო და გამომცემელი ამაოდ არ დამშვრალიყო, დავითი აუცილებელ პირობად მიიჩნევდა, წიგნს (ბეჭდურ პროდუქციას) საზოგადოების ინტერესები დაეკმაყოფილებინა პირველ ყოვლისა, იმ სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, რომლებიც ხალხს განსაკუთრებით აწუხებდა. „...იმას აქვს მოთხოვნილება, რომ გაიგოს შინაური ამბები... როგორ უნდა იცხოვროს, რომ მშვიერი არ მოკვდეს. იმას უნდა გაიგოს, რად არის ასე ღარიბი, როგორ უშველოს თავის თავს... როგორ უნდა მოახერხოს, რომ გამოვიდეს იმ ვალისა და ვაზშისაგან, რომელშიც დიდი ხანია ჩავარდნილია“ (კარიჭაშვილი 1879). იქვე შენიშნავდა, რომ წიგნის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული თვითონ გამომცემელზე, მისი განათლებისა და

მომზადების დონეზე. „ჩემის აზრით, გამომცემელი თვითონაც გონებით გახსნილი და ზნეობითაც პატიოსანი და მაღლა მდგომი კაცი უნდა იყვეს. ის კარგად უნდა იცნობდეს იმ წიგნს, რომელსაც თვითონა სცემს“.

წიგნის სათანადო დონეზე გამოცემას, რასაკვირველია, სჭირდებოდა გარკვეული სახსრებიც. მაშინდელი წიგნის გამომცემელნი დიდ ხელმოკლეობას განიცდიდნენ. მეცნიერმა დაინტერესებულ პირთ შესთავაზა, შექმნილიყო წიგნის გამომცემელთა საზოგადოება, რომლის წევრები საჭირო თანხას შეკრებდნენ და წიგნის გამოცემის საქმეს რამდენადმე შეეწეოდნენ.

თვითონ დავით კარიჭაშვილის ინიციატივით არაერთი წიგნის გამოცემა განხორციელდა. 1895 წელს მან ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და წერილები. მათ ხელთ ჰქონდათ პოეტის ლექსების სამი ხელნაწერი (ავტოგრაფი): 1. ექვთიმე თაყაიშვილის; 2. ბარბარე ვეზირიშვილისა და 3. ვალერიან გუნიასი. ამ ხელნაწერთა აღწერილობას წარმოგვიდგენს წერილი „ცნობები თ. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების შესახებ“. წიგნში მოთხრობილია აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები („ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის მაგიერ“). გამოცემა ძირითადად ექვთიმე თაყაიშვილის ვარიანტს დაეყრდნო, ხოლო სხვაობები, რომლებმაც თავი იჩინა ბარბარე ვეზირიშვილის ვარიანტთან მიმართებით, აღნიშნულია სქოლიოებში, ვალერიან გუნიას ვარიანტის განსხვავებანი კი — წიგნის ბოლოში. გამოცემაში გამოყენებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები გრიგოლ ორბელიანის, მაიკო და ზაქარია ორბელიანებისა და მიხეილ თუმანიშვილისადმი.

დავით კარიჭაშვილს და ექვთიმე თაყაიშვილს მიზნად ჰქონდათ პოეტის ლექსების ეს გამოცემა რაც შეიძლება დაახლოებული ყოფილიყო ავტოგრაფთან. ამიტომაც უცვლელად დატოვეს პოეტის ხელნაწერის ორთოგრაფიული თავი-

სებურებებიც კი, რაც ნიგნის რეცენზენტმა, იაკობ ფანცხავამ, გამოცემის ნაკლად მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საპასუხო წერილში გამომცემლები აღნიშნავენ: „იმისთანა პოეტის ნაწერს, როგორც ბარათაშვილია, აქვს სრული უფლება გადაეცეს ჩამომავლობას იმ სახით, რა სახეც თვით დიდებულს პოეტს მიუცია. შესაძლებელია, ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშვილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩვენი მწერლები, მაგრამ მაინც არავისა აქვს უფლება, მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და, მითუმეტეს, დაამახინჯოს. ამას მოითხოვს, სხვათა შორის, ენათმეცნიერების ინტერესი და თვით დიდებული პოეტის პატივისცემა. ამის საფუძველზე ბარათაშვილის ლექსები დაიბეჭდა სრულის სისწორით და თანხმობით თვით პოეტის ხელთნაწერებთან“ (კარიჭაშვილი 1895:14). ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ეს გამოცემა (რიგით მეხუთე) თავის წინამორბედებზე უფრო სრულია.

1910 წელს კვლავ გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და წერილები (მეშვიდე გამოცემა). ნიგნში შესულია: პოეტის ბიოგრაფია (კარიჭაშვილი 1910:3-9), ილია ჭავჭავაძის წერილი „ნ. ბარათაშვილი“, რომელშიც პოეტის შემოქმედება განხილული, და ივანე გომართელის „ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია“. ლექსებსა და წერილებს მოსდევს დავით კარიჭაშვილის „შენიშვნები“, „საზოგადო შენიშვნა“ და „ცალკე შენიშვნები“. ეს ახალი გამოცემა ითვალისწინებს პოეტის ლექსების ხუთ ავტოგრაფს. ესენია: 1. ექვთიმე თაყაიშვილის, 2. ბარბარე ვეზირიშვილის; 3. ვალერიან გუნიას; 4. გრ. ორბელიანის და 5. მაიკო ორბელიანისეული ხელნაწერები. მათი მოკლე აღწერილობა დავით კარიჭაშვილმა „შენიშვნებში“ წარმოადგინა. „საზოგადო შენიშვნაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელწერასა და ორთოგრაფიულ თავისებურებებზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ მან გამოცემაში პოეტის ხელწერა თანამედროვე მართლწერას შეუსაბამა. „ცალკე შენიშვნებში“ აღნიშნულია ვარიანტული სხვაობანი



ავტოგრაფებს შორის და მოცემულია ზოგიერთი უთარილო ლექსისა და წერილის სავარაუდო დათარიღება. მაგ. დავით კარიჭაშვილს ეკუთვნის დათარიღება შემდეგი ლექსებისა: „შევიშრობ ცრემლსა“ — 1843; „ძია გ-სთან“ — 1836; „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ — 1845. წერილები: ზაქარია ორბელიანისადმი (წერილი XI) — 1844 წლის მარიამობისთვის და მაიკო ორბელიანისადმი (წერილი XIII) — 1845 წ.

ეს დათარიღებანი შემდგომმა გამოცემებმაც გაიზიარეს.

დავითმა 1916 წელს ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავში მიაკვლია ნიკოლოზ ბარათაშვილის დაუბეჭდავ ლექსს „ელენეს და მარიამს“ (ლექსი გამოქვეყნდა იმავე წელს „სახალხო ფურცელში“, №728).

1919 წელს კიდევ ერთხელ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, ამჯერად მოსწავლეთათვის. წიგნს დართული აქვს ფოტო წარწერით „ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება ტფილისში“. ლექსებს წინ უძღვის პოეტის ბიოგრაფია (რედაქტორის მიერ შედგენილი). წიგნის ბოლო ფურცლები ეთმობა „საზოგადო შენიშვნას“, რომელშიც რედაქტორი საუბრობს პოეტის ავტოგრაფში შეტანილ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ცვლილებებზე (ხელნაწერთა ვარიანტულ სხვაობათა აღნიშვნა ამჯერად საჭიროდ აღარ მიიჩნია). ლექსებს ახლავს „სიტყვების განმარტება“, რომელიც მოსწავლეებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენის აღქმაში უთუოდ დაეხმარებოდა.

1903 და 1920 წლებში დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა. ეს გამოცემები ზემოთ უკვე განვიხილეთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს გამოცემები შესრულდა იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე.

1904 წელს ქართველმა საზოგადოებამ ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა კრებული მიიღო (წიგნში შესულია მწერლის დაუმთავრებელი მოთხრობებიც). გამომცემელმა, დავით კარიჭაშვილმა, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებს

წაუმიძღვარა მწერლის საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფია, რომლის შედგენისას დაეყრდნო იმ მასალებს, რომლებზეც მიუწვდა ხელი. ეს იყო ალექსანდრე ყაზბეგის და მისი ოჯახის შესახებ არსებული დოკუმენტები, მწერლის უბის ნიგნაკები, მისი ჩანაწერები, მიმოწერა, მოგონებანი, ზეპირი გადმოცემები... განსაკუთრებული დახმარება გაუწევია მწერლის ბიძაშვილს, ელისაბედ ყაზბეგს. „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფია“, რომელშიც, ბუნებრივია, მის შემოქმედებაზეც არის საუბარი, ამჟღავნებს ავტორის სურვილს, იყოს რაც შეიძლება ობიექტური და მწერლის ცხოვრებისეული ეპიზოდები წარმოაჩინოს ისე, როგორც ამას ფაქტები კარნახობს.

დავით კარიჭაშვილი „ბიოგრაფიაში“ შეეხო მეტად ფაქიზ თემას — მაშინდელ საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ ეჭვს ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის თაობაზე. იპოლიტე ვართაგავა თავის „მოგონებებში“ წერს: „აღ. ყაზბეგის მოთხრობების ერთტომიან ნიგნს მან (იგულისხმება დავით კარიჭაშვილი — ლ. კ.) წარუმიძღვარა ვრცელი, საბუთიანად შედგენილი ბიოგრაფია. სხვათა შორის, აქ მან პირველად გამოთქვა ეჭვი აღ. ყაზბეგის ავტორობის შესახებ იმ მოთხრობებისა, რომლებიც მას მიეწერება. როგორც ვიცით, დიდი ხნის შემდეგ კარიჭაშვილის ჰიპოთეზა უტყუარ ფაქტად აღიარა მიხეილ ზანდუკელმა“ (ვართაგავა 1962:250). ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება. დავით კარიჭაშვილმა კი არ გამოთქვა მანამდე არარსებული ეჭვი ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ, არამედ მან, როგორც ობიექტურმა მკვლევარმა, ბიოგრაფმა და გამომცემელმა, აღნიშნა საზოგადოებაში უკვე გავრცელებული აზრი, ხომ არ ეკუთვნოდა აღნიშნული თხზულებანი დიმიტრი ყაზბეგს?!

პირადად დავით კარიჭაშვილს ეს ეჭვი უსაფუძვლოდ მიაჩნდა. იგი წერდა: „ის გარემოება, რომ ალექსანდრე ყაზბეგი თავის ნაცნობებზე ახდენდა ფუქსავატის და განუვითარებელის კაცის შთაბეჭდილებას, სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო კარგი მოთხრობების დაწერა... იმას

ჰქონდა მხატვრობის ნიჭი, ცოდნა და სიყვარული თავის ქვეყნისა და ხალხისა და საკმაოდ განვითარებული ჭკუა-გონება“ (კარიჭაშვილი 1905:XXXIII).

უეჭველია, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა გამოცემა სასიამოვნო საჩუქარი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის. დიდ ინტერესს იწვევდა მწერლის ბიოგრაფიაც. როგორც დავითის არქივში დაცულ ერთ წერილშია ნათქვამი, წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა (ნათაძე ხელნაწ. 4469).

1910 და 1914 წლებში დავით კარიჭაშვილმა გამოსცა „ხუცური ანბანი“. წიგნში შესულია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი „წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“, აგრეთვე წერილები: „ქართული ლექსიკონი“ და „ქართული ანბანის წარმოება და განვითარება“ (რაც ჩვენს ნაშრომში უკვე მიმოვიხილეთ). ეს გამოცემები დიდხანს რჩებოდა ერთადერთ სახელმძღვანელოდ პალეოგრაფიაში.

დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით განხორციელდა ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ მეორე გამოცემა (1917). ალექსანდრე ხახანაშვილმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო წიგნის გადამუშავება და მომზადება მეორე გამოცემისათვის. დავითი შეეცადა ნაშრომი კიდევ უფრო სისტემური გაეხადა და გარკვეული ცვლილებები შეიტანა გარეგნული თვალსაზრისით. „რედაქტორის შენიშვნაში“ ნათქვამია: „ჩვენ შევიტანეთ ზოგიერთი შესწორება: ენას გავკარით შალაშინი, ფაქტიური შეცდომები შევასწორეთ, ბიოგრაფიებს გამოვაკელით წვრილმანი ცნობები და, რაოდენადაც შეიძლებოდა, მივეციტ ერთგვარი სისტემა. აქა-იქ შევცვალეთ რიგი, რომელზედაც მისდევდა მწერალთა გარჩევა და ტექსტიდან ჩამოვიტანეთ სხოლიოში შენიშვნების სახით მეტისმეტად მოკლე ცნობები ზოგიერთი მწერლის შესახებ. თვით შინაარსი და წერის ხასიათი ხელშეუხებელი დავტოვეთ“ (კარიჭაშვილი 1917:2).

დავით კარიჭაშვილი ხშირად ეხმაურებოდა ახალი წიგნების გამოცემას და გარკვეულ შეფასებას აძლევდა მათ. იგი

გამომცემლებს მოუწოდებდა დაეცვათ მწერლის ენა, სტილი. ფიქრობდა, რომ განსაკუთრებით აუცილებელი იყო მართლწერის ნესების დაცვა საყმანვილო ჟურნალებსა და წიგნებში. დავითმა პირუთვნელად შეაფასა თედო ჟორდანიას მიერ გამოცემული წიგნი „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები“ (1903). წიგნში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალები დავით გარეჯის, სვეტიცხოვლის, მანგლისის, ალავერდის, წილკნის და ნინოწმინდის ტაძრებისა. რეცენზენტმა აღნიშნული შრომა იმ კრიტერიუმების მიხედვით განიხილა, რომლებსაც ისტორიული დოკუმენტების გამოცემა უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნებია:

1. ტექსტის უცვლელად, ხელუხლებლად დაბეჭდვა (გამომცემლის შენიშვნები სქოლიოში უნდა იყოს მითითებული);

2. მონაცემები დოკუმენტის შესახებ (მასალა, ზომა, ფორმა, ხელი, კუთვნილება...);

3. დოკუმენტების ქრონოლოგიური რიგით დალაგება.

რეცენზენტი თედო ჟორდანიას ნაშრომს სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს და ცხადყოფს, რომ იგი, სამწუხაროდ, არცერთ ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. უთარილო დოკუმენტების თედო ჟორდანიასეული (მიახლოებითი) მოსაზრება სადავოა. უამრავია კორექტურული შეცდომა, რაც ტექსტების სწორ აღქმას კიდევ უფრო ართულებს. „ძველის დოკუმენტების ბეჭდვაში დაუდევრობა და აჩქარება ყველაზე დიდი ნაკლულოვანებაა, — წერდა დავით კარიჭაშვილი, — ბატონის ჟორდანიას მიერ ახლად გამოცემული დოკუმენტები სამეცნიერო მნიშვნელობას არიან მოკლებულნი და ხელახლა დასაბეჭდია“. თუმცა დასძენდა, რომ თედო ჟორდანიას შრომას, თუნდაც როგორც ისტორიული დოკუმენტების პირველ გამოცემას, თავისი მნიშვნელობა მაინც ჰქონდა (კარიჭაშვილი 1904:122-23).

სასკოლო სახელმძღვანელოები დავით კარიჭაშვილის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო — ქ.შ.წ./კ. გამავრ-

ცვლებელი საზოგადოების 1900 წლის 12 დეკემბრის სხდო-  
მაზე მან წარადგინა მოხსენება საქართველოს ისტორიისა  
და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგე-  
ნა-გამოცემის თაობაზე. ექვთიმე თაყაიშვილსა და გრიგოლ  
ყიფშიძესთან ერთად, მასვე დაევალა ამ სახელმძღვანელო-  
ებში შესატანი თხზულებების შერჩევა.

„დავით კარიჭაშვილი მეტად ფრთხილად, დიდი პასუხის-  
მგებლობით და სიყვარულით ეკიდებოდა ქართული წიგნის  
გამოცემის საქმეს და ასევე სერიოზულ დამოკიდებულებას  
მოითხოვდა ამ საქმისადმი სხვისგანაც“, — შენიშნავს ტექს-  
ტოლოგი ეთერ შარაშენიძე, რომელმაც დავით კარიჭაშვილი  
შეაფასა ქართველ რედაქტორ-გამომცემელთა შორის ერთ-  
ერთ კვალიფიციურ და თვალსაჩინო მოღვაწედ (შარაშენიძე  
1971:145).

## თავი V

### დავით კარიჭავჭილის საისტორიო პუბლიკაციები

ქ.შ.ნ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მოსახლეობის ფართო მასებში განათლების შეტანა იყო. არა მხოლოდ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი, არამედ მოსახლეობის ყველა ფენა მეტ-ნაკლებად უნდა გათვითცნობიერებულიყო საქართველოს სულიერი მემკვიდრეობის, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებში.

XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან დაიწყო საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ამ სფეროში მანამდე ერთგვარი სიცარიელე იგრძნობოდა. 1893 წელს გრიგოლ უმნიფარიძე გულისტკივილით წერდა: „არაფერი ისე არ ამტკიცებს ჩვენს დაძაბუნებასა და დავრდომილებას, როგორც ის გარემოება, რომ აქამდის არ მოგვეძევება არც ერთი სისტემატური და მეტ-ნაკლებ ისტორიული კრიტიკის ცეცხლში გატარებული მოთხრობა იმის შესახებ, თუ რანი ვყოფილვართ, როგორ გამოგვივლია გასულ საუკუნეთა გრძელი მანძილი... რა აზრი, რა პრინციპები, რა კულტურული მიმდინარეობა და გავლენა იყო ჩვენს წარსულში, რით ვსულდგმულობდით, რა გვზრდიდა, რას ვებრძოდით, რას ვიცავდით ან ჩვენთვის ან კაცობრიობისთვის? ყველაფერი წყვედადითაა მოცული. უისტორიოდ, ჩვენი კულტურის შეუსწავლელად განა შეგვიძლია, რომ ევროპის წინაშე ხმა ამოვიღოთ და ვახსენოთ ჩვენი სახელი? განა უპასპორტოდ მოსიარულეს მანანწალას, ველურს არ დაგვიძახებენ?“ (უმნიფარიძე 1893:20).

ამ ნაკლოვანებას, რასაკვირველია, ყველა გრძნობდა და, როგორც სხვა არაერთი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, დავით კარიჭაშვილიც ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა მდგომარეობის გამოსწორებაში. მისი მუშაობა ამ კუთხით XIX ს-ის 90-იან წლებში დაიწყო. იგი საქართველოს ისტორიას იკვლევდა, სწავლობდა და აქვეყნებდა ძირითადად მარტივი, უბრალო სასაუბრო ენით დანერილ სტატიებს იმ განზრახვით, რომ სოციალურად ყველაზე დაბალ ფენებსაც დაუბრკოლებლად მიეღოთ ინფორმაცია და გარკვეული წარმოდგენა შეჰქმნოდათ თავიანთი ქვეყნის წარსულის შესახებ.

1892 წელს „საქართველოს კალენდარში“ გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის ორი წერილი: „თამარ მეფე“ და „დავით აღმაშენებელი“. ამის შემდეგ სხვადასხვა გამოცემაში მუდმივად ბეჭდავდა ისტორიული ხასიათის წერილებს. თანამშრომლობდა საყმაწვილო ჟურნალებთან: „ჯეჯილი“, „ნაკადული“ „ნაკადული მოზრდილთათვის“; ამ ჟურნალებში 1904-6 წლებში გამოქვეყნდა წერილების სერია, რომელშიც ყმაწვილთათვის გასაგები ენით მოთხრობილია საქართველოს ისტორია დანყებული წინაქრისტიანული ხანიდან („ქართველები უძველეს დროში“; „საქართველო ფარნაოზის შემდეგ ქრისტიანობის გავრცელებამდე“; „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“; „მეფე ვახტანგ გორგასალი და მისი შემდეგი დრო“; „საქართველო არაბთა მფლობელობის დროს“ და სხვა...), დამთავრებული საქართველოს სამხედრო ანექსიით რუსეთის მიერ.

1892 წელს ცალკე წიგნაკად გამოიცა დავით კარიჭაშვილის ისტორიული ნარკვევი „თამარ მეფე“. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო არა მეცნიერული გამოკვლევა, არამედ ჩვენს საისტორიო წყაროებზე დაყრდნობილი თხრობა თამარ მეფისა და მისი მმართველობის შესახებ, იმ დროისათვის მეტად საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი წიგნის გამოცემა. „სანამ მეცნიერულ საფუძველზედ მტკიცედ აგებულს ისტორიულს სალაროს გავიჩენდეთ, — წერდა წიგნის რეცენზენტი გრიგოლ

უმნიფარიძე, — მანამდე ის მაინც უნდა გავაგებინოთ ქვეყანას და მეტადრე ჩვენს საზოგადოებას, რაც უკვე ვიცით. სადაც არ იყოს, ცოტაც კმარიყოსო. ამიტომ, დიალ, მოსაწონია, მცირეც არის, ცდა იმ სიბნელის გასაფანტავად, რომლითაც მოცულია ჩვენი ხალხი თავისი წარსულისა და ვინაობის შესახებ ამჟამად“ (უმნიფარიძე 1893:20).

რეცენზენტი გაგებით მოეკიდა დავით კარიჭაშვილის ნაშრომის საგანგებოდ გამარტივებულ ენასაც.

„თამარ მეფის“ შემდეგ ასევე ცალკე წიგნაკებად გამოიცა დავით კარიჭაშვილის ამავე ტიპის ნაშრომები: „როსტომ მეფე“ (1894); „სვიმონ მეფე“ (1894); „საქართველო XII საუკუნეში“ (1902). ეს უკანასკნელი, გარდა ძველი საისტორიო წყაროებისა, იმ სიახლეებსაც ითვალისწინებდა, რომელნიც ალექსანდრე ხახანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას და სხვათა კვლევის შედეგად გახდა ცნობილი.

1907 წელს წიგნად გამოიცა დავით კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორია“, I ნაწილი. ნაშრომი მოიცავს 169 გვერდს, შედგება 18 თავისაგან. თხრობა იწყება ძველი წელთაღრიცხვის დროიდან („ქართველები უძველეს დროში“) და წყდება XVIII საუკუნის ამბებით „საქართველოს დანაწილება“. როგორც ჩანს, ამ წიგნით ავტორმა განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და საისტორიო წყაროებსა და იმ დროისათვის მის ხელთ არსებულ ახალ მასალებზე დაყრდნობით მკითხველს მოკლედ და სადა ენით მოუთხრო საქართველოს ისტორია XVIII საუკუნემდე.

უნდა ითქვას, რომ დავით კარიჭაშვილის ამ ნაშრომს საკმაოდ კრიტიკული შეფასება მოჰყვა. ერთ-ერთი რეცენზენტი, „ცანი“ (ონისიმე ცერცვაძე), დავით კარიჭაშვილს საყვედურობს, რომ წიგნში მოცემული არ არის საქართველოს გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული დახასიათება, არაფერია ნათქვამი ქართველი ერის უძველეს კულტურაზე, ხელოვნებასა და მეზობელ ერებთან ურთიერთობაზე. ნაშრომში გამოტოვებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტები, როგორებიცაა: ან-





*დავით კარიჭაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სერგი გორგაძე და სხვანი*

დრია მოციქულის მიერ ქრისტიანობის ქადაგება საქართველოში; ასურელ მამათა შემოსვლა, არაბთა მიერ არჩილ მეფის, აგრეთვე დავითისა და კონსტანტინეს წამება. დასასრულ, რეცენზენტი დასძენს, რომ „მეფეებისა და ომების მშრალი ისტორია ვერ აღძრავს ვერავითარ ინტერესს ვერც მკითხველში და ვერც მოსწავლე ახალგაზრდობაში“ (ცანი 1908:11). როგორც ჩანს, ეს შეხედულება არ იყო ერთადერთი დავით კარიჭაშვილის ნაშრომზე. ყოველ შემთხვევაში, წერილს დართული შენიშვნიდან ირკვევა, რომ გაზეთ „ფარის“ რედაქცია არ იზიარებდა რეცენზენტის კატეგორიულ ტონს.

ნიგნის მეორე რეცენზენტმა, „გაკიცხულმა“, უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ეს „ისტორიაც შედგენილია უკვე ცნობილი სახელმძღვანელოების მსგავსად და წარმოადგენს მემატიანის მოთხრობის კონსპექტურ აღნუსხვას... ნაშრომში არ ჩანს ისტორიული პერსპექტივა, თანდათანობით განვითარება ეკონომიური და იურიდიული წესწყობილებისა“, და, რაც მთავარია, „გაკიცხული“ დავით კარიჭაშვილს

შეცდომად უთვლის ფარნავაზ მეფის, როგორც ქართული მნიგნობრობის შემომღების, ვახტანგ გორგასლის ძლევამოსილი ლაშქრობების და წმინდა ნინოს სასწაულების შესახებ საუბარს და მიუთითებს, რომ „სახელმძღვანელოში ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ჩვენი დროის მეცნიერულად გამოკვლევაზე არიან დამყარებულნი. საეჭვო ცნობები უნდა გაიდევენონ“ (გაკიცხული 1908:165).

რეცენზენტი საფუძვლიან შენიშვნებს გამოთქვამს ზოგიერთი ფრაზის, როგორც თვითონ უწოდებს, „სტილისტიურის მოქცევისა“ და ენის გამარტივებისა თუ გახალხურების მიზნით სიტყვათა არასწორი ფორმების ხმარების გამო.

დავით კარიჭაშვილი შეეცადა დაეცვა თავისი ნაშრომი და „გაკიცხულს“, რომელიც ისტორიის ზღაპრულად მოთხრობას და მეცნიერულ დაუსაბუთებლობას საყვედურობდა, არგუმენტად წარუდგინა ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შედგენილი და 1900 წელს პარიზში გამოცემული „საქართველოს ისტორია“, რომელიც იმ დროისათვის მიჩნეული იყო ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სამეცნიერო ნარკვევად საქართველოს ისტორიაში. დავითი სრულ ნდობას უცხადებდა ალექსანდრე ხახანაშვილს, როგორც თანამოაზრესა და ავტორიტეტულ მეცნიერს და აღნიშნავდა: „თუ ჩვენ მოვახერხეთ და დავამტკიცეთ, რომ ჩვენს ისტორიაში არა გვაქვს შეტანილი არავითარი ისეთი ფაქტი, რომელიც არ ჰქონდეს სარწმუნოდ მიღებული მოხსენებულს ავტორიტეტს, ამით დამტკიცებული იქნება რეცენზენტის უსაბუთობაც“ (კარიჭაშვილი 1908:158).

საქართველოს ისტორიის „საეჭვო ცნობებთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის პირველი ათწლეულიდანვე თავი იჩინა შემდეგმა ტენდენციამ: დაიწყო ქართული საისტორიო წყაროების ერთგვარი გადაფასება. მკვლევართა უმრავლესობა უნდობლობით განიმსჭვალა ჩვენი მათიანეებისადმი. „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ნაწილობრივ ზღაპრადაც კი შერაცხეს. ამ ნიადაგზე გამონვეული აზრთა სხვადასხვაობა (რაც ზემო-


აღნიშნულ რეცენზიაშიც გახმაურდა) კარგად ჩანს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმებიდან. დავით კარიჭაშვილის ერთ-ერთმა რეფერატმა, „საქართველოს წარმართი ღმერთები ჩვენს მატიანეში“ (რომელიც წინა თავში მიმოვიხილეთ), გამოიწვია კამათი იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა მკვლევარს მატიანის მიმართ და უნდა დაყრდნობოდა თუ არა მას მეცნიერული კვლევისას. მეცნიერთა აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ შედგენილია არა უადრეს XI საუკუნის II ნახევრისა, ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ — არა უადრეს X საუკუნისა და, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია X-XI საუკუნეების მწერალს რამე რეალური, სარწმუნო ცნობა ჰქონდეს ხელთ ძველი ქართული წარმართობის შესახებო (მეტრეველი 1982:229). დავით კარიჭაშვილის პოზიციას, რასაკვირველია, მხარდამჭერნი ჰყავდა. ეს იყო მეცნიერთა მცირე ჯგუფი, რომლისთვისაც ქართულ საისტორიო წყაროებს, მიუხედავად მასში ჩართული სასწაულებრივი ამბებისა, დიდი ეროვნული ღირებულება ჰქონდა.

როგორც ცნობილია, დავითი იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1907-27 — თავმჯდომარის ამხანაგი; საზოგადოების მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგე (1915), თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (1921).

საზოგადოების დაარსების დღესთან დაკავშირებით, ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გაერთიანება უარყო კრებამ ერთადერთი ხმის უმეტესობით. რაკი ასე გადაწყდა, საზოგადოებამ მიიწვია დავით კარიჭაშვილი, დაუნიშნა მას ჯამაგირი და ჩააბარა მუზეუმის გამგებლობა. ყველა შესაძლო კანდიდატთა შორის კარიჭაშვილი, რა თქმა უნდა, უპატიოსნესი და უსანდოესი იყო. მანაც უცხო აღარავინ გაურია საქმეში, მოიყვანა

თავისი კარგი ქალიშვილები და ასე ოჯახურად შეუდგნენ მუშაობას“ (თაყაიშვილი 1968:343).


დავით კარიჭაშვილი ხშირად უძღვებოდა საზოგადოების კრებებს, მონაწილეობდა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში, კითხულობდა მოხსენებებს. ამ მოხსენებათაგან გამოქვეყნებულია: „ვინ არის „კალმასობის“ ანუ ხუმარსნავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი“; „ქართული ნიგნის ბეჭდვის ისტორიიდან“; „საქართველოს წარმართი ღმერთები ჩვენს მატიანეში“; „ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი“ და „დავით დიდი კუროპალატის გენეალოგია“. ეს ნარკვევები, გარდა უკანასკნელისა, ნაშრომის წინა თავში მიმოვიხილეთ. რაც შეეხება მოხსენებას „დავით დიდი კუროპალატის გენეალოგია“, დავითმა ის საზოგადოებას 1907 წლის 20 ნოემბერს წარუდგინა. იგი შეეცადა გაერკვია დავით კურაპალატის გამეფებისა და გარდაცვალების თარიღები. ვახტანგის რედაქციის „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიის“ მიხედვით, დავით კურაპალატის გენეალოგია ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:



ამ მონაცემებზე დაყრდნობით მარი ბროსე და დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდნენ, რომ დავით კურაპალატი არის სუმბა-

ტის შვილიშვილი და ადარნასეს შვილი, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მონაცემები წინააღმდეგობას ქმნიდა ქრონოლოგიის თვალსაზრისით. დიმიტრი ბაქრაძე „ქართლის ცხოვრების“ ცნობას, რომ დავით კურაპალატი 983 წელს გამეფდა ტაოში, საეჭვოდ მიიჩნევდა იმ მოტივით, დავით კურაპალატი — იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით — უფრო ადრე ჩანს მეფედ.

დავით კარიჭაშვილმა შენიშნა, რომ მარი ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ თეიმურაზის ვარიანტიდან ჩართულია ცნობები ბაგრატიონთა შთამომავლობის შესახებ, რომლებშიც დავით კურაპალატის გენეალოგია სხვანაირად არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში სქემა ასეთ სახეს იღებს:



იქვე ნათქვამია, რომ „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კუროპალატისა, ძმა ბაგრატ რეგვენისა ქორონიკონის სგ (ე.ი. 983 წელს) და ძე მცირე დავით დაუტევა“ (ქართლის ცხოვრება 1899:290). როგორც ვხედავთ, პირველ სქემაში დავით კურაპალატად წარმოდგენილი პირი აქ დავით მცირედ არის დასახელებული.

გამოდის, რომ ყოფილა ორი ადარნასე კურაპალატი, ერთი სუმბატ კურაპალატის შვილი, მეორე ბაგრატ მაგისტროსისა, ერთის ვაჟსაც დავითი ერქვა, მეორისასაც. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი დავითი, სუმბატის შვილიშვილი, წოდებულია დავით მცირედ, ხოლო მეორე — ბაგრატ მაგისტროსის შვილიშვილი — დავით კურაპალატად.

„ამ ორი დავითითგან, — წერდა დავით კარიჭაშვილი, — ცხადია, ჩვენი დავით კუროპალატი არის შვილიშვილი ბაგრატ მაგისტროსისა და არა სუმბატ კუროპალატისა, რადგან ამ უკანასკნელის შვილიშვილი არც კუროპალატად არის მოხსენებული და არც სრულწლოვნად არის ცნობილი 983 წელს, ამიტომაც ეწოდება „მცირე“ (კარიჭაშვილი 1909:32).

დავითის აზრით, „ქართლის ცხოვრების“ ის ნაწილი, რომელშიც დავით კურაპალატის გენეალოგია არასწორად არის წარმოდგენილი, შეტანილია ვახტანგის რედაქციიდან XVIII საუკუნეში. შეცდომა კი გამოიწვია იმან, რომ „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის რედაქტორს (ან გადამწერს) ერთმანეთში აურევია დავით „მცირე“, ადარნასეს შვილი (სუმბატის შვილიშვილი) და დავით დიდი, ადარნასეს შვილი (ბაგრატის შვილიშვილი).

დავითი იქვე მიუთითებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მარი ბროსესეულ გამოცემაში თეიმურაზის ვარიანტიდან ჩართული ცნობა დავით კურაპალატის გენეალოგიის შესახებ აღებულია სუმბატის ქრონიკიდან, რომელიც მთლიანად შესულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტში.

ასე რომ, დავით კურაპალატის გენეალოგიაზე ცნობებს გვანჯდის, ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის „რედაქტორ-შემავსებელი“ და, მეორე მხრივ, XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატი. დავით კარიჭაშვილი პრიორიტეტს, რაღა თქმა უნდა, სუმბატის ქრონიკას ანიჭებს და აცხადებს, რომ ვახტანგის რედაქციის „ქართლის ცხოვრებაზე“ დაფუძნებული გენეალოგია დავით კურაპალატისა მცდარია და უნდა მივიღოთ მხოლოდ სუმბატის ქრონიკაში მოცემული გენეალოგია.

მრავალრიცხოვანია იმ ისტორიულ საკითხთა ნუსხა, რომელზეც დავით კარიჭაშვილი მუშაობდა. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, იგი დაინტერესებული ყოფილა გიორგი სააკაძის პიროვნებითა და მისი ისტორიული როლით. არქივში დაცულია დაუმთავრებელი ნაშრომი „სიკვდილი დიდის

მოურავის გიორგი სააკაძისა“ (კარიჭაშვილი ხელნაწ. 4246). (როგორც ჩანს, ხელნაწერს ბოლო ფურცლები აკლია). აქ გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, სათავე იმ უარყოფითი დამოკიდებულებისა და ბრალდებებისა, რომელთაც გიორგი სააკაძეს უყენებდნენ ქართველი (ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ I, პ. იოსელიანი) და უცხოელი (ჟ. შარდენი, მ. ბროსე) მკვლევარები, არის XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ თურაზელის „სომხეთის ისტორიაში“ შემონახული ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ.

გიორგი სააკაძესთან დაკავშირებული მასალების სიუხვე გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მკვლევარს მის შესახებ ვრცელი ნარკვევის დაწერაც ჰქონდა განზრახული.

დავით კარიჭაშვილი ავტორია არაერთი სარეცენზიო წერილისა, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიულ ნაშრომს მიეძღვნა. თავის დროზე მან მხარი დაუჭირა ჟურნალ „მწყემსის“ რედაქციის ინიციატივას, „სახალხო საკითხავად“ გამოეცა ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრების ამსახველი ბროშურები. 1894 წელს დაიბეჭდა „წმ. დიდი მონამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი“ (ქუთაისი). ამ პატარა წიგნის რეცენზიაში დავითმა, გარდა იმისა, რომ აღნუსხა ფაქტობრივი შეცდომები, საყურადღებო შენიშვნები გამოთქვა ნაშრომის ენის შესახებ. მაგ. შემდეგ სტრიქონთან დაკავშირებით: „წმინდა დიდი მონამე ქეთევანი იყო ასული აბოთისა, მფლობელი თავადის ბაგრატიონ-მუხრანსკისა...“, დავით კარიჭაშვილი შენიშნავდა, რომ (ჯერ ერთი სწორი ფორმაა არა აბოთი, არამედ აბოთანი) „მფლობელი თავადი“ ქართული წყაროებისთვის უცხო წოდებაა, იგი გადმოთარგმნილია რუსულიდან. აგრეთვე არასწორია, ვსაუბრობდეთ XVI-XVII საუკუნეების ამბებზე და ვამბობდეთ: „ბაგრატიონ-მუხრანსკები“. მუხრან-ბატონების შთამომავლები მხოლოდ XIX საუკუნიდან მოიხსენიებიან ბაგრატიონ-მუხრანსკებად. „საუბედუროდ, ასეთი შეცდომა მარტო წიგნაკის ავტორს არ მოსვლია. ხშირად ჩვენს სხვა ისტორიკოსებსაც მოსდით ასეთი მიუტევე-

ბელი შეცდომა. მაგ. პლ. იოსელიანს, დ. ფურცელაძეს და ზოგიერთ სხვებს, ასე გასინჯეთ ალ. ხახანაშვილსაც კი. განა ახლა რომ გვარებს ვამახინჯებთ არ კმარა, რომ ჩვენს წინაპრებსაც არ დაუვამახინჯოთ?“ (კარიჭაშვილი 1895:84). წიგნის გამომცემლებს იგი ყოველთვის მოუწოდებდა მეტი ყურადღება მიექციათ, როგორც წიგნის „შინაგანი ღირსებობა“, ასევე ენის სისწორისათვის.

1894 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოიცა „ბაგრატ IV-ის სიგელი“ ექვთიმე თაყაიშვილის კომენტარებითურთ. სიგელის ქართულ ტექსტს ახლავს რუსული თარგმანი და ისტორიულ-პალეოგრაფიული ხასიათის განმარტებები ექვთიმე თაყაიშვილისა; წარმოდგენილია სიგელის ასლიც.

დავით კარიჭაშვილმა ექვთიმე თაყაიშვილის ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა. სარეცენზიო წერილში იგი შენიშნავდა, რომ სიგელი ისტორიული თვალსაზრისით რაიმე სი-ახლეს არ შეიცავს და უფრო მეტად საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისით. დაწერილია მხედრულით, რომელიც ჯერ ბოლომდე არ გამიჯვნია ხუცურს. ამის გამო ტექსტის უშეცდომოდ ამოკითხვა საკმაოდ რთულია და დიდ ყურადღებას და გამჭრიახობას მოითხოვს. ექვთიმე თაყაიშვილმა კი ამ სამუშაოს მშვენივრად გაართვა თავი.

დავითი წერდა: „თუ რამდენად ძნელი ყოფილა ამ ნაწერის გარჩევა და რამდენად უშრომნია ბ-ნ თაყაიშვილს ძველის ნაწერის გასარჩევად, ეს სჩანს შემდეგიდან. იგივე სიგელი დაბეჭდილი აქვს ბ-ნ-ს ჟორდანიას თავის „ქრონიკებში“. ამ ორს არხეოლოგს თითქმის ერთსა და იმავე დროს ნაუკითხიათ, ცალ-ცალკე, ცხადია, ეს ძველი სიგელი. ამიტომ მათის ნაკითხულის ერთმანეთთან შედარებით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თვითეულის მათგანის დახელოვნება ძველის ნაწერების კითხვაში. შედარებამ დაგვანახა, რომ ბ-ნ თაყაიშვილს ნაუკითხია ხსენებული სიგელი თითქმის უშეცდომოდ და გადმოუწერია შესანიშნავის სისწორით“ (კარიჭაშვილი 1895:81).



რეცენზენტი მხოლოდ ორ შემთხვევაში სთავაზობს მას კორექტურას. ექვთიმე თაყაიშვილი კითხულობს: „ბურცუ-ის ჯვარს“, დავითი ფიქრობს, რომ უნდა იკითხებოდეს „ბორცვის ჯვარი“; ექვთიმე თაყაიშვილი კითხულობს: „ვინცა ჰნახოთ“, დავითის აზრით, სიგელში წერია „ვინცალა ნახოთ“.

დასასრულ, რეცენზენტი გამოთქვამდა სურვილს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოძიებული ისტორიული და არქეოლოგიური მასალები ადგილობრივ გამოცემებში ქართულ ენაზეც დაბეჭდილიყო, რათა ქართველი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

დავით კარიჭაშვილმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ალექსანდრე ფრონელის წიგნის — „მთიულეთი, 1804“ — გამოცემას, რომელშიც ვრცლად არის გადმოცემული 1804 წლის მთიულეთის აჯანყებასთან დაკავშირებული ამბები. მაშინდელი მწირი ისტორიული ნარკვევების ფონზე ალექსანდრე ფრონელის წიგნი, მართლაც, საინტერესო შენაძენი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. დავითი სიამოვნებით აღნიშნავდა იმასაც, რომ წიგნი დანერვილია კარგი ქართულით, რაც არც ისე ხშირი მოვლენა იყო მაშინდელ მწერლობაში. იგი საჭიროდ მიიჩნევდა აღწერილიყო ჩვენი ისტორიის ის მონაკვეთი, როდესაც საქართველო რუსეთმა დაიპყრო ანუ შესწავლილიყო ის წინაპირობები, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადა 1804 წლის და სხვა აჯანყებებს საქართველოში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ. „ეს ნაკლი, იმედია, შევსებული იქნება მაშინ, როდესაც „მთიულეთის“ ავტორი დაბეჭდავს თავის დაპირებულს თხზულებას „საქართველოს ვიცე-კანცლერი — სოლომონ ლეონიძე“, — იმედოვნებდა მკვლევარი (კარიჭაშვილი 1896:92).

დავითს უყურადღებოდ არ დარჩენია 1896 წელს თბილისში გამოცემული წიგნი „Картина Грузии, или описание политического состояния царствъ картлинского и кахетинского“, რომლის ავტორია რუსი მოხელე ბურნაშოვი (და-

წერილია 1786 წელს. პირველად დაიბეჭდა 1793 წელს ქალაქ კურსკში, რომლის გუბერნატორიც იყო ავტორი). ბურნაშოვი საქართველოში ცხოვრობდა 1783-87 წლებში. იგი სამხედრო პირი იყო. წიგნი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს ამ რუსი მოხელის თვალთ დანახული ქართლ-კახეთის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, სამხედრო მომზადების დონე, ერეკლე მეფის ოჯახი, ქართველების ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ, რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის მოტივაციაზე და სხვა. ავტორი მოგვითხრობს საკმაოდ მიუდგომლად, გვანჯდის ფაქტობრივ ცნობებს და არც მისი მოსაზრებებია ინტერესმოკლებული, ამდენად, როგორც დავით კარიჭაშვილი აღნიშნავს, წიგნს გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს.

მკვლევარმა განიხილა აგრეთვე მ. პლოხინსკის ნაშრომი „Поселение грузинь в малоросии во XVIII в.“ (1893). როგორც ავტორი მიუთითებს, ნაშრომი ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს. წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში აღწერილია ქართველთა დასახლება მალოროსიაში, მთავრობის მიერ მათთვის მიწების დარიგება, ხოლო მეორე ნაწილში საუბარია ქართველთა და ადგილობრივ მკვიდრთა ურთიერთობის შესახებ.

რამდენად ობიექტური იყო პლოხინსკი ამ საკითხების წარმოჩენისას, ჯეროვნად ისარგებლა თუ არა მან არქივის დოკუმენტებით, ამის განსაზღვრა, როგორც დავით კარიჭაშვილი წერდა, ქართულ მხარეს არ შეეძლო, რადგანაც იმ დროისათვის აღნიშნული დოკუმენტები გამოქვეყნებული არ იყო. მკვლევარი იმედოვნებდა, რომ ამ საკითხების შესწავლა მომავალშიც გაგრძელდებოდა.

დავითის ისტორიული ნაშრომების გვერდით უნდა დავასახელოთ მისი საინტერესო ნარკვევიც „წიგნის ისტორია“, რომელიც 1903 წელს გამოიცა. „წიგნის ისტორია“ იწყება იმ

ხანიდან, როდესაც ადამიანები თავიანთი აზრების წერილობით გამოსათქმელად საგნებისა და ცხოველთა სურათებს იყენებდნენ. შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ გაჩნდა იეროგლიფები, სოლისებრი დამწერლობა, ასო-ნიშნების პირველი ნიმუშები ფინიკიელებში. მკვლევარი ზოგადად მიმოიხილავს კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპებს, როდესაც საწერ მასალად იყენებდნენ ქვას, ხეს, მეტალს, თიხას, პაპირუსს, ეტრატს და, დასასრულ, ქალღვრს. გვიამბობს, როგორ იქმნებოდა ხელნაწერი წიგნები და, ბოლოს, როგორ შექმნა გერმანელმა იოანე გუტენბერგმა პირველი ნაბეჭდი წიგნი — ელიუს დანატის ლათინური გრამატიკა, რომელიც 1450 წელს დაიბეჭდა. 1500 წლამდე წიგნის ბეჭდვა მთელ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა. რუსეთში პირველი სტამბა 1553 წელს გაიხსნა, საქართველოში — 1709 წელს. აქვე მოკლედ მოთხრობილია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (როგორც ცნობილია, ამ საკითხს დავით კარიჭაშვილმა ცალკე წიგნი მიუძღვნა: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“).

„წიგნის ისტორია“ დღესაც ინტერესით იკითხება.

დავით კარიჭაშვილის ისტორიული ნაშრომების, სარეცენზიო წერილებისა თუ სტატიების უმრავლესობა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის საწყის ეტაპს ასახავს. თუმცა აშკარაა, რომ იმ დროისათვის დავითის მიზანდასახულ, ჩვენი ისტორიის პოპულარიზაციისკენ მიმართულ შრომას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა და, რაც ყველაზე მთავარია, დრომ ცხადყო, რომ მისი, როგორც ისტორიკოსის, პოზიცია და ორიენტაცია ღირებულებათა გადაფასების, ახალი „საბჭოური მეცნიერების“ შექმნის იმ გარდამავალ ეტაპზე იყო სწორი, ჯანსაღი და ღრმად გააზრებული.

## ბოლოთქმა

დავით კარიჭაშვილის საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მისი, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის პორტრეტი.

თავისი მოღვაწეობით იგი ძირითადად პრაქტიკოსია. პედაგოგი, ორი დიდი საზოგადოების - ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების - ხელმძღვანელი. მისი ნიჭი და შრომა არ ყოფილა მიმართული მხოლოდ ერთი რომელიმე დარგის თეორიული სიღრმეებისაკენ. შეიძლება ითქვას, მისი ინტელექტუალური ენერგია ერთგვარად განაწილდა ჰუმანიტარული კვლევის სხვადასხვა უბანზე. იგი ცდილობდა თავისი ცოდნისა და ერუდიციის კვალობაზე შეძლებისდაგვარად შემველებოდა ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა თითქმის ყველა მიმართულებას. ყოველ მის ნარკვევში ჩანს საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, სიღრმე, დაკვირვებული თვალი.

დავით კარიჭაშვილი, როგორც მკვლევარი, დამოუკიდებელია. მიუხედავად იმისა, რომ მას უხდებოდა მოღვაწეობა ლიტერატურულ კორიფეთა და დიდ ავტორიტეტთა გვერდით, არ დაუკარგავს თვითმყოფადობა და რიგ საკითხებზე — იქნებოდა ეს ისტორიულ-ლიტერატურული, ან თუნდაც საზოგადოებრივი — თავისი დამოუკიდებელი ხედვა ჰქონდა. იმისდა მიუხედავად, რამდენად გაზიარებულია დავითის ვერსია ამა თუ იმ საკითხზე, ის მაინც შეიცავს საყურადღებო ნიუანსებს, ახლებურ მიდგომას, ანგარიშგასანევ დებულებებს, ასეთებია, მაგალითად, მისი ნარკვევები: „შუშანიკის წამება“; „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“; „როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი“; „ვინ იყო ნიკიფორე ირბახი“ და სხვა.


დავითის ფილოლოგიური ძიების შედეგად საბოლოოდ გადაწყდა „კალმასობის“ ავტორის პრობლემა. გაირკვა „ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი: „ვინ იყო მოზიდან ეპისკოპოსი“, „აშოტ კუროპალატის გენეალოგია“... გამოიკვეთა რუსთველოლოგიური კვლევის ახალი ასპექტები – („ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემები, ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“).

დავით კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „ხუცური ანბანი“ და „ქართული ენის გრამატიკა“ იყო სახელმძღვანელო წიგნები, რომელთაც დროული დახმარება გაუწიეს სპეციალისტებს.

მისი ინიციატივით და ძალისხმევით მოხდა ქ.შ.წ./კ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის აღწერა-კატალოგიზაცია. მისივე ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა დიდი ლექსიკოლოგიური სამუშაო. დავით კარიჭაშვილის არაერთი ნაშრომი, როგორებიცაა „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, „წიგნის ისტორია“ იყო პირველი მონოგრაფიული ცდები ბიბლიოგრაფიაში.

დავითის მიერ განხორციელებული ყოველი გამოცემა („ვეფხისტყაოსანი“, 1903 და 1920 წლები; ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და წერილები, 1895, 1910, [ლექსები] 1919; ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი 1905; ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ [XIX], 1917), რომელთაც წინ დიდი ტექსტოლოგიური სამუშაოები უძლოდა, ხასიათდება პროგრესულობით წინა გამოცემებთან შედარებით.

დავით კარიჭაშვილის საისტორიო ნაშრომებს ჰქონდა სრულიად ნათელი, გამოკვეთილი მიზანი: მას უნდა გაეჩნია ერთგვარი პოპულარიზაცია საქართველოს ისტორიისა. მოსახლეობის ფართო მასები უნდა გარკვეულიყვნენ თავიანთი ქვეყნის ისტორიულ წარსულში და ამისთვის მათ სჭირდებოდათ შესაბამისი ფორმით, მოცულობითა და ენით მიწოდებული ინფორმაცია. ასეთი დატვირთვა აქვს მკვლევრის მიერ შედგენილ „საქართველოს მოკლე ისტორიას“ (1907) და ნარკ-



ვევებს, რომელთაც იგი მუდმივად აქვეყნებდა საყმანვილო ჟურნალებსა თუ სხვა პერიოდულ გამოცემებში.

აღსანიშნავია დავით კარიჭაშვილის მაღალი პიროვნული კულტურა (რაც კარგად ჩანს მის წერით მეტყველებაში); პოლემიკის ღირსეულად წარმართვის უნარი; ჭეშმარიტ ერისკაცთა და ინტელექტუალთა უცთომელი შეფასების ნიჭი. მისთვის უცხო იყო ზედაპირული დამოკიდებულება საქმისადმი.

დავითის თანამედროვენი, რომელთაც მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შეფასება უცდიათ, განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ კეთილსინდისიერებასა და პასუხისმგებლობას, რომლითაც იგი თავის მოვალეობას ასრულებდა.

მისმა პირადმა არქივმა მადლიერების გრძნობით აღსავსე უამრავი წერილი შემოინახა. ამ წერილებში გამჟღავნებული სიყვარული და პატივისცემა უანგარობის, სერიოზულობისა და საზოგადო საქმისთვის თავდადების საზღაურია. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დავითის ცხოვრება-მოღვაწეობა (ისევე, როგორც მისი თაობის არაერთი წარმომადგენლისა) არის შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ ვლინდება პიროვნების პატრიოტიზმი ყველაზე საუკეთესო ფორმით — მისსავე საქმიანობაში, ყოველდღიური შრომით, პატიოსნებით განვლილი გზით, ღირებულებათა გადაფასების ეტაპზე შენარჩუნებული სწორი ორიენტირებით.

სიმონ ჯანაშია წერდა: “ქართველ მკვლევართა კიდევ არაერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არაერთგზის მიმართავს იმ ხიდს, რომელიც დავით კარიჭაშვილის იდეურობითა და ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ.”

მისი სახე იმ სიწმინდით არის დამშვენებული, რომლითაც უფალი გამოარჩევს ღირსეულთ. ასეთი ადამიანები მაგონებენ ძველ ქართულ საყდარს, რომლის კედლები სადა და მღუმარე, მაგრამ საოცრად თბილი და მეტყველია.

## **Merits of David Karichashvili**

David Karichashvili is the representative of greatly deserved generation, who created Georgian public life of the turn of 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries.

He was born in 1962, in village Khidistavi, in the family of clergyman. He graduated Gori Theological Seminary. In 1880, he continued his education at the Faculty of History and philology of St. Petersburg University. In 1883, he left for Switzerland, at first he attended the lectures at Geneva University and further, in 1883, he moved to Paris and staid there up to 1886. His interests included wide spectrum of the humanities, he attended the lecture courses in literature, history and linguistics, he studied the natural sciences as well. In 1886, he returned to Georgia and commenced extensive educative and scientific activities. He had a spouse and four children. He deceased in 1927. He was buried at Didube Pantheon of the Writers and Public Figures.

David Karichashvili's public and scientific activities allow us creating of his portray as a person and as a scientist.

With his activities, he was basically the practitioner, teacher, head to two significant societies: Society of Literacy among Georgians and Georgian Historical and Ethnographical Society. His talents and efforts were not oriented towards theoretical depths of any single discipline. One could say that his intellectual energy was distributed, in some way, over different spheres of humanitarian researches. He attempted, based on his knowledge and erudition, to support almost all directions of historical-philological sciences. Each of his essays demonstrates in-depth knowledge of the issue, his ability to observe.

David Karichashvili, as a researcher, is fully independent. Though he had to work side by side with the coryphaei of literature and other huge authorities, he had not lost his original vision and he had his independent opinion on number of issues, whether historical-literary



or public ones. Irrespective of the degree of sharing of David's versions on one or another issue, they still contain significant nuances, new approaches, statements to be taken into consideration. Such are his essays on: "Martyrdom of Shushanik"; "Composition of the Knight in the Panther's Skin", "When the First Georgian Book Was Printed"; "Who was Nikiphore Irbach" etc.

As a result of David's philological researches, the issue of the author of "Kalmasoba" was finally resolved. Number of unclear issues in "Kartlis Tskhovreba" (Life o Kartli) were clarified: "Who was Bishop Mobidan", "Genealogy of Ashot Kuropalat"... new aspects of Rustaveli studies were set (1903 and 1920 editions of the "Knight in the Panther's Skin", essay "Composition of the Knight in the Panther's Skin").

David Karichashvili's "Khutsuri Alphabet" and "Grammar of Georgian Language" were the textbooks, which provided timely assistance to the professionals/

With his incentive the inventory and cataloguing of library of the Society for Literacy of Georgians was performed. With his leadership and direct participation huge lexicological work was performed. many works by David Karichashvili, like "History of Printing of Georgian Books", "Bibliography of Georgian Periodicals", "History of Books" were among the first attempts of writing monographs in bibliography sphere.

Each publication by david ("Knight in the Panther's Skin", editions of 1903 and 1920; Poems and letters by Nikoloz Baratashvili; 1895, 1910 [Poems] 1919; Works by Alexander Kazbegi 1905; "History of Georgian Literature" by ALEXander Khakhanashvili [XIX], 1917) with significant preliminary textual works, characterized with th progressive nature, compared with the previous publications.

Historical works by David Karichashvili had quite clear, prominent purpose: they were intended for popularization of Georgian history. Wide masses of the population had to gain awareness in the historical past of their country and for this they required the information provided in adequate form, quantities and language. "Brief history of

Georgia” (1907) and the essays permanently published in the magazines for the youth and other periodicals were intended for this very purpose.

High personal culture of David Karichashvili should be particularly noted (clearly seen in his written works); as well as outstanding polemical skills and ability of unmistakably identification of the true public figures and intellectuals. Superficial attitude to the work was far from him.

David’s contemporaries, who attempted to evaluate his life and activities, particularly emphasized his integrity and sense of responsibility, in fulfilling of his duties.

His personal archive contains numerous letters full of the sense of gratitude. Love and respect expressed in these letters are the response to his honesty, earnestness and dedication to the public activities. It would not be overestimation to say that David’s life and activities (like many other representatives of his generation) is the wonderful example of patriotism of a person in its best form – in his activities, everyday work, honestly passed way, adequate orientation, maintained at the stage of re-evaluation of the values.

Simon Janashia wrote: “Numerous generations of Georgian researchers will focus their attention thankfully to the life of this person, at a time of opening of the treasury door and turn to the bridge built by David Karichashvili’s ideology and faith to the great world of studying of Georgian ancient articles, from the chaos to system.”

“His face is distinguished with the purity, granted by Lord to those, most deserved. Such people remind me ancient Georgian churches, with the smooth and silent walls, surprisingly warm and expressive.”

## Mérite de David Karichashvili

David Karichashvili est représentant de cette génération très méritée qui créait la vie sociale géorgienne au seuil des XIX-XX siècles. Il est né en 1862 au village de Khidistavi de la région de Gori, dans la famille d'une personne ecclésiastique. Il a terminé l'Ecole théologique de Gori et le Séminaire théologique de Tbilissi. En 1880 il a continué ses études à l'Université de Petersburg à la faculté d'histoire et de philologie. En 1883 il est parti pour la Suisse, d'abord il fréquentait les cours à l'Université de Genève, puis il s'est déplacé vers l'Université de Paris et il y est resté jusqu'à 1886. Ses intérêts comprenaient le grand domaine des sciences humanitaires, il a fréquenté les cours en littératures, en histoire et en linguistique, il a appris les sciences naturelles. En 1886 il est revenu en Géorgie et a procédé aux activités sociales, pédagogiques et scientifiques actives. Il avait la femme et quatre enfants. Il a décédé en 1927. Il est enterré au Panthéon des Ecrivains et des Acteurs Publics de Didoubé.

Les activités publiques et scientifiques de David Karichashvili nous permettent de déterminer son portrait comme d'une personne, ainsi que d'un savant. Selon ses activités il est généralement une personne pratique. Il était pédagogue auprès deux grandes sociétés – Société pour la diffusion de l'alphabétisme chez les Géorgiens et dirigeant de la Société historique et ethnographique de Géorgie. Son talent et son travail n'étaient pas orientés seulement aux fonds théoriques d'un certain domaine. On peut dire que son énergie intellectuelle a été répartie d'une certaine manière aux différents champs des recherches humanitaires. Il essayait selon son savoir et son érudition d'aider presque à toutes les directions des sciences historiques-philologiques. Dans chacun de ses essais il est démontré le savoir approfondi de la question, la profondeur, l'œil observant.

David Karachishvili est indépendant en tant que chercheur. Malgré le fait qu'il devait faire ses activités à côté des coryphées de la littérature et de grandes autorités, il n'a pas perdu son authenticité et sur certaines questions – comme historique-littéraires, ainsi que publiques – il avait ses points de vue indépendants. Sans rendre compte que dans une certaine mesure les versions de David sont partagées sur telle ou telle question, elles contiennent quand même des nuances importantes, d'un nouvel approche, des dispositions à prendre en comptes, telles que ses essais : «Martyre de Chouchanik»; «Composition de Chevalier à la peau de panthère» ; «Quand le livre géorgien est-il imprimé la première fois» ; «Qui était Nicéphore Irbachi» et autres.

